ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 16 ოქტომბერი 1999 №199 (972) | ფასი 50 თეთრი

## 2 ფეხბურთის ფედერაცია ვალებს სასამართლომდე მიჰყავს

— მეტის ცდა არ შეგვიძლია, ეს საქმე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს გადაეცემა — თქვეს გუშინ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში

## 6 ციმბალარი სპარტაკიდან გააგდეს

რომანცევმა ღამის კლუბში გაპარვა არ აპატია

## 10 რიოში კენჭი ყარეს




„მანჩესტერ იუნაიტედს“ იოლი ჯგუფი ერგო

## 11 ჩემბი — შორეული ლეგენდა




გამოთხოვება უილტ ჩემბერლენთან

## 13 რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები



წარმოგიდგენთ ლაურეატებს



ლეილა მესხი

# ჟორდანიას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება

*გუშინ დაახლოებით ხუთ საათზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ნევროლოგიის ინსტიტუტის კლინიკაში მიიყვანეს.*

*ჯერჯერობით ზუსტი მიზეზი იმისა, თუ რატომ გახდა მერაბ ჟორდანია საექიმო და საავადმყოფოში მოსათავსებელი, უცნობია. მედპერსონალმა ჟორდანიასთან გასაუბრება კატეგორიულად აგვიკრძალა, კომენტარისგან თავი შეიკავეს პრეზიდენტის ახლობელ-მეგობრებმაც.*

*ერთი კი დანამდვილებით შევიტყვეთ — მერაბ ჟორდანიას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და რამდენიმე დღეში საავადმყოფოდანაც გაეწერება.*

*დანარჩენიც პრეზიდენტის მოკეთების შემდეგ იყოს. ტრავმის მიზეზსაც, ალბათ, თავად გვეტყვის.*



მერაბ ჟორდანია



# პროფესიონალებმა ისევ დაჯაბნეს მოყვარულები



REUTERS

ინგლისი — ტონგა 101:10. ინგლისის ნაკრებში დაბრუნებულმა ლოურენს დალალიომ ტონგელები არა მარტო აუტებში დაჩაგრა

ერთი დღეც და მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის ჯგუფური ტურნირი დამთავრდება. გუშინ კიდევ სამი მატჩი გაიმართა, რომლებიც ლოგიკური შედეგებით დასრულდა. ინგლისმა, სამხრეთ აფრიკამ და ირლანდიამ, სადაც რაგბი უკვე კარგა ხანია პროფესიულია, მოყვარულ ქვეყნებს იოლად მოუგეს. განსაკუთრებით ინგლისმა გაილაღა, რომელმაც ამ ტურნირის შესარჩევ ეტაპზე ქართველთა მძლეველი ტონგა გაალცამტვერა. ურუგვაისთან „ქურციკების“ შედარებით მოკრძალებული გამარჯვება კი პატარა მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს.

| |
|---|
| A ჯგუფი |
| ინგლისი 101:10 ტონგა |
| B ჯგუფი |
| სამხრეთ აფრიკა 39:3 ურუგვაი |
| E ჯგუფი |
| ირლანდია 44:14 რუმინეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | | | |
| ახალი ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 176:28 | 6 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 184:47 | 4 |
| ტონგა | 3 | 1 | 0 | 2 | 47:171 | 2 |
| იტალია | 3 | 0 | 0 | 3 | 35:196 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | | | |
| ს. აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 132:35 | 6 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 72:58 | 2 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 0 | 2 | 42:97 | 2 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 18:74 | 0 |
| **C ჯგუფი** | | | | | | |
| ფიჯი | 2 | 2 | 0 | 0 | 105:40 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 80:33 | 4 |
| კანადა | 3 | 1 | 0 | 2 | 114:82 | 2 |
| ნამიბია | 3 | 0 | 0 | 3 | 42:186 | 0 |
| **D ჯგუფი** | | | | | | |
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 118:71 | 4 |
| სამოა | 3 | 2 | 0 | 1 | 97:72 | 4 |
| არგენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 50:39 | 2 |
| იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 24:107 | 0 |
| **E ჯგუფი** | | | | | | |
| ავსტრალია | 3 | 3 | 0 | 0 | 135:31 | 6 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 100:45 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 50:126 | 2 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 52:135 | 0 |

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

# ძოძუაშვილი გზაზე
## არაბები სიტყვას ტეხენ



რევაზ ძოძუაშვილი

ლატვიიდან საუდის არაბეთში გადაბარგებული რევაზ ძოძუაშვილი თავიდან რომ დიდი ენთუზიაზმით შეუდგა იქაური „ალ იტიჰადის“ წვრთნას, ახლა ყველაფრის ინტერესი გაუნელდა. ეს ამასწინადაც გვითხრა მწვრთნელმა, როცა საუდეთში შევეხმიანეთ — აქაურ ცხოვრების წესს ქართველი კაცი ვერ შეეგუება, მეც გაძლებაზე ვარ, ერთი სული მაქვს, როდის წამოვალ საუდეთიდანო.

რევაზ ძოძუაშვილი ჯერჯერობით ისევ არაბეთს იმყოფება და კვლავაც აგრძელებს „ალ იტიჰადის“ ხელმძღვანელობას. აი, მისი თანაშემწე ვლადიმერ გუცაევი კი, უკვე თბილისშია და ამბობს, საუდეთში დამბრუნებელი აღარ ვარ, ძოძუაშვილიც, ალბათ, მალე ჩამოვაო. ვითარებაში უკეთ გასარკვევად წუხელ თავად რევაზ ძოძუაშვილს დავუკავშირდით.

— ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა: ჯერ კიდევ თავს ვიკავებ, რამდენიმე დღესაც გავუძლებ. ცხოვრების წესზე აღარაფერს ვამბობ, აქაურებს, თურმე, ცოტა ტყუილებიც ჰყვარებიათ, კონტრაქტის რამდენიმე პუნქტს არ ასრულებენ და ჯიუტად თავისაზე დგანან. ეგ კი არა, კონტრაქტში, ახლაღა მივხვდი, ერთი-ორი ისეთი რამ წერია, აქაური კანონმდებლობით რომ ყოფილა აკრძალული. ჯერჯერობით სხვას ვერაფერს ვეტყვით, კლუბის უფროსობას დიდი სურვილი აქვს ჩემი დატოვებისა, მაგრამ კონტრაქტის პირობებს თუ თავიდან ბოლომდე არ შეასრულებენ, ნაღდი წამოვალ. ერთი კვირაც მადროვეთ და საბოლოო პასუხსაც ვიტყვი.

ბონბა ინასარიძე

# ზაზა ჯანაშია მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს შეეცილება

2000 წლის 4 იანვარს, გერმანიის ქალაქ როტენბურგში, სასტუმრო „მეიროტელ ჰოლში“ მსოფლიოს 1999 წლის საუკეთესო ბომბარდირს დაასახელებენ. რვა პრედენდენტს შორის, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ქართველი ფეხბურთელიც არის. ეს ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთილი მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდი ზაზა ჯანაშიაა.

რვა პრეტენდენტი ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ შეარჩია, რომელიც ასეთ გამოკითხვა-დაჯილდოებას 1973 წლიდან აწყობს. პრეტენდენტები 1999 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ნაჩვენები მაჩვენებლებით შეირჩნენ. ძირითადი კრიტერიუმი საერთაშორისო მატჩებში კლუბსა და ეროვნულ ნაკრებში გატანილი გოლები იყო.

პრეტენდენტთა სიას წლეულს ბრაზილიის „პალმეირასის“ 22 წლის ფორვარდი ალესანდრო დე სოუზა ლიდერობს, რომელიც საფეხბურთო წრეებში, უბრალოდ, ალექსად მოიხსენიება. ალექსი გამარჯვების ძირითადი კანდიდატია, მას 12 ბურთი აქვს გატანილი, 6 „პალმეირასში“ და 6-იც ეროვნული ნაკრებში. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ „პალმეირასი“ წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას მერკოსურის თასზე.

ალექსს ერთი ბურთით ჩამორჩება მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი რაული. მან „რეალის“ საერთაშორისო მატჩებში მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა, ნაკრებში კი — 10. რაულს შანსი აქვს, ჩემპიონთა ლიგაში კიდევ უფრო გააუმჯობესოს ეს მიღწევა.

იგივე თქმის მესამე ადგილზე მყოფ ბრაზილიელ რივალდოზე, რომელიც ესპანეთის „ბარსელონას“ ღირსებას იცავს. რივალდოს 10 გოლი აქვს გატანილი — 2 კლუბში და 8 ნაკრებში. „ბარსელონას“ ფორვარდს მომავალი სამშაბათიდან კვლავ ეძლევა თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

რივალდოს მსგავსი შედეგი აქვს კოსტა რიკის ნაკრების წევრ ფონსეკა ხიმენესს, რომელიც გვატემალის „კომუნიკასონში“ თამაშობს: 2 გოლი კლუბში, 8 ნაკრებში. თუმცა გვატემალური კლუბი უკვე ყველა საერთაშორისო ტურნირს გამოეთიშა.

მეხუთე ადგილზე 10 გოლით ეგვიპტის ნაკრების ფორვარდი ჰოსან ჰასანია, რომელმაც მშვენივრად ითამაშა მექსიკაში კონფედერაციის თასზე. იგი კაიროს „ნასიონალის“ ღირსებას იცავს. ჰასანმა 6 ბურთი შეაგდო „ნასიონალში“, 4 კი ნაკრებში. მას კლუბშიც და ნაკრებშიც შეუძლია, შედეგიანობა გაზარდოს.

მეექვსე ადგილზე საქართველოს ნაკრებიდან მოკვეთილი უნიჭიერესი, მაგრამ ყოვლად უდისციპლინო თავდამსხმელი ზაზა ჯანაშიაა. მან 8-ჯერ გაიტანა მოსკოვის „ლოკომოტივში“ უეფას თასზე და ორჯერ საქართველოს ნაკრებში (სლოვენიასთან და ნორვეგიასთან). მეტის გატანის შანსი ჯანაშიას უფრო უეფას თასზე აქვს, თუმცა „ლიდს იუნაიტედთან“ შეხვედრაში ეს ძალიან ძნელი იქნება.

მეშვიდე პოზიციაზეა ბრაზილიის „კორიანთიანსის“ ფორვარდი ბაიანო. მან ყველა, ათივე გოლი “კორიანთიანსის“ შემადგენლობაში შეაგდო. ნაკრებში ბაიანოს ვანდერლეი ლუქსემბურგი არცთუ სწყალობს. „კორიანთიანსი“ მერკოსურის თასზეც თამაშობს.

პრეტენდენტთა სიის ბოლოს კი იტალიის „ფიორენტინას“ ფორვარდი ენრიკო კიეზაა, რომელიც ჯოვანი ტრაპატონის კლუბში „პარმადან“ მივიდა. კიეზას 9 ბურთი აქვს გატანილი — 8 კლუბში და 1 ნაკრებში. კლუბში გატანილი გოლებიდან რამდენიმე „პარმას“ დროინდელია.

ერთი სიტყვით, ზაზა ჯანაშია, სოფელ რუხში დაბადებული ბიჭი, შეიძლება მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირად მოგვევლინოს. ამისათვის მან „ლიდს იუნაიტედს“ უნდა გაუტანოს რაც შეიძლება ბევრი ბურთი უნდა გაუტანოს და წლის ბოლომდე ეროვნულ ნაკრებშიც უნდა მიიწვიონ.

სიმონ მენაბდე

# ფედერაცია ვალებს სასამართლომდე მიჰყავს

ძველი ამბავია — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშები გაყინულია. დიახ, ანგარიშები, რადგან, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციას ფეხბურთის ფედერაციის სამ ანგარიშზე აქვს დადებული ყადაღა. ცოტა ხნის წინ ხმები აგორდა, თითქოს ბიუჯეტის დავალიანების გამო ფეხბურთის ფედერაციის უძრავ ქონებას აუქციონის წესით გაყიდვა ემუქრებოდა. ჯვარი სწერია იამანიძის № 5-ში მდებარე სფფ-ს კუთვნილ შენობას, მაგრამ ფაქტია, ნოემბერში ფედერაციის მესვეურთ დიდი უსიამოვნება ელით.

— მეტის ცდა არ შეგვიძლია, ეს საქმე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს გადაეცემა — გვითხრეს გუშინ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში.

ვრცელ მასალას ამასთან დაკავშირებით „სარბიელი“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

პაატა ძვანტალიანი

# მაიკ მაკდონალდსი კვლავ იჯარაზე საუბრობს

შეფილდ იუნაიტედი ისეთივე არეული კლუბის შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორიც ბოლო წლებში ქინქლაძის კარიერა იყო.

მაიკ მაკდონალდსი, კაცი, რომელიც „შეფილდ იუნაიტედის“ პრეზიდენტია და რომელმაც გუშინწინ ერთობ კატეგორიულად განაცხადა, რომ ამსტერდამის „აიაქსთან“ და გიორგი ქინქლაძესთან ყველა შეთანხმება მიღწეულია, გუშინ ისევ იჯარაზე ალაპარაკდა.

„ჩვენ ან ვითხოვთ, ანაც 2200000 გირვანქად ვიყიდით ქინქლაძეს“ — თქვა ჰოლანდიიდან დაბრუნებულმა მაკდონალდსმა. გუშინ „შეფილდისა“ და ქინქლაძის აგენტების მოლაპარაკება, ინგლისიდან მოსული ინფორმაციის თანახმად, უკვე ნისლიან ალბიონზე გაგრძელდა, მოლაპარაკებებში ქინქლაძეც მონაწილეობს.

ყველა მხარეს, ქინქლაძის ჩათვლით, იმედი აქვს, რომ კონტრაქტი შედგება. თუმცა მედიასთან საუბრისას ისინი სრულიად განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებენ. მაგალითად, გუშინ გაკეთებული მაკდონალდსის ზემოხსენებული განცხადების შემდეგ „აიაქსის“ პრესატაშე ვან ლევენმა განაცხადა, რომ „შეფილდთან“ ქინქლაძის გაყიდვაზე მოლაპარკებები წარმატებით დასრულდა.

საერთოდ, როგორც ჩანს, „შეფილდ იუნაიტედის“ სატრანსფერო პოლიტკა ისეთივე არეულ-დარეულია, როგორც ბოლო წლებში გიორგი ქინქლაძის კარიერა იყო.

თუ ინტერნეტში საფეხბურთო ტრანსფერების ოფიციალურ სიას გადახედავთ, ბოლო ორი თვის განმავლობაში „შეფილდის“ ხელმძღვანელობის მიერ ხუთ (!) ტრანსფერზე წამოწყებულ საუბარს წააწყდებით.

მაგალითისთვის: „შეფილდი“ უკვე თვენახევარია, მარსელის „ოლიმპიკიდან“ ყიდულობს (ან იჯარით აჰყავს) განელ მცველ არტურ მოზესს, რაშიც 500000 გირვანქას იხდის. თვენახევარია, ტრანსფერის განხორციელებას არა და არ დაადგა საშველი (ზუსტად ასეთივე სიტუაციაა ქინქლაძესთან დაკავშირებით). არ არის გამორიცხული, „შეფილდს“ „უოტფორდში“ 800000 გირვანქად პორტუგალიელი მარსელოს გაყიდვაც ჩაეშალოს.

ორი კვირაა, „შეფილდის“ მწვრთნელი ადრიან ჰითი აცხადებს, რომ უკვე დასრულდა მოლაპარაკებები „ბრედფორდთან“ დარენ მურის გადმოყვანის თაობაზე. თუმცა შეიძლება ეს ფეხბურთელი სულ მალე „პორტსმუთში“ აღმოჩნდეს.

კვირაზე მეტია, იგივე ჰითი საუბრობს „ლიდს იუნაიტედის“ პორტუგალიელ ფორვარდ ბრუნო რიბეიროზე, რომელშიც 500000 გირვანქას იხდის, თუმცა, როგორც „ლიდსი“ აცხადებს, რიბეიროს „შეფილდში“ წასვლა არ სურს.

მით უფრო გასაკვირია, რომ გუშინ ადრიან ჰითი კიდევ ერთ ტრანსფერზე ალაპარაკდა. ამჯერად მას შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსიდან“ დერეკ მაკკინის გადაყვანა განუზრახავს.

აღსანიშნავია, რომ ამდენ ტრანსფერზე ერთდროულად მუშაობას ისეთი განთქმული გუნდებიც კი არიდებენ თავს, იტალიის „მილანი“ ან „ინტერი“ რომ არიან. აღარაფერს ვამბობთ სატრანსფერო პოლიტიკით განთქმულ ინგლისურ კლუბებზე.

სიმონ მენაბდე

# საფეხბურთო ბოროდინო ლუჟნიკებზე
## დაჭრილი ქართველი გენერალი: ჩვენ გავიმარჯვებთ!

შეძლებს მოსკოვის „ლოკომოტივი“ „სპარტაკის“ ჰეგემონიის დამხობას? ამ კითხვაზე პასუხს დღეს მთელი რუსეთი მოელის...

გახდება ზაზა ჯანაშია რიგით მეოთხე რუსეთის ჩემპიონი ქართველი? ამ კითხვაზე პასუხს დღეს საფეხბურთო საქართველო ელის...

აქამდე მხოლოდ მიხეილ ყაველაშვილი, მურთაზ შელია და ზაზა რევიშვილი ასულან რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს მწვერვალზე. 1995 წელს ამ სამეულმა ვლადიკავკაზიის „ალანიასთან“ ერთად იჩემპიონა.

დღეს რუსეთის მიმდინარე საფეხბურთო სეზონის ნომერ პირველი მატჩია. „ლუჟნიკებზე“ ჩეჩნეთის მიწაზე გაჩაღებული ომისდარი ბრძოლაა მოსალოდნელი და კავკასიის მკვიდრთა უმრავლესობა სპარტაკელთა ნაღმზე აფეთქების მოლოდინშია.

ბრძოლის ველზე ქართველსაც ვიხილავთ. თანაგუნდელთა მიერ „გენერლად“ მონათლული ზაზა ჯანაშია ცენტრიდან შეუტევს. მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილია (თავზე შვიდი ნაკერი აქვს), იგი თავშეხვეული გავა მინდორზე.

— დარწმუნებული ვარ, ვითამაშებ. მე ისე ველი ამ შეხვედრას, რომ ვერანაირი ტრავმა ვერ გამაჩერებს. ჯერ „სპარტაკისთვის“ ერთხელაც არ გამიტანია და შარშან პენალტიც გავაფუჭე. პირველ წრეში მასთან შეხვედრა კი ჩემს კარიერაში („ლოკომოტივში“) ყველაზე ცუდი გამოდგა. როგორ შემიძლია, ყოველივე ამის შემდეგ „სპარტაკთან“ მატჩი გამოვტოვო. მჯერა, ჩვენი მცველები და მეკარე მეტოქეს გოლის გატანის შესაძლებლობას არ მისცემენ. მე თუ გავიტანე, ჩვენ გავიმარჯვებთ! — განუცხადა „სპორტ-ექსპრესს“ გუშინწინ ჯანაშიამ, დაჭრილი ქართველი ჩერკიზოვოში მოვარჯიშე ლოკომოტიველთაგან საუკეთესო იყო — აღნიშნა რუსმა ჟურნალისტმა — ერთ მომენტში ჩაწოდებულ ბურთს სახვევით შეკრული თავი შეაგება და კარის ბადეში გაგზავნა. სწორედ ამ დროს გუნდის მწვრთნელმა სიომინმა უხმო ჯანაშიას და იგი ფლანგზე გადაიყვანა, საიდანაც მხოლოდ პასის გაკეთებას მოახერხებდა.

— მე ასეთი ადამიანი ვარ, თუ ჩემკენ ბურთი მოფრინავს და კარგ პოზიციაში ვარ, არ შემიძლია არ დავარტყა — ასე აუხსნა ზაზამ თავით თამაშის ეპიზოდი „სპორტ-ექსპრესს“.

„ლუჟნიკების“ ტრიბუნებზე ანშლაგი არა და ხალხმრავლობა კი იქნება.



დადგება დღეს ზაზა ჯანაშია თავდაყირა?

ბევრს აინტერესებს, დაიცავს თუ არა „სპარტაკის“ კარს რუსეთ-უკრაინის მატჩის „გმირი“ ალექსანდრ ფილიმონოვი, რომელსაც გუშინ 26 წელი შეუსრულდა. როგორც ამბობენ, მეკარემ შეძლო სტრესიდან გამოსვლა და მზადაა სათამაშოდ. რუსეთის ჩემპიონთა ერთ-ერთ ლიდერ ანდრეი ტიხონოვს კი დღეს იუბილე აქვს და შეეცდება, 29-წლიან ზღვარს საზეიმო ვითარებაში გადააბიჯოს.

„ლოკომოტივს“ მხოლოდ მოგებით შეუძლია, „სპარტაკს“ დაკარგული ქულების მიხედვით გაუთანაბრდეს. ამის მიღწევა კი რკინიგზელებს ძალიან გაუჭირდებათ, რადგან ამ გუნდებს ურთიერთშეხვედრათა ბალანსი აშკარად სპარტაკელთა სასარგებლოდ მეტყველებს.

დღევანდელი შეხვედრა მათ შორის რიგით 82-ე იქნება. სსრკ-ს და რუსეთის გასულ ჩემპიონატებში „სპარტაკმა“ 52-ჯერ გაიმარჯვა „ლოკომოტივთან“, მხოლოდ 10-ჯერ დამარცხდა, 19 პაექრობა კი ფრედ დამთავრდა.

1936 წლიდან მოყოლებული სპარტაკელებმა 167 გოლი გაუტანეს რკინიგზელებს, საკუთარ კარში კი 79 ბურთი მიიღეს.

ბოლო 23 წლის განმავლობაში ლოკომოტიველებმა მხოლოდ ორჯერ მოუგეს რუსეთის ჩემპიონებს. რკინიგზელებმა 1995 წელს მიღწიეს ორივე გამარჯვებას. რა მოხდება დღეს?

ხვიჩა სანიძიძე

საქართველოს 11 ჩემპიონატი

8 ტური

# აბა, ფეხბურთი იაფად...

ყურადღება, ყურადღება — ამა წლის 16 და 17 ოქტომბერს დილით შაბათს და კვირას საქართველოს საფეხბურთო ველ-მინდვრებზე ზოგან საზეიმოდ, ზოგან კი უხმაუროდ, გაიხსნება მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე. წრე, რომელიც, როგორც ამბობენ, გადაწყვეტს რვა უძლიერესისა და რვა მაჩანჩალის ბედს (საფეხბურთოს, რა თქმა უნდა).

ამ რვაზე გამახსენდა, ზუსტად რვა შეხვედრა გაიმართება მცხეთობის მომდევნო უქმეებზე — ექვსი აღმოსავლეთში, ორიც — დასავლეთში, ქუთაისსა და ხობში.

ტურის ცენტრალური შეხვედრა ორი „დინამოს" ჯახია. ამათგან ერთი აქამდე ჩემპიონი და კვლავ ჩემპიონობის მოსურვე თბილისის „დინამოა", მეორე კი „სარბიელის" მიერ „ბათუმად" მონათლული და ჯანი კარნავალეს მეოხებით იტალიური ფეხბურთის მადლთან ზიარებული ბათუმის „დინამო".

როდესაც „სინიორ 0:0" „ბათუმზე" ჩამოვარდება საუბარი, ერთი რუსი ინტელექტუალი და მოჭადრაკე კრამნიკი წარმომიდგება-ხოლმე გონებაში. რისი გულისთვის? იმიტომ, რომ კრამნიკი სრულიად ჭადრაკის სამყაროში ცნობილია, როგორც ფრეების სპეციალისტი და ფრეებით იოლას (საუკეთესო მოჭადრაკეთა ათეულშიც) გამსვლელი. იგივე იმიჯი შეიქმნა „ბათუმმაც", აქამდე ორი მოიგო, ხუთი ფრე გააგორა და ათეული რა საკადრისია, პირველი წრის რვეულშიც უპრობლემოდ მოხვდა. ისე მოგება-ფრე-არწაგებას რაც შეეხება, ამ მხრივ „ბათუმს" დოსტები ინგლისის პირველ დივიზიონშიც ჰყავს — „ფულემი" და „ვესტ ბრომვიჩი" ზუსტად ამგვარი ტაქტიკით იკვალავენ გზას — შინ მოგება, გასვლაზე ფრე.

მივანიჭოთ ზღვისპირელებს პირველი წრის ყველაზე „მშვიდობიანი გუნდის" თიკუნი და როგორ გვჩვევია, დარბაისლურად ვისაუბროთ მორიგი ტურის ცენტრალურ მატჩზე. მაშ ასე, ვინ მოიგებს? პასუხის სამი ვარიანტი არსებობს — ან „დინამო", ან „ბათუმი, ანაც... სავსებით შესაძლებელია („სინიორ ნოლით ნოლის" კვალიფიკაციიდან გამომდინარე) გუნდებმა საქართველოში, შუაგულ ეროვნულზე ინდიელთა წესისამებრ მშვიდობის ჩიბუხები გააბოლონ ანუ დაზავდნენ. და მაინც, თუკი ჩაგვეძიებით, მეტოქეთა შანსებს 52:48-ზე შევაფასებთ, რადგან... „დინამო" მაინც „დინამოა" (თბილისისა).

მეორე თბილისური შეხვედრა ავჭალაშია, „სინათლეზე". „მერანმა" ერთხელ უკვე „უმასპინძლა" თბილისში უსტადიონო „იბერიას" და ძმურად გაუყო ქულა. დაახლოებით იგივე შედეგს უნდა ველოდოთ ახლაც, თუმცა „მერანმა" გემო გაუგო პირველ გამარჯვებას და ისე ტკბილია ის დალოცვილი, უეჭველად ეცდება, სამტრედიელებთანაც იგივე გაიმეოროს. რაც შეეხებათ ფრუიძის შეგირდებს, არა გვგონია, ტოლი დაუდონ მასპინძლებს. სამი ქულა რა, აწყენთ?

ერთი სიტყვით, შინაური კედლების ფაქტორი თუ გადაწყვეტს რამეს, თორემ ყველანაირად თანაბარი შეხვედრაა.

მესამე თბილისურ შეხვედრას ისევ „ეროვნული" უმასპინძლებს, სადაც „თბილისი" „სიონს" დახვდება. პირველ წრეში ამ გუნდების მატჩი ფრედ 2:2 დამთავრდა, თუმცა მაშინ „სიონი" ჯერ კიდევ სპონსორისკენ მიმავალი გზის გასაყარზე იდგა, ხოლო დებიუტანტი და კბილებდალესილი „თბილისი" კი იმიჯს „აიმსჭვალა" და ამადაც გამოვიდა შეხვედრა თვალსასეირო. ამჯერად, მასპინძელთა შანსებს მეტად შევაფასებთ, რადგან თბილისელებმა უკვე იწვნიეს მარცხი წინა ტურში „ლოკომოტივთან" ამავე სტადიონზე და იგივეს განმეორება არა გვგონია, დაუშვან.

მეოთხე თბილისური მატჩი „ისანზეა", სადაც „არსენალმა" „ლოკომოტივს" უნდა უმასპინძლოს. აქ კი სტუმრებს მივანიჭებთ უპირატესობას. თემურ მახარაძის გუნდმა გაიხსენა ძველი ტკბილი დრო, როცა კონტრშეტევებით აძრობდა სულს მეტოქეს და თუ ვერ იგებდა, არც აგებდა. დაახლოებით ამგვარი სცენარით წარიმართება ეს შეხვედრაც, „ლოკომოტივი" ბურთს გააგორებს და თუ საშუალება მიეცა, გრძელი გადაცემებით შეეცდება ქებაძე-რუსიას ტანდემის მეკარესთან პირისპირ გაყვანას — ყოველ შემთხვევაში, რკინიგზელების გოლების ნახევარზე მეტი ამგვარად გადის.

„არსენალი" კი, მოთმინებაგამოლეული „არსენალი" უფულობის და ცხოვრების პროზაულობის ზღურბლზე დგას. როცა გშია, გცივა და ფული არ გაქვს, არ გეფეხბურთება, მაგრამ... „გუნდს არ დავშლითო" — ასე თქვეს არმიელმა ფეხბურთელებმა და უნდა დავიჯეროთ.

ახლა მცხეთაშიც გადავინაცვლოთ. იქ „ვიტ ჯორჯია" „სამგურალს" დაუხვდება. ალბათ, მოუგებს კიდეც, რადგან არ არის ვეტერინართა საძმო ის გუნდი, წყალტუბოელებს იმერეთში თუნდაც ქულა გაატანოს. აქედან გამომდინარე, „სამგურალი" ზედიზედ მესამე მარცხის წინაშე დგას და ბრძოლა გველის გრანდიოზული (ქართული მასშტაბებით).

მცხეთა ერთ მატჩსაც უმასპინძლებს — უნივერსიტეტის საფეხბურთო სიმბოლო გორის „დილას" შეეტოქება. გორელებმა ისე არხეინად წააგეს პირველი წრის ბოლო შეხვედრა „მერანთან", ნამდვილად გააწბილეს გორიდან თბილისს ჩამოსული მაყურებელი და ვფიქრობთ, მცხეთაში ეცდებიან ნაწილობრივ რეაბილიტაციას მაინც. თსუ კი, „ბათუმივით" ფრეების მოყვარული თსუ, ალბათ სამ ქულას დაგეგმავს ამ მატჩში. და „გორდასთან" პირველი გამარჯვების გალუწებას შეეცდება. საქმე თსუელთა მონდომებაშია და რამდენად აჯობებს მათი მონდომება გორელთა შედარებით მაღალ კლასს, ეს არის საკითხავი. მცხეთური შეხვედრის შედეგიც ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული.



პირველ წრეში ბათუმში თემურ ტუღუშის (№10) „ბათუმმა" 1:0 მოუგო მიხეილ აშვეთიას „დინამოს", შედგება თბილისში რევანში?

ახლა კი საფეხბურთო არენაზეა დასავლეთი და ორი დასავლეთური მატჩი ხობსა და ქუთაისში.

ხობში ორი „კოლხეთი" გაითამაშებს კოლხურ დერბის. მათი პირველი შეხვედრა ფოთში, ხობელი სტუმრების მოულოდნელი გამარჯვებით დასრულდა, თანაც სტუმრებმა ერთბაშად სამი ბურთი გაუტანეს შემადგენლობაშესუსტებულ, მაგრამ ძველებურად ამბიციურ ფოთელებს და უეჭველია, „კოლხეთი", ოღონდ „1913" შურისძიებისთვის ემზადება. „ხობის" მოტივაციას კი ის აძლიერებს, რომ იგი აშკარა აუტსაიდერია და სად, თუ არა შინ, უნდა შეძლონ ხობელებმა ქულების დაგროვება. ერთიცაა, „ხობმა" თითქმის ყველა წაგებული შეხვედრა ბრძოლაში დათმო და ეგებ რიგით მეორე გამარჯვებაც ისევ ფოთელ მეზობლებთან მოიპოვონ, ვინ იცის.

დაბოლოს, წლევანდელი ქართული ფეხბურთის უდავო ლიდერი „ტორპედო", რუსთავის „გორდას" დაუხვდება. მოიგებს უთუოდ, დიდი ლარიდა ხაზი არ უნდა ამას. საკითხავი მხოლოდ შეხვედრის ანგარიშია. კარგაძალი პრობლემის წინ დგანან რუსთაველი მცველები — უნდა იმარჩიელონ, ვინ გამოილებს ხელს (უფრო სწორად, ფეხს) — ჯანაშია, იონანიძე, მეგრალაძე, გოგიაშვილი თუ იმედაძე. დაგვერწმუნებით, ძნელია ახლა „ტორპედოს" წინააღმდეგ თამაში (ოღონდ საქართველოში).

აი, ეს თამაშებია და ასეთი ამბები. იძახიან, წლევანდელი ჩემპიონატი შარშანდელს სჯობიაო და ეგებ საყურებლადაც მობრძანებულიყავით თბილისში თუ მცხეთაში, ქუთაისსა თუ ხობში, ლიხს იქით თუ ლიხსაქეთ — მოკლედ, აირჩიე, სულო და გულო, თანაც არ დაგავიწყდეთ — იაფად.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 6 - გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 5 - ალექსიძე | დინამო |
| იონანიძე | ტორპედო |
| 4 - აშვეთია | დინამო |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| გ. მიქაძე | თბილისი |
| 3 - დევიძე | მერანი |
| თოლორდავა | მერანი |
| კვარაცხელია | თბილისი |
| სულთანიშვილი | დილა |

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 7 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10:5 | 5 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 3 | ბათუმი | 7 | 2 | 5 | 0 | 3:1 | 2 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 2:0 | 2 | 8 | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 |
| 4 | თბილისი | 7 | 2 | 3 | 2 | 14:12 | 2 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 2 |
| 5 | სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 |
| 6 | ლოკომოტივი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | -7 | 0 |
| 7 | სამგურალი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 0 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 8 | არსენალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:8 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | -3 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 7 | 6 | 1 | 0 | 18:5 | 13 | 19 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 7 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 12 |
| 2 | კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 9:11 | -2 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 3 |
| 3 | დილა | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |
| 4 | იბერია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 5 | გორდა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | -1 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 |
| 6 | თსუ | 7 | 1 | 4 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 7 | მერანი | 7 | 1 | 4 | 2 | 8:9 | -1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 |
| 8 | ხობი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 3 |

თბილისი. „ეროვნული" 16 ოქტომბერი. 16 საათი

## დინამო — ბათუმი

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. ურუშაძე (თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** ა. მილჩენკო

ქუთაისი. „ტორპედო". 16 ოქტომბერი. 16 საათი

## ტორპედო — გორდა

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი); **სფფ-ის დელეგატი:** მ. ლაცაბიძე

მცხეთა. „არმაზი". 16 ოქტომბერი. 16 საათი

## ვიტ ჯორჯია — სამგურალი

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ვ. ჩოჩიშვილი, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

ხობი. „კოლხეთი". 16 ოქტომბერი. 16 საათი

## ხობი — კოლხეთი

**მსაჯები:** გ. ასკაროლლი (ქარელი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. მარგიშვილი (გორი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

თბილისი. „სინათლე". 16 ოქტომბერი. 16 საათი

## მერანი — იბერია

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. დოლიძე, ა. მეშკოვი; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

თბილისი. „ეროვნული". 17 ოქტომბერი. 16 საათი

## თბილისი — სიონი

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ. ჯვარიძე; ო. ხეცაძე (ორივე თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** გ. ფირცხალავა

თბილისი. „ისანი". 17 ოქტომბერი. 16 საათი.

## არსენალი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ს. შალამბერიძე (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** ა. ბაჩუკაშვილი

მცხეთა. „არმაზი". 17 ოქტომბერი. 16 საათი

## თსუ — დილა

**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); **სფფ-ის დელეგატი:** შ. ხინჩაგაშვილი

Under 16

შესარჩევი ტურნირი

# ბერძნებს იცნობენ, სხვებს გაიცნობენ

## ჭაბუკებს მხარდაჭერა ყველაზე მეტად ახლა სჭირდება



წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალი: ესპანეთი — ისრაელი 5:1

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი კარს მოადგა. შეგახსენებთ, II ჯგუფის შეხვედრებს 20-24 ოქტომბერს თბილისი უმასპინძლებს. ქართველ ყმაწვილებს კი მეტოქეებად ბერძენი, ხორვატი და ბულგარელი თანატოლები ეყოლებათ.

ჩვენს პირობებში ცოტა საკვირველიც კია, მაგრამ ფაქტია, რევაზ გაგუას გაწვრთნილები მოსამზადებელ ეტაპს წინასწარ დაგეგმილი გრაფიკით მიჰყვებიან. ნაკრები გამალებით ემზადება, ისევე როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც უეფამ საპატიო საქმე — შესარჩევი ეტაპის მასპინძლობა ანდო. ამ ნდობას გამართლება უნდა. საამისოდ ფეხბურთის ფედერაციაში ტურნირის საორგანიზაციო შტაბი შეიქმნა, რომელსაც საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე გია ფირცხალავა ხელმძღვანელობს, მოადგილე კი ბავშვთა და ჭაბუკთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ყიფიანი გახლავთ.

გუშინ ტურნირის ორგანიზატორებმა და 16-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რევაზ გაგუამ პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც ნაკრების კაპიტანი ირაკლი სამხარაძეც ესწრებოდა. შეხვედრა კი ფედერაციის პრესატაშესა და საორგანიზაციო შტაბის წევრ მამუკა კვარაცხელიას მიჰყავდა. თავიდან სიტყვა გია ფირცხალავას დაეთმო:

— ცოტა ხნის წინ, მოგეხსენებათ, მოყვარულთა შორის რეგიონთა თასის გათამაშებას ვუმასპინძლეთ. იმ ტურნირის ორგანიზატორებიც ვიყავით. უეფა ჩვენი მასპინძლობით კმაყოფილი დარჩა. 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მასპინძლობაც ძირითადად ამიტომ გვანდეს. უეფამ ჩვენი ორგანიზაცია მოიწონა და ახლა ამ მისიას უკვე მეორედ შევასრულებთ.

ვეცდებით, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყოს. ამჟამად ყველა ორგანიზაციული პრობლემა გადაჭრილია. შემიძლია ვთქვა, ტურნირს სრულ მზადყოფნაში ვხვდებით.

სტუმრები 19 ოქტომბერს ჩამოვლენ. სამივე ნაკრები მსაჯებთან და დელეგატებთან ერთად ამ დღეს გვეწვევა. ყველა ერთ სასტუმროში — „აჭარაში" იცხოვრებს.

მსაჯები უცხოელები იქნებიან, თუმცა მათ ორი ქართველიც დაეხმარებათ, რომლებიც მეოთხე მსაჯის ფუნქციას შეასრულებენ.

ამის შემდეგ კი რევაზ გაგუას ჯერი დადგა, მან თავდაპირველად ფედერაციის ხელმძღვანელობას გადაუხადა დიდი მადლობა გაწეული დახმარებისთვის და გვერდში ამოდგომისთვის (ეს ასეც უნდა ყოფილიყო), შემდეგ კი ის პიროვნებები წარმოგვიდგინა, ვინც უშუალოდ ნაკრების გაწვრთნა-მომზადებაში დაეხმარა:

— ძალიან დამეხმარნენ გუნდის უფროსი ოთარ შენგელია, ფიზმომზადების მწვრთნელი ირაკლი გორგოშიძე და მწვრთნელები: გელა გომელაური და ასლან ბალაძე. ეს უკანასკნელი ცოტა გვიან კი შემოგვიერთდა, მაგრამ ბათუმური შეკრებისას ძალა არ დაიშურა და მისი დამსახურებაა ის, რომ მეკარეები კარგ ფორმაში იმყოფებიან.

მას შემდეგ, რაც 16-წლამდელთა ნაკრები ჩაგვაბარეს, შესაფერ კანდიდატთა ძიებას შევუდექით და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ძირეულად შესაცვლელია საფეხბურთო სკოლაში ბავშვების მომზადების მეთოდები. ძალიან ძნელი, ალბათ, ყველაზე ძნელიც, არის 16-წლამდელთა ნაკრების გაკეთება, რადგან მის ძირითად ბირთვს ამ სკოლების ბავშვები წარმოადგენენ. ისინი სრულიად მოუმზადებელნი მოდიან. ნაკრების მწვრთნელებს ფაქტობრივად ყველაფრის თავიდან დაწყება გვიხდება, სრულფასოვან მომზადებას კი ველარ ვასწრებთ.

თავიდან 50 კანდიდატი შევარჩიეთ, რომელიც 30-მდე დავიყვანეთ. ამის შემდეგ კი ლაგოდეხში გავემგზავრეთ შეკრებაზე, ამას მოჰყვა კიდევ ორი შეკრება ყვავილნარში და ბათუმში. ახლა დიღომში, კალათბურთელთა ბაზაზე დაგვეწყო ბოლო, მეოთხე შეკრება. ძირითადი ყურადღება ამ პერიოდის განმავლობაში ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ და ვფიქრობ, ამ მხრივ გუნდი ურიგოდ არ გამოიყურება. ყველაზე მეტი პრობლემა, ალბათ დაცვაში შეგვექმნება, ეს კი იმის ბრალია, რომ, დიდი მონდომების მიუხედავად, ვერ ვიპოვეთ შესაფერი კადრები. არადა, სწორედ ჩვენი ნაკრებიდან უნდა მიიღოს შევსება ჯერ 18-წლამდელთა, შემდეგ კი ახალგაზრდულმა და ეროვნულმა ნაკრებმა.

შეკრებების დროს, ბუნებრივია, საკონტროლო მატჩებიც გავმართეთ. სულ ექვსი თამაში ჩავატარეთ. აქედან ოთხი მოვიგეთ, ერთი ფრედ დავამთავრეთ, ერთხელაც დავმარცხდით. ამ მატჩებში თხუთმეტი გოლი გავიტანეთ და რვა გავუშვით. რვა გაშვებული ბურთი ექვს თამაშში ძალიან საგანგაშოა.

არც სხვა ამპლუებში გვაქვს საქმე ძალიან კარგად, თუმცა დაცვასთან შედარებით... გვაწუხებს საგოლე მომენტების რეალიზაციის პრობლემაც. საკონტროლო მატჩებში 15 გოლი კი გავიტანეთ, მაგრამ ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ.

ფსიქოლოგიური ფაქტორისაც მეშინია. გუნდის კაპიტან ირაკლი სამხარაძის გარდა საერთაშორისო მატჩები არავის უთამაშია, ამიტომ იქნებ ცოტა შიშითაც გავიდნენ მინდორზე. ჩვენ ყველანაირად შევეცდებით, ეს პრობლემა არ ჰქონდეთ ფეხბურთელებს, რათა მათ თავიანთი სიტყვა თქვან.

მიუხედავად ყველაფრისა, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ფინალურ ეტაპზე მხოლოდ პირველ ადგილზე გასული გუნდი გადის, ამიტომ ჩვენც ისლა დაგვრჩენია, პირველობისთვის ვიბრძოლოთ. ამაში შინაური კედლებიც ძალიან დაგვეხმარება. ვეცდებით, თითოეულ მატჩს მაქსიმალურად მობილიზებულნი შევხვდეთ.

მართალია, 4-5-1 სქემით ვითამაშებთ, მაგრამ აქცენტს შეტევაზე გავაკეთებთ.

ნაკრები თითქმის მთლიანად თბილისური გუნდებისგან არის დაკომპლექტებული. მხოლოდ მეკარე ირაკლი ბალაძეა ბათუმიდან. იგი, სხვათა შორის, ყოფილი მეკარის, ასლან ბალაძის ვაჟია. ძალიან მინდოდა, სხვა რაიონებიდანაც მომეწვია გუნდში, მაგრამ შესაფერი ვერავინ ვიპოვე.

ახლა ნაკრებში 21 ფეხბურთელი გვყავს. როგორც იცით, თავიდან 18 კაცის დატოვებას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე. სამი ფეხბურთელის გაშვებაზე გული მეთანაღრებოდა, ამიტომ გადავწყვიტე, მოთამაშეთა ეს რაოდენობა შევინარჩუნო. უბრალოდ, თითოეული მატჩის წინ 18 ფეხბურთელს შევიყვანთ განაცხადში. ვფიქრობ, ასე აჯობებს. რაც უფრო მაქსიმალურად გამოვიყენებთ თითოეული მათგანის შესაძლებლობებს, მით უკეთეს შედეგს მივაღწევთ. ახლა გუნდში სამი მეკარე გვყავს — გიორგი თარხნიშვილი, რომელიც 194 სანტიმეტრია, სოსო ჭრიკიშვილი მასზე 8-9 სანტიმეტრით დაბალია, ხოლო ირაკლი ბალაძე 180 სანტიმეტრი სიმაღლისაა. ვის დავაყენებ საბერძნეთთან მატჩში, ამას ორ დღეში მე და ასლან ბალაძე ერთად გადავწყვეტთ.

ბერძნებს ასე თუ ისე ვიცნობ. მათი თამაში ადრე მინახავს, თუმცა იქიდან, ალბათ, მხოლოდ თამაშის სტილი თუ შემორჩებოდათ. ხორვატებსა და ბულგარელებზე კი წარმოდგენა არ მაქვს. ისე, ვიდეოკასეტა ვერავისი მოვიპოვეთ. თუმცა ისინიც ჩვენნაირად არიან. საქართველოს ნაკრების თამაში არც მათ უხილავთ. ისე, ბულგარელებს და ხორვატებს გავიცნობთ, ჩვენამდე ხომ ისინი ხვდებიან ერთმანეთს.

სამ ფეხბურთელს მცირე ტრავმები აწუხებს. თარხნიშვილს ბოლო დღეებია, ფეხი სტკივა. მუხლი აქვს დაშავებული გიორგი ლაცაბიძეს, ხოლო ილია მალაზონია წელს იტკივებს. თუმცა საგანგაშო არაფერია და, ალბათ, მატჩებისთვის სამივე მწყობრში იქნება.

ბოლოს კი ორიოდე სიტყვა 16-წლამდელთა ყმაწვილმა კაპიტანმა ირაკლი სამხარაძემაც გვითხრა:

— ბერძნების წინაალმდეგ ადრე მითამაშია, ვიცი მათი სიძლიერე, ამიტომ ყველაზე სერიოზულ მეტოქედაც მათ ვთვლი. ხორვატებზე და ბულგარელებზე კი არაფერი მსმენია.

ფიზიკურად ძალიან კარგად ვართ მომზადებული. ვფიქრობ, ორივე ტაიმს ღირსეულად გავუძლებთ. თანაც ერთი ტაიმი ხომ სულ 40 წუთს გრძელდება. ჩვენი კარგი ფიზიკური მზადყოფნა კი მწვრთნელების დამსახურებაა.

გუნდის განწყობაც ძალიან კარგია. ყველას მოგება გვსურს და საამისოდ ძალას არ დავიშურებთ, თანაც ვეცდებით, ამას კარგი თამაშით მივაღწიოთ.

ასე რომ, საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ტურნირს ჩინებულ ხასიათზე ხვდება. იმედია, თავს არც ფეხბურთელები შეირცხვენენ და არც ორგანიზატორები. ქომაგთ კი ვურჩევთ, სტადიონზე მივიდნენ და საქართველოს ნაკრებს მხარი დაუჭირონ. ეს ხომ ქართველ ჭაბუკებს ახლა ყველაზე მეტად სჭირდებათ.

**ვანო ოქრობირიძე**

## მონაწილეთა განაცხადები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველო

| | | |
|---|---|---|
| გიორგი თარხნიშვილი | 23.02.83 | 35-ეს.კ. |
| იოსებ ჭრიკაშვილი | 05.05.83 | ოლიმპიკი |
| ირაკლი ბალაძე | 12.09.83 | ბათუმი |
| აკაკი კუპრეიშვილი | 04.01.83 | ოლიმპიკი |
| ნიკოლოზ გუშარაშვილი | 25.07.83 | ოლიმპიკი |
| ლაშა ჭელიძე | 10.04.85 | დინამო |
| ლევან ხაინდრავა | 30.06.83 | დინამო |
| აკაკი ქუხილავა | 29.01.83 | 35-ეს.კ. |
| გიორგი ლაცაბიძე | 09.06.83 | 35-ეს.კ. |
| ილია მალაზონია | 26.03.83 | დინამო |
| ირაკლი სამხარაძე | 12.02.83 | ოლიმპიკი |
| შალვა გიგიაძე | 21.07.83 | 35-ეს.კ. |
| დავით ნაკანი | 17.12.83 | დინამო |
| დავით ქოქიაშვილი | 09.05.83 | ოლიმპიკი |
| გიორგი ფეიქრიშვილი | 05.08.83 | ოლიმპიკი |
| დავით შენგელია | 27.07.83 | 35-ეს.კ. |
| იოსებ მანჭარაული | 23.01.83 | 35-ეს.კ. |
| დავით ქარდავა | 12.11.83 | დინამო |
| ზურაბ ნიკურაძე | 12.04.83 | ვაკე 91 |
| ერეკლე ელყანიშვილი | 19.11.83 | ვაკე 91 |
| ნიკოლოზ ჯღარკავა | 26.05.83 | 35-ეს.კ. |

*მწვრთნელი:* რევაზ გაგუა

### ბულგარეთი

| | | |
|---|---|---|
| ვირენ უზუნოვი | 18.01.83 | ლოკომოტივი რუსე |
| ნიკოლაი გოდიევი | 13.01.83 | სეპტემვრი სოფია |
| კუნჩო კუნჩევი | 27.06.83 | სპარტაკი პლევენი |
| პაველ გრიგოროვი | 18.01.83 | ლოკომოტივი რუსე |
| მიხაილ მიხაილოვი | 24.11.83 | ცსკა სოფია |
| ივან კლენოვსკი | 24.05.83 | ლევსკი სოფია |
| მიხაილ ვენკოვი | 28.07.83 | სეპტემვრი სოფია |
| დანიელ ბოიკოვი | 27.04.83 | ბოტევი პლოვდივი |
| ოლეგ სიმეონოვი | 08.07.83 | ლევსკი სოფია |
| ელინ ნეშევი | 14.10.83 | ლევსკი სოფია |
| სლავიკ რადანოვი | 19.07.83 | სლავია სოფია |
| სტეფან ჰარლოვი | 16.01.83 | პლოვდივი |
| დილიან ბაჩვაროვი | 26.06.84 | ვალექსი ტრიავნა |
| მარტინ გუეროვი | 18.05.83 | ლევსკი სოფია |
| გეორგი ანდრიოვი | 01.01.83 | პირინი ბლაგოევგრადი |
| კრასიმირ ივანოვი | 21.06.83 | სლავია სოფია |
| დიმიტარ კრასტევი | 11.09.83 | ლევსკი სოფია |
| დენიმირ პასკალისი | 03.01.83 | ცსკა სოფია |

*მწვრთნელი:* ივაილო [illegible]

### საბერძნეთი

| | | |
|---|---|---|
| ათანასიოს კარაკუცისი | 29.10.83 | ალმოპოს არიდეასი |
| კონსტანტინოს ეფთიმიუ | 27.04.83 | ტრიკალა |
| ემანუელ როსიოსი | 19.01.83 | აპოლონი ლარისა |
| იოანის ნიკოლაიდისი | 01.05.83 | ევოსმოსი |
| მიხალის ფოტიადისი | 21.01.83 | არისი |
| თომას აზარცისი | 19.01.83 | არისი |
| დიმიტრიოს პეტკაკისი | 01.08.83 | აბელოკიპონი |
| ადონიოს სარიგიანიდისი | 12.07.83 | ვერია |
| ანესთის ანასტასიადისი | 21.01.83 | ირაკლისი კოზანი |
| პავლოს პიპერიასი | 06.02.83 | ოლიმპიაკოსი პირეოსი |
| ევაგელოს ცუკალისი | 09.12.83 | კალამატა |
| ფანურიოს გუნდულაკისი | 13.07.83 | კალამატა |
| ნიკოლაოს ტრიადაფილაკისი | 01.01.83 | კალამატა |
| გეორგიოს ციროგიანისი | 02.06.83 | პანილიაკოსი |
| ადონიოს ვასადაკისი | 04.03.83 | აპოლონი ხანია |
| პანაგიოტის პეტრასი | 15.11.83 | ოფი კრეტა |
| მიხალის პაპადოპულოსი | 15.10.83 | კრინისი |
| გეორგიოს პაპადოპულოსი | 06.10.83 | ოლიმპიაკოსი სალონიკი |

*მწვრთნელი:* ტომას სედელიდისი

### ხორვატია

| | |
|---|---|
| სეად დელკიჩი | ზაგრები |
| ივან ჩოსიჩი | კროაცია ზაგრები |
| მარიო ჰაინეშეკი | კროაცია ზაგრები |
| დეიან უდოვიჩიჩი | ვარტექსი ვარაჟდინი |
| ივან ჰაბუში | ვარტექსი ვარჟდინი |
| დანიელ სესარეცი | მარსონია სლავონსკი ბროდი |
| მარკო მარიჩი | კროაცია ზაგრები |
| ანტე ტომიჩი | კროაცია ზაგრები |
| გორან ლიუბოიევიჩი | ოსიეკი |
| ზდრავკო პოპოვიჩი | ზაგრები |
| ზორან კულაშევიჩი | კროაცია ზაგრები |
| ივან კაპოვი | ჰაიდუკი სპლიტი |
| გორან რადნიჩი | ჰაიდუკი სპლიტი |
| სტიეპან პოლიაკი | კროაცია ზაგრები |
| იგორ მოსტარლიჩი | კროაცია ზაგრები |
| ბოიან იურიშიჩი | ვარტექსი ვარაჟდინი |
| ვედრან მედენიაკი | სლავენ ბელუპო კოპრივნიცა |
| კრისტიან კიტნერი | ვარტექსი ვარაჟდინი |

*მწვრთნელი:* მარტინ ნოვოსელაცი

# ოცნებების სასაფლაო

## როდის გავიხარებთ?



უფყლო თევზივით ფართხალებს საქართველოს ნაკრები.

სულს ღაფავს.

სრული ფიასკო და იმედგაცრუება. სამარცხვინოდ ჩამთავრებული ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. მესამე გაბრძოლება საერთაშორისო სარბიელზე, ისევ ჯგუფში ჩარჩენა, ამჯერად ბოლო ადგილი, თავის მოჭრა.

საშინელება — ეს ერთი სიტყვა, ვფიქრობ, კარგად გამოხატავს საქართველოს ნაკრების განვლილ გზას შარშანდელი სექტემბრიდან დღემდე, უფრო სწორად, 9 ოქტომბრამდე, ალბანეთიდან ალბანეთამდე. მოგებით დაწყებულიდან ტირანაში შერცხვენამდე, შესარჩევი ციკლის დაწყებიდან ბოლომდე.

ამ ხნის განმავლობაში დასამშვიდებელ — გასახარი არაფერი გვქონია. ერთადერთი, კლუბების ნაკრებისგან ესტონელთა შემოდგომაზე ძლევას თუ გავიხსენებთ და ვიტყვით, უკლასომ უკლასოს მოვუგეთო.

სხვა? სხვა არაფერი. იყო კენჭისყრა ბელგიურ გენკში, იყო შესარჩევი მატჩების კალენდრის შედგენა ნორვეგიულ ოსლოში, იყო იმედი, იყო ოცნება.

საქართველოს ნაკრებს ხომ წარმოუდგენლად იოლ ჯგუფში მოუწია თამაშმა.

და კიდევ, იყო მალტის საერთაშორისო ოთხთა ტურნირი და ჩვენების პირველი და ჯერაც ერთადერთი ჯილდო — ვერცხლისფერი თასი გამარჯვებისთვის.

ახლა კი, მოვყვეთ 1998 წლის 19 იანვრიდან, გადავფურცლოთ „სარბიელის" დაახლოებით 40 ნომერი და ციტატ-ციტატ წავიკითხოთ თითქმის ყველა მოვლენა, რაც საქართველოს ნაკრებს უკავშირდებოდა. რას ამბობდნენ საქართველოსა და მეტოქეთა გუნდის მწვრთნელები, ფეხბურთელი რას ვამბობდით ჩვენ — ჟურნალისტები.

მაშ, ასე: 1998 წელი. „სარბიელი". 19 იანვარი.

— ...ყველაფერი ისე აეწყო, უკეთესს ვერ ინატრებდი. ახლა აღარ გვექნება იმის საფუძველი, ევროპის ჩემპიონატზე ვერმოხვედრა თანაჯგუფელთა სიძლიერეს დავაბრალოთ. ხუთი მეტოქიდან არც ერთია ისეთი, ციდან ვარსკვლავებს წყვეტდეს. მართალია, ვარსკვლავებს ვერც ჩვენ ვეპოტინებით, მაგრამ...

სლოვენია — სრულიად შესაძლებელია მათთან ორჯერვე გამარჯვება.

ნორვეგია — საკმაოდ შეთამაშებული გუნდია. საქართველოსთან ერთად ჯგუფის ფავორიტად ჩათვალეთ.

ალბანეთი — რა გუნდი ალბანეთია, ქართველებმა ექვსი ქულა არ ვივარაუდოთ? თუმცა კი 1994 წლის დეკემბერში ტირანაში გამარჯვება ნერვების წყვეტის ფასად მოვიპოვეთ.

საბერძნეთი — ელინელთა ფავორიტობის რა მოგახსენოთ. ნაღდი კია — უხერხული მეტოქეა.

ლატვია — ოო, ბალტიისპირელებს სატრაბახო ერთი აქვთ — ქართველი მწვრთნელი. ნათქვამია, ქართველს ქართველი თუ დაამარცხებსო, თორემ ლატვიელები რისი მაქნისებიც არიან, ყველამ კარგად ვიცით. მათ ორივე მატჩი უნდა მოვუგოთ. საკითხავი მხოლოდ ის გვაქვს, ძოძუაშვილმა არ მოიგონოს რამე ხრიკი და ქულა არ დაგვაკარგვინოს.

ასე ვაფასებდით მაშინ ჩვენს მომავალ მეტოქეებს.

20 იანვარი. ინტერვიუ ვლადიმერ გუცაევთან, საქართველოს ნაკრების იმდროინდელ მწვრთნელთან.

— ...ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ საქმეს. სავსებით ნორმალური ჯგუფი გვერგო. თუ კარგად მოვემზადებით, ამ ჯგუფიდან გასვლა შეიძლება.

ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან, ლატვიის ნაკრების იმდროინდელ მწვრთნელთან.

— ...თუ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა გვსურს, უფრო ხელსაყრელი ჯგუფი აღარ არსებობს. კი გითხარით, ყველა გუნდს გამარჯვების ერთნაირი შანსი აქვს-მეთქი, მაგრამ ფაქტი ესაა — ფავორიტი საქართველო და ნორვეგიაა.

14 თებერვალი. ინტერვიუ ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელ ნილს იოჰან სემბთან:

— ...გვერჩივნა, ქართველთა ნაცვლად სხვა გუნდი შეგვხვედროდა. მესამე კალათაში თქვენზე ბევრად სუსტი გუნდებიც იყვნენ. მალტაზე წამოსვლამდე ნორვეგიის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს, ეგილ ოლსენს ვესაუბრე, ჯგუფში ყველაზე ძლიერი მეტოქე საქართველოაო — მითხრა.

17 თებერვალი.

— ...კალენდარს ურიგო არ ეთქმის. მთავარი ისაა, სასტარტო თამაშებს როგორ ჩავამთავრებთ. ფსიქოლოგიური მომენტი ასეთი სიძლიერის ჯგუფისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. გაიხსენეთ წინა ციკლი, იტალიასთან და ინგლისთან წაგებებით თითქმის გადაწყვეტილი იყო ჩვენი უსაფრანგეთოდ დარჩენა.

30 მაისი. რუსეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის დღე. აჰა, დიდგორი!..

— საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს. გაიმარჯვებს, რადგან თქვენ ქართველები ხართ!.. გთხოვთ...

1 ივნისი. საქართველო — რუსეთი 1:1

— ...ამ მატჩს დიდხანს რომ ველოდით, ფრედ დასრულება ეწერა. არა, გამარჯვებაზე უარს ვინ იტყოდა, მაგრამ ურიგო არც ფრე იყო. ბოლოს და ბოლოს, ესეც საქმეა, ნაკრებს ზედიზედ რვა თამაში არ წაუგია.

24 ივლისი. ინტერვიუ ვლადიმერ გუცაევთან

— ...დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ წლევანდელ თამაშებს ალბანეთთან, ლატვიასთან და ბერძნებთან. ამათთან უნდა გავიმარჯვოთ, რათა მერე მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ.

1 აგვისტო. ინტერვიუ ასტრიტ ჰაფიზისთან, ალბანეთის ნაკრების მწვრთნელთან.

— ...საქართველო და ბერძნები მეორეობისთვის იბრძოლებენ, თუმცა გამორიცხული არაა, ჯგუფში თქვენებმა გაიმარჯვონ.

18 აგვისტო. ვლადიმერ გუცაევი

— ...ჩვენ ყოველთვის, ყველგან მოსაგებად მივდივართ. ახლაც ასეა, უკრაინელებს უნდა მოვუგოთ. კიევის მატჩი ზოგიერთვისთვის უკანასკნელი გამოცდა იქნება, ეროვნულ გუნდში მხოლოდ პატრიოტებმა უნდა ითამაშონ.

20 აგვისტო. უკრაინა — საქართველო 4:0. უკრაინამ სარკეში ჩაგვახედა.

— ...ეს მატჩი ტაქტიკურად არ წაგვიგია. არც მხოლოდ ფიზიკურად, როგორც კუტივაძემ განაცხადა. ცხადზე ცხადია, ნაკრებში თამაში ბევრს სულაც არ ემაყება.

21 აგვისტო. დაისი და საბერველი.

— ...გუცაევის საბერველი რაგინდ დიდი იყოს, ნაკრების მინავლებული ნაკვერჩხლისგან ცეცხლს ძნელად თუ დაანთებს.

8 სექტემბერი. საქართველო — ალბანეთი 1:0. გავიხაროთ?

— ...რახან ბედმა გაგვიღიმა, და შესარჩევი ციკლი გამარჯვებით დავიწყეთ, აწი ოცნებაც შეგვიძლია.

ეს იყო საქართველოს ნაკრების პირველი და ბოლო გამარჯვება ევროპის 2000 წლის მეორე შესარჩევ ჯგუფში.

გავაგრძელოთ.

8 სექტემბერი. რევაზ ძოძუაშვილი

— ...სადაც ჩვენ მოვუგეთ ნორვეგიელებს, საქართველოსაც შეუძლია გამარჯვებაზე ფიქრი.

10 ოქტომბერი. ვლადიმერ გუცაევი

— ...ლატვიაში ფეხბურთელების მომზადების დონით კმაყოფილი ვარ. ვატყობ, მათ შეიგნეს, რას ნიშნავს ეროვნულ გუნდში თამაში. ლატვიას უნდა მოვუგოთ.

13 ოქტომბერი. ლატვია — საქართველო 1:0. იცოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ.

— ...კრიჭა ყველას შეკრული ჰქონდა. ხმის ამომღები არავინ იყო. წაგების მიზეზი რა იყო? ელემენტარული რამ. ლატვიელებმა ჩვენებურების ყველაფერი კარგად იცოდნენ. ქართველებმა კი არ უწყოდნენ მთავარი — ლატვიელებს რომ შემთხვევით ანგარიში გაეხსნათ, მერე რა უნდა ექნათ.

14 ოქტომბერი.

— ...ქართული ჭიდაობა საბერძნეთში. ვინ ვის? გუცაევი თუ...

15 ოქტომბერი. საბერძნეთი — საქართველო 3:0. ქართველებს დასცინიან.

— ...ჩვენები გათახსირდნენ, მოკლედ და კონკრეტულად.

16 ოქტომბერი. წავაქციოთ წასაქცევი, თორემ ყველა წავიქცევით.

— ...ორი თამაში სტუმრად. ორი წაგება. შინ უქულოდ დაბრუნება.

ეროვნულ გუნდში მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის დაპირისპირება ამ მატჩებისას აშკარა გახდა. 1998 წელს საქართველოს ნაკრებმა ერთი ამხანაგური მატჩიც ითამაშა.

19 ნოემბერი. საქართველო — ესტონეთი 3:1. ვისი სული გვსურს?

— ...გუშინ დიდი არაფერი მომხდარა. საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ესტონეთის ანალოგიურ ნაკრებს 3:1 მოუგო და გაიხარა. ჩვენც ასევე.

23 მარტი. 1999 წელი. საქართველო — უკრაინა 0:1. უკრაინას ვერ ვუპასუხეთ.

— ...ნაკრებმა იბრძოლა, მაგრამ ეს ამხანაგური მატჩი, ოფიციალურს კვირით რომ უსწრებდა, წააგო. აღდგომა და ხვალეო. აგერ ჩვენ და აგერ თქვენ. აგერ საქართველო და აგერ სლოვენია. ვნახოთ, ვისი აჯობებს.

25 მარტი. ინტერვიუ სრეჩკო კატანეცთან, სლოვენიის ნაკრების მწვრთნელთან.

— ...თბილისში ფრეზე ყაბულს ვარ. ეს ლოგიკური იქნება. იმედი მაქვს, ასეც მოხდება.

30 მარტი. საქართველო — სლოვენია 1:1. ბაი-ბაი, ევროპა!

— ...ბაი-ბაი, დაგვემშვიდობა პრესკონფერენციის შემდეგ სრეჩკო კატანეცი. ჩვენ კი 27 მარტის საღამოს ერთად უნდა გამოგვეტირა საქართველოს ნაკრები და ევრო 2000-ზე ოცნება.

მერე ნორვეგიის ჯერი დადგა. ის მართლაც კოშმარული ღამე.

28 აპრილი. ოლე გუნარ სოლსკიაერი, ნორვეგიის ნაკრების თავდამსხმელი.

— ...ბევრი კარგი ფეხბურთელი გყავთ, მაგრამ ჩვენს წარმატებაში დარწმუნებული ვარ.

29 აპრილი. საქართველო — ნორვეგია 1:4. ქართული ფეხბურთის კოშმარული ღამე.

— ...ეს არ არის მარტო წაგება. ეს არ არის მარტო დიდი ანგარიშით წაგება. ეს არ არის მარტო შერცხვენა. ეს არის დიაგნოზი: ქართულ ფეხბურთს დამბლა დაეცა!

ამ მატჩის მერე კი ვლადიმერ გუცაევმა მწვრთნელის პოსტი დატოვა, რის თაობაზეც ნორვეგიელების თბილისში ჩამოსვლამდეც გააკეთა განცხადება. 6 აპრილს მან თქვა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აქედანვე შევთავაზე, ჩემი შემცვლელი ეძებოს. ნორვეგიასთან 28 აპრილის მატჩის შემდეგ, შედეგის მიუხედავად, მე თანამდებობას ვტოვებ — გუცაევის მაშინდელი სიტყვებია.

და დადგა ჯერი ახალი მწვრთნელისა...

7 მაისი. იოჰან I.

იოჰან ბოსკამპი: პირველი უცხოელი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მორყეულ ტახტზე.

— ...მე მუდამ მოგებაზე ვფიქრობ. ვინც სხვანაირად აზროვნებს, ფეხბურთში არაფერი ესაქმება.

1 ივნისი. ნორვეგია — საქართველო 1:0

— ...ახალი მწვრთნელი და ძველი ფეხბურთელები. ახალი შინაარსი და ძველი შედეგი. ერთი თვის წინანდელთან შედარებით საქართველოს ნაკრებმა უკეთ კი ითამაშა, თუმცა კვირას 0:1 წააგო და სასურველი თამაშისგან ჯერაც შორსაა.

2 ივნისი. ბოსკამპანია დაიწყო. იოჰან მრისხანემ ზაზა ჯანაშია ნაკრებიდან გააძევა.

4 ივნისი. ინტერვიუ ვასილის დანიელთან, საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელთან.

— ...ჩემი სურვილი ასეთია — უნდა მოგიგოთ. საქართველოს ნაკრებმა ნორვეგიაშიც დაამტკიცა, რომ გამართული ფეხბურთის თამაში შეუძლია.

8 ივნისი. საქართველო — საბერძნეთი 1:2. გახსოვდეთ სიკვდილი!

— ...იოჰან ბოსკამპი მართლა მწვრთნელია.

4 სექტემბერი. საქართველო სლოვენიაში ჯოჯოხეთს იხილავს.

7 სექტემბერი. სლოვენია — საქართველო 2:1. სლოვენიამ თამაშამდე მოგვიგო, ანგარიში თითქმის ყველამ იცოდა.

— ...მოხდა რამე განსაკუთრებული? არაფერი ისეთი, რაც ამ ბოლო დროს არ მომხდარა. საქართველოს ნაკრებმა ლამის ტრადიციულად წააგო, უკვე ზედიზედ მეოთხედ.

9 სექტემბერი. საქართველო — ლატვია 2:2

მიკენის რუბენისი: — ეს არის ქართული ფეხბურთის ტრაგედია. ლატვიის ნაკრებისგან ამდენსაც არ ველოდი.

12 ოქტომბერი. ალბანეთი — საქართველო 2:1. ბოლოში: საქართველო

— ...საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი შავი ფურცელი შემატა მკითხველისთვის უკვე ობმოკიდებულ ისტორიის წიგნს.

ამ მატჩის მერე კი ალბანელმა კოლეგამ საგანგებოდ „სარბიელისთვის" გამოგზავნილ რეპორტაჟში დაწერა:

— ...მადლობლები ვართ ქართველი ფეხბურთელების, ალბანელები ასე რომ გაახარეს.

13 ოქტომბერი.

— ...ყველაფერი კანონზომიერად დასრულდა. საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა...

— ...ჩვენ მხარს ვუჭერთ სქესობრივ კავშირს. ამ კავშირის შედეგად იბადებიან ფეხბურთის ახალ-ახალი ტალანტები.

აი, ეს გახლავთ ქართველთათვის ჯერ არნახული სამარცხვინო ქრონიკა, მოყოლებული შარშანდლიდან.

ასე აგებდა საქართველოს ნაკრები. ასე ჩაიყარა წყალში წელიწადნახევარი.

ასე დასამარდა ჩვენი ოცნებები.

გავიხარებთ კი ოდესმე ქართული ფეხბურთის შემყურენი?

პასუხი ფეხბურთის ფედერაციაზე, მწვრთნელებზე, ფეხბურთელებზე იყოს.

**ბობა ინასარიძე**

ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** „ბარსელონას“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. „ბარსელონა“ — „რეალის“ შეხვედრის მიწურულს კლუივერტს ნერვებმა უმტყუნა და მადრიდელ ივან კამპოს და არბიტრსაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც მსაჯმა მანუელ დიას ვეგამ მოედნიდან გააძევა. იმ მომენტისთვის „ბარსა“ 2:1 იგებდა, 10 კაცით დარჩენილმა კი „რეალის“ ზეწოლას ველარ გაუძლო და ბურთი გაუშვა. მატჩი ფრედ 2:2 დამთავრდა. კლუივერტის განცხადებით, იგი იმიტომ ყვიროდა და ილანძღებოდა, რომ ღელავდა და ვეგას და კამპოს უპატივცემულოდ მოხსენიება არც უფიქრია.

**რუმინეთის** თასის მერვედფინალი: დინამო (ბუქარესტი) — როკარი 3:1; არჯეში — რესიტა 1:3; პეტროლული (ბერკა) — პეტროლული (პლოეშტი) 0:2; ოცელული — ასტრა 2:1დ.დ. (1:1); რაპიდი — გლორია 1:0; უნივერსიტატეა (კრაიოვა) — სტიაუა 1:0; ბაკეუ — ჩახლაული 1:0; ნაციონალი — ბრაშოვი 4:2.

**იტალიის** „იუვენტუსმა“ „პერუჯას“ იაპონელი პლეიმეიკერის, ჰიდეტოში ნაკატას გადაბირება განიზრახა — იტყობინება „გაძეტა დელო სპორტი“. ტურინელებს ნაკატა მხოლოდ კარგი ფეხბურთელობისთვის არ მიჰყავთ, მას შეუძლია, სპონსორები ძალიან მალე მოიზიდოს — აცხადებენ ტურინული კლუბის ბოსები. ნაკატამ ჯერ კიდევ შარშან დაიგდო კარგი გამთამაშებლის სახელი, როდესაც „პერუჯაში“ გადასული, სერია A-ში სადებიუტო სეზონს ატარებდა. „იუვენტუსი“ შარშანაც ცდილობდა მის გადაბირებას, თუმცა მოლაპარაკება ბოლო წუთს ჩაიშალა. კლუბის ხელმძღვანელებმა მიზეზად ნაკატას ახალგაზრდული ასაკი და გამოუცდელობა დაასახელეს. „ახლა კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, ნაკატა „იუვენტუსში“ გადმოვა“ — აცხადებს კლუბის დირექტორატი.

# ისევ რონალდო

**იტალიური** „ინტერის“ ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო, როგორც ჩანს, ძველ ფორმას იბრუნებს. კვირას იგი წლევანდელ სერია A-ს მეორე მატჩში ითამაშებს, რომელშიც „ინტერი“ „ვენეციას“ დაუპირისპირდება. გეხსომებათ, ტრავმებით შეწუხებულ ფეხბურთელს თითქმის მთელი წინა სეზონი გაუცდა. გასულ კვირაში იგი ორჯერ გავიდა მინდორზე. ჰოლანდია — ბრაზილიის ამხანაგურ შეხვედრაში რონალდომ 70 წუთი ითამაშა. სამიოდე დღის შემდეგ კი საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ასევე ამხანაგურ, „ინტერი“ — „გრასჰოპერის“ მატჩში. სეზონში პირველი შეხვედრა რონალდომ 12 სექტემბერს ჩაატარა. ჩემპიონატის მეორე ტურში მისი გუნდი „რომას“ ხვდებოდა. რონალდომ თავი ვერაფრით ისახელა და მეორე ტაიმის მეცამეტე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. ამასობაში „ინტერის“ მთავარმა შემტევმა ძალამ, კრისტიან ვიერიმ ფეხი იტკინა და როგორც ზემოთ ვწერდით, „ვენეციასთან“ შეხვედრაში მის ადგილს რონალდო დაიკავებს.

„ჩემი მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. ნელ-ნელა ვიბრუნებ ჩვეულ ფორმას. ახლა ვარჯიშებზე სულ უფრო დიდ დატვირთვებს ვიღებ, რაც სულ მალე შედეგს გამოიღებს“ — განუცხადა რონალდომ „გაძეტა დელო სპორტს“.

მას შემდეგ, რაც მარჩელო ლიპიმ შეტევაში ვიერი და სამორანო დააწყვილა, მილანში ჭორი აგორდა — რონალდო გუნდიდან წავაო. ამაზე ბობი რობსონმა განაცხადა, ამ ფეხბურთელის „ნიუკასლში“ ხილვა მსურსო. რონალდოს გადაბირება „ლაციომაც“ მოინდომა. რომაელებს ბრაზილიელის ყიდვა ჯერ კიდევ მაშინ სურდათ, როცა ეს ფეხბურთელი „ბარსაში“ თამაშობდა. მაშინ „ინტერმა“ ესპანელებს უკეთესი პირობები შესთავაზა. თავად რონალდომ ლიპის მხარე დაიკავა და უარყო ხმები მისი შესაძლო წასვლის შესახებ. „მსურს, გულშემატკივარი ჩვენი გუნდის გამარჯვებით გავახარო“ — თქვა მან.

როგორც ჩანს, რონალდოს პირადი ცხოვრებაც მოგვარდა. იგი და მისი მეგობარი გოგონა მილენ დომინგესი აპრილში შვილს ელოდებიან. ამას წინათ ფეხბურთელი კოსოვოსაც ესტუმრა მეტი პოპულარობის მოსახვეჭად. მთელმა მსოფლიომ იხილა ტელევიზიით რონალდოსთან მობურთალი კოსოვოელი ბავშვები.

თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ გვარდება კონფლიქტი „ინტერსა“ და ბრაზილიის ნაკრებს შორის. საქმე ისაა, რომ ბრაზილიის ნაკრებს მეტად გადატვირთული კალენდარი აქვს. „ინტერის“ ხელმძღვანელობა შიშობს, ფეხბურთელი ჯერ ფორმაში არ არის და ამხელა დატვირთვას ვერ გაუძლებსო. ბრაზილიელთა მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო კლუბს დაეთანხმა და რონალდოს ნაკლებმნიშვნელოვან მატჩებზე აღარ გამოიძახებს. იგი თვლის, რომ მისი და ლიპის შეთანხმებული მოქმედება, რონალდოს ფორმის უსწრაფესად აღდგენის საშუალებას მისცემს.

„დარწმუნებული ვარ, ეს რონალდოს კვლავ აიყვანს საფეხბურთო სამყაროს მწვერვალზე“ — დაუმატა ლუქსემბურგომ.

# პელე, მარადონა, კრუიფი

## მსოფლიო საუკუნის ფეხბურთელის [illegible]



დიეგო მარადონა





იოჰან კრუიფი და პელე

ამ დღეებში საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა იმ 10 გამორჩენილი ფეხბურთელის სია, რომლებიც „საუკუნის ფეხბურთელის“ ათეულში შევიდნენ. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც სწორედ ამ უძველესი ინგლისური თამაშის წყალობით საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. ბრაზილიელები — პელე და გარინჩა, არგენტინელები — დიეგო მარადონა და ალფრედო დი სტეფანო, ფრანგი მიშელ პლატინი, ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი, გერმანელი ფრანც ბეკენბაუერი, უნგრელი ფერენც პუშკაში, პორტუგალიელ-მოზამბიკელი ეუსებიო და ინგლისელი ჯეკი ჩარლტონი.

ამასთან ერთად ასოციაციამ მოაწყო გამოკითხვა საუკუნის მოთამაშის ტიტულის გამოსვლენად. შედეგები ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია, მისი გამომზეურება კი 2000 წლის 4 იანვარსაა დაგეგმილი გერმანიის ქალაქ როტენბურგში. ამ დღეს მოწვეულ სტუმართა შორის ერთის გარდა ყველა ზემოჩამოთვლილი ვარსკვლავი იქნება. ის ერთი კი მანუელ ფრანსისკო დოს სანტოსი, იგივე გარინჩაა, რომელიც 1983 წელს გარდაიცვალა.

როგორც ხედავთ, ათეულში უმრავლესობას თავდამსხმელები და ნახევარმცველები შეადგენენ, ერთადერთი მცველი, რომელიც თამამად აცხადებს პრეტენზიას საუკუნის ფეხბურთელობაზე, ეს 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ახლა კი მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი გახლავთ. აი, ბრაზილია კი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ტიტულის მოსაპოვებლად ორი წარმომადგენელი ჰყავს. აქ იქნებ მკითხველი განცვიფრდეს და იკითხოს, ალფრედო დი სტეფანო ხომ არგენტინელიაო. მართალიც იქნება, მაგრამ, როგორც ჩანს, ასოციაციამ დი სტეფანო ესპანელად ჩათვალა, მას ხომ ესპანეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული.

კიდევ ერთი სტატისტიკური დეტალი. ასოციაციამ ათეული გეოგრაფიული პრინციპითაც დაყო, სადაც უდავო უპირატესობა ევროპას აქვს. ევროპულ კონტინენტს 5 ვარსკვლავი წარმოადგენს — პლატინი, კრუიფი, ბეკენბაუერი, ჩარლტონი და პუშკაში. ევროპელთა შემდეგ სამხრეთამერიკელები მოდიან — პელე, მარადონა, დი სტეფანო და გარინჩა. შეამჩნევდით, აქ ასოციაციას დი სტეფანო უკვე ლათინოამერიკელად გამოჰყავს. ერთადერთი წარმომადგენელი აფრიკასაც ჰყოლია — ეუსებიო, წარმოშობით მოზამბიკელია, მაგრამ დღემდე პორტუგალიური ფეხბურთის ჩაუმქრალ ვარსკვლავად ითვლება.

გიორგი ვაშაკიძე

# ციმბალარს ბარისკენ მიუთითეს

## რად მინდა ისეთი ფეხბურთელი, რომელიც მუდამ იმის ფიქრშია, ღამის კლუბი არ გავაცდინოო — აცხადებს რომანცევი

**დიახ**, დიახ, მოსკოვი შოკირებულია. ბოლო დღეებია, რუსულ საფეხბურთო წრეებში გაფუჭებული ფირივით ერთსა და იმავეს ატრიალებენ — ეს ხომ სისულელეა, გაიგეთ, რომანცევმა ილია ციმბალარი „სპარტაკიდან“ გააგდო, ფეხბურთელს ტარასოვკას ბაზაზე შესვლაც კი აკრძალული აქვსო. მოსკოვის „სპარტაკის“ პრესატაშე ალექსანდრ ლვოვი ამას არც ადასტურებს და არც უარყოფს. რუსეთის უპირველესი კლუბის წარმომადგენლები ყოველივეს გამომზეურებას „ლოკომოტივთან“ დღევანდელი მატჩის შემდეგ აპირებდნენ, მაგრამ ჟურნალისტებს რას გამოაპარებ. ჰოდა, ჩვენმა რუსმა კოლეგებმაც რომანცევის სკანდალური გადაწყვეტილების შესახებ შეიტყვეს.

ილია ციმბალარი სრულიად რუსეთისთვის ჩვეულ დისციპლინის დარღვევას დაუღუპავს.

ამას წინათ, რუსეთ-გერმანიის მეორე ნაკრებების მატჩისას, ოლეგ რომანცევმა ციმბალარსაც უხმო შეკრებაზე. მან კი, კიდევ ერთ თანამზრახველთან ერთად, რომლის გვარიც უცნობია, რომანცევისგან მალულად თამაშამდე ერთი დღით ადრე, შეკრების მიტოვება განიზრახა და ღამის კლუბს მიაშურა დროის სატარებლად.

რომანცევმა, რა თქმა უნდა, ეს შეიტყო და თავის თანაშემწე სერგეი პავლოვს კატეგორიულად მოსთხოვა, ციმბალარი გერმანიასთან მატჩის განაცხადში არ შეეყვანა, მოგვიანებით კი ფეხბურთელი სულაც გააგდო გუნდიდან.

— რად მინდა ისეთი ფეხბურთელი, რომელიც მუდამ იმის ფიქრშია, ღამის კლუბი არ გავაცდინოო — განაცხადა რუსეთის ნაკრებისა და „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა.

ილია ციმბალარი უკვე მეორე ფეხბურთელია, რომელიც კლუბიდან გააძევეს მანამდე, ალბათ, გახსოვთ, რომანცევმა ასევე უდისციპლინო სერგეი იურანი დაითხოვა.

— ახლა ციმბალარს და იურანს თავისუფლად შეუძლიათ, ერთად იარონ ღამის კლუბებში. არაა გამორიცხული, მათ ესპანური „სელტას“ ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოიც შეუერთდეს — დასძინა რომანცევმა. მოგეხსენებათ, მოსტოვოის რომანცევი პრინციპულად არ იწვევს რუსეთის ნაკრებში.

ესეც ასე. ამასთანავე, „სპარტაკის“ მწვრთნელი გაძლიერებაზეც ფიქრობს და „სპარტაკი 2000“-ის ძლიერ გუნდად ჩამოსაყალიბებლად სასურველ ფეხბურთელში რუსეთისთვის ჯერ არნახული თანხის გადახდასაც არ მოერიდება, თუ, რა თქმა უნდა, თავდაპირველად კლუბები მას უარით მოიშორებენ. მოგეხსენებათ, რომანცევი ამავე დროს მოსკოვის „სპარტაკის“ პრეზიდენტიცაა. ჰოდა, გუნდიდან გაგდებული ციმბალარის ადგილზე მას ცსკა-ს ნახევარმცველი სერგეი სემაკი შეუგულებია. რაც შეეხება სანკტ პეტერბურგში მოთამაშე ფორვარდ ალექსანდრ პანოვს, მისი „სპარტაკში“ გადაყვანა ერთობ ჭიანურდება, თუმცა რომანცევი უკან დახევას არ აპირებს, რაც არ უნდა დამიჯდეს, პანოვი სულ მალე სპარტაკელი გახდებაო — აცხადებს იგი. რუსეთის ნაკრების მწვრთნელს რუსეთ-უკრაინის მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ზენიტელ პანოვზეც ჰკითხეს, მართალია თუ არა, რომ მას სულ მალე „სპარტაკში“ ვიხილავთო. რომანცევმა ჟურნალისტებს უპასუხა — ეს ძალიან სერიოზული საკითხია, რა თქმა უნდა, სურვილი მაქვს, პანოვი გადმოვიყვანოთ, მაგრამ დაწვრილებით ამაზე საუბრის დრო ახლა ნამდვილად არ არის, მერე ვნახოთო.

ჰოდა, ალაპარაკდა კიდეც რომანცევი, პანოვი მინდაო.

გიორგი ვაშაკიძე

# ბედნიერი დღე



მაიკლ ჯორდანი



რაული

**უცნაურზე** უცნაური რამ შეემთხვა მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელს, რაულს: ამერიკიდან თხოვნა მიიღო, თუ შეიძლება ავტოგრაფი გამომიგზავნეო.

უფრო ზუსტად, ამერიკელი თაყვანისმცემლის ეს თხოვნა რაულს ვალენსიაში დასასვენებლად ჩასულმა სხვა ამერიკელებმა, მთხოვნელის მეგობრებმა გადასცეს. რაულს გული კინაღამ საგულედან ამოუვარდა, მის ფან კლუბში ყველას ხილვას ელოდა მის, მაიკლ ჯორდანის გარდა.

„მაიკლ ჯორდანს, ყველა დროის უდიდეს სპორტსმენს, მისი დიდი თაყვანისმცემლისაგან. რაულ გონსალესი“.

ამიერიდან გენიალური კალათბურთელის რელიქვიათა ოთახს ასეთ წარწერიან თეთრი, მადრიდის „რეალის“ მაისურა დაამშვენებს.

# ფული არ მაინტერესებს, რას მერჩიან?

**ოთხშაბათს „ბარსა“ — „რეალის“ მატჩში ნიკოლა ანელკამ მცირე ტრავმის შემდეგ მთელი შეხვედრა ითამაშა. თავიდან საკმაოდ სახიფათოდაც ირჯებოდა, მაგრამ მერე ჩაიკარგა. მწვრთნელებმა მაინც არ გამოცვალეს და ამით ერთგვარად წაახალისეს. მას ხომ „არსენალიდან“ „რეალში“ გადასვლის შემდეგ უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდა. 20 წლის ანელკაც მასში გადახდილმა 35-მა მილიონმა დოლარმა ფსიქოლოგიურად დაამძიმა და დააბნია. მის შესახებ ათასგვარი ჭორ-მართალი დადის და ზაფხულიდან მოყოლებული, ალბათ, ყველას მოაბეზრა თავი. მაგრამ, აი, „უორლდ სოკერში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ანელკა გულახდილად საუბრობს და, ალბათ, ეს დიალოგი ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.**



ნიკოლა ანელკა (მარცხნივ)

**— როგორ ეჩვევით ისეთ კლუბს, რომლის ვარჯიშებზეც ათასობით ადამიანი დადის? „არსენალში“ ხომ ასე არ იყო. იქ დახურულ კარს მიღმა ვვარჯიშობდით.**

— ნელ-ნელა ვეჩვევი. თუმც ხალხმრავლობა მაინცდამაინც არ მიყვარს. როცა მადრიდში ჩავედი, სიტუაცია ლამის უმართავი გახდა. ცხადია, ვიცოდი, რომ ბევრი ხალხი მოვიდოდა, მაგრამ ამდენს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

**— რომელ ფეხბურთელებთან მეგობრობთ?**

— პირველ ხანებში კარემბუ აქაურობას მაჩვევდა. ზეედორფი კი ჩემი მეგობარია. ვიმედოვნებ, რომ გუნდში დარჩება. ჩვენ ხომ მინდორზე ჩინებულად გვესმის ერთმანეთის, თანაც ინგლისურადაც თავისუფლად ვსაუბრობთ და საქმეს ესეც გვიადვილებს.

**— ესპანური ლიგის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის ტვირთს თუ გრძნობთ?**

— რა თქმა უნდა. უამრავ ხალხს ხომ ჩემი ხელფასი აღელვებს. არადა, „რეალში“ უფულოდ გადასვლა რომ შემძლებოდა, აუცილებლად ასე მოვიქცეოდი. რა ჩემი ბრალია, თუ ჩემში ამდენი გადაიხადეს. ყველაფერი კლუბის პრეზიდენტმა გადაწყვიტა. მე კი რა მომეთხოვება, ფორმაში ვიყო და კარგი თამაში ვაჩვენო.

**— ოდესმე „ბარსელონაში“ გადასვლაზე თუ გიფიქრიათ?**

— „ბარსელონა“ ძალიან მომწონს, მაგრამ იქ შემადგენლობა დაკომპლექტებულია. ამიტომ, როგორც კი გავიგე, „რეალი“ მიწვევდა, მაშინვე გადავწყვიტე, მადრიდში გადავსულიყავი.

**— „არსენალი“ საბოლოოდ დაივიწყეთ?**

— ინგლისი სინანულის გარეშე დავტოვე. იმ ორი წლის განმავლობაში, რაც იქ გავატარე არასოდეს მოვდუნებულვარ. ვერავინ იტყვის, ანელკა ბოლომდე არ იხარჯებოდაო. აი, „არსენალის“ პრეზიდენტი დევიდ დინი რომ არა... ვგრძნობდი, რომ ეს კლუბი უნდა დამეტოვებინა, თუმცა მასთან ხელშეკრულება 2003 წლამდე მაკავშირებდა. ახლა ბევრი ფეხბურთელი კონტრაქტებს ცალსახად არღვევს. მოთამაშეები ცოცხალ საქონლად გადაიქცნენ და კონტრაქტი დღეს ბევრს არაფერს ნიშნავს. თუნდაც ვიერის მაგალითი ავიღოთ, სამ წელიწადში სამი კლუბი გამოიცვალა და არავის გაკვირვებია, მაგრამ როცა ჩემზე იწყებენ ლაპარაკს, რატომღაც ყველაფერი პრობლემა ხდება. ვერ გამიგია, რატომ. უსიამოვნებები არასოდეს მიძებნია და ცუდს არაფერს ვაკეთებ. უბრალოდ, კლუბის ხელმძღვანელებს ვუთხარი, რომ სხვაგან გადასვლა მსურდა. დინმა ჩემში 800 ათასი დოლარი გადაიხადა, მერე ისეთ თანხად გამყიდა, რომელიც ამ ციფრს 44-ჯერ აღემატება. ერთი სიტყვით, გვარიანი ფული იშოვა და კიდევ ხელს მიშლის. ეს კაცი მხოლოდ ფულზე ფიქრობს.

**— თქვენი მეგობარი ტიერი ანრი „არსენალში“ გადავიდა. ელაპარაკეთ?**

— ჯერ არა, მაგრამ ერთხელაც ყველაფერს ავუხსნი და მივახვედრებ, როგორ მოიქცეს. ის არ შემცდარა, როცა „არსენალი“ აირჩია. ინგლისში გატარებულ წლებს ახლაც სიამოვნებით ვიხსენებ. „არსენალმა“ ბევრი რამ მომცა.

**— მაშინ ესპანეთში რატომღა წახვედით?**

— იმიტომ, რომ თავიდანვე ვიცოდი, „არსენალში“ ორ წელიწადზე მეტს არ გავჩერდებოდი. ესპანეთის ლიგა ყოველთვის მომწონდა და იქ თამაშზე ვოცნებობდი. ამიტომ მივიღე არცთუ იოლი გადაწყვეტილება და აი, ახლა „რეალში“ ვარ. აქაურობა ძალიან მომწონს.

**— „არსენალიდან“ წასვლით ვენგერი ხომ არ მოიმდურეთ?**

— არა. ყოველთვის ვაქებდი ამ კაცს. გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ ჩემს გარშემომყოფთ აკრიტიკებდა. ვენგერს ეგონა, მათ მხოლოდ ფული აინტერესებდათ, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩემთვის მთავარი ფული რომ ყოფილიყო, „იუვენტუსში“ გადავიდოდი. ტურინელები 48 მილიონს იხდიდნენ. თუმცა ფული არ მაინტერესებს. მართალია, „რეალში“ „არსენალზე“ მეტს მიხდიან, მაგრამ ხელფასს მე ხომ არ ვნიშნავ. გემახსოვრებათ ეს ხმაური ორ თვეს გაგრძელდა. დინს „იუვენტუსის“ ფული უნდოდა და ამიტომ აყოვნებდა.

**— ყველაფერი დინის ბრალია?**

— იცით, როგორი კაცია? თქვენ ერთს გეუბნებათ, პრესას — მეორეს. როცა ჩემი წასვლის სურვილი გავანდე, მითხრა, რითაც შევძლებ, დაგეხმარებიო და ბედნიერი მომავალი მისურვა. თვითონ კი „იუვენტუსთან“ მოლაპარაკებები წამოიწყო. არადა, ნათქვამი მქონდა, იტალიაში წასვლა არ მინდა-მეთქი.

**— იტალიური მედია ამტკიცებს, რომ თქვენი ნამდვილი პატრონი „იუვენტუსია“, „რეალში“ კი ერთი წლით იმიტომ გაგანათხოვრათ, რომ გაისად ზიდანში გაგცვალოთ. გსმენიათ ამის შესახებ?**

— რაც მსმენია, ჭორები იყო და მეტი არაფერი. ეს კლუბების პრეზიდენტების საქმეა. მე უკვე ვთქვი, რომ „იუვენტუსში“ თამაში არ მსურს. თანაც მათ ჩემი „ლაციოში“ გადასვლა შეაფერხეს.

**— საქმე რომ მოგვარებულიყო, წახვიდოდით „ლაციოში“?**

— დიახ. „რეალს“ მაშინ ჩემი ხელში ჩაგდების შანსი არ ჰქონდა და სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი.

**— დევიდ დინმა „რეალი“ გააფრთხილა, რომ დაუოკებელი ხასიათი გაქვთ და შვიდწლიანი კონტრაქტის მიუხედავად ერთ მშვენიერ დღეს მადრიდელებსაც ისე მოექცევით, როგორც „არსენალს.“**

— დინმა ისედაც დიდი ფული აიღო და ასეთ სიტყვებს არ უნდა ამბობდეს. ყოველ დამარცხებას ძალიან განვიცდიდი, მაგრამ თამაშში ყველაფერს ვაქსოვდი და „არსენალი“ ჩემით უკმაყოფილო არ უნდა იყოს. თუ დინი სხვაგვარად ლაპარაკობს, მაშინ ის თვალთმაქცია.

**— თქვენს გარშემომყოფთ ხშირად აკრიტიკებენ. ლიზიანდებით, როცა თქვენს ძმებსა და მარკ როჯერს აუგად იხსენებენ?**

— ამგვარი კრიტიკა შურიანი ხალხის მოგონილია. ადგილები რომ შეუცვალოთ, ეს ხალხიც მსგავსად მოიქცეოდა. ძმებს ჩემზე გული შესტკივათ. ისინი ძმებიც არიან და მენეჯერებიც, თანაც კარგად იციან, რასაც აკეთებენ. აი, „რეალში“ ვარ, იმიტომ, რომ მინდოდა. ჩემის მხრივ, მეც ვზრუნავ ოჯახზე და ახლობლებზე.

**— კითხულობთ, რასაც თქვენზე გაზეთებში წერენ?**

— არა. მწყინდება ხოლმე. სასიამოვნოა, როცა საზოგადოების ყურადღებას იქცევ, მაგრამ დამღლელიც არის. მართალი გითხრათ ვარსკვლავობა არ მინდა. ეს ყველას აღიზიანებს. წარმოგიდგენიათ, ქალაქში მშვიდად ვერ გამივლია.

**— კრისტიან კარემბუმ თქვა, რომ თქვენ ესპანურ პრესასთან ურთიერთობა უნდა ისწავლოთ.**

— რა პრობლემაა. „არსენალში“ გადასულიც არ ვიყავი, რომ ინგლისური პრესა უკვე მაკრიტიკებდა. არ ვიცი, იქნებ ასაკისთვის შეუფერებლად კარგ თამაშს ვაჩვენებდი და ამით ხალხს ვაღიზიანებდი, ან იმიტომ, რომ იან რაიტის ადგილი დავიკავე, ანაც მინდორზე არასოდეს რომ არ ვიღიმებოდი. მაგრამ ვინმეს გაცინებული ბერხკამპი გინახავთ? ამას ხომ ყურადღებას არავინ აქცევს. ჩემი კი ყველაფერი თვალში ხვდებათ. ერთხელაც უქმეებზე შინ, ოჯახში წავედი და მაშინვე ახმაურდნენ, ანელკას ლონდონი არ მოსწონსო. რა უნდოდათ ჩემგან? პირველივე სეზონში 17 ბურთი გავიტანე და პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელადაც დამასახელეს. ჟურნალისტები იმასაც კადრულობდნენ, რომ კვარტალში ბავშვებს ფულს უხდიდნენ ჩემი მისამართის გასაგებად. განა ეს ნორმალურია? არადა, არ მიყვარს ინტერვიუები და ხალხში თავის გამოჩენა. ესპანეთში პრესასთან ხშირად მომიწევს ურთიერთობა, მაგრამ დასაშვებ ზღვარს არასოდეს გადავაბიჯებ.

**— გადაბარგებამ ხომ არ შეგაწუხათ?**

— არა. ეს პერიოდი კარგად გავატარე. ტელეფონი გამოვრთე, მეგობრებთან ერთად ვისვენებდი, ხანდახან ბურთსაც ვაგორებდი. მხოლოდ ჩემს ძმებთან მქონდა კავშირი. ასეთი ხასიათი მაქვს.

**— სარწმუნოება გეხმარებათ?**

— დიახ. ისლამის მიმდევარი გახლავართ და მჯერა, რომ ჩვენს ბედს ღმერთი განაგებს. თუ მას უნდა, რომ ძლიერი კლუბი გამოვნახო, ან „რეალში“ ბევრი გავიტანო, ასეც იქნება. თუ არა და ჩავიძირები. ეს არის და ეს.

**— ერთმა ესპანურმა გაზეთმა „მორცხვი მეამბოხე“ გიწოდათ. შეგეფერებათ ასეთი ეპითეტი?**

— რატომ „მეამბოხე“? ნუთუ შეიძლება, ადამიანი მეამბოხე იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი კლუბიდან მეორეში გადავიდა?

**— „მორცხვობაზე“ რაღას იტყვით?**

— დიახ, მორცხვი გახლავართ. რაც ნამდვილად მიყვარს, ეს ფეხბურთის თამაშია. ბევრი ლაპარაკი კი მაღიზიანებს. რა ჩემი ბრალია, თუ პრესისთვის საინტერესო ვარ. მერჩივნა, ყველასათვის უცნობი დავრჩენილიყავი. სხვათა შორის, ეს სულაც არ შემიშლიდა ხელს ფეხბურთის თამაშში.

**— მართალია, თითქოს ზიდანმა დაგირეკათ და „იუვენტუსში“ გადასვლას გთავაზობდათ?**

— მთლად ასე არ იყო. ტიერი ანრიმ დამირეკა, გვერდით კი თურმე ზიდანი ეჯდა და ყურმილიც მას გადასცა. ჩვენ რაღაც-რაღაცეებზე ვილაპარაკეთ, მაგრამ ტურინში გადასვლაზე სიტყვაც არ უთქვამს. ზიდანი ჩინებული ფეხბურთელია, ამასთან, ჩემი მეგობარიც გახლავთ. ერთმანეთს ვგავართ კიდეც — არც მას უყვარს ბევრი ლაპარაკი. თუ ჭორებს დავუჯერებთ, გაისად ის „რეალში“ აპირებს გადმოსვლას. თუ ასე მოხდა, ძალიან გამიხარდება.

**— არ მოგწყინდათ ყოველდღიური „საპნის ოპერები“ ანელკაზე?**

— უფრო მართებული იქნება, ამისთვის „დევიდ დინის საპნის ოპერები“ დაგვერქვა. სწორედ მან გაწელა ჩემი გადასვლის ამბავი. არადა, ყველაფრის სამ დღეში მოგვარება შეიძლებოდა. დინს „რეალის“ გაგონებაც არ სურდა, მხოლოდ „იუვენტუსი“ აინტერესებდა. მაგრამ ცოტა სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დაავიწყდა, როცა „არსენალში“ მივყავდი, კონტრაქტით პსჟ-ს ვეკუთვნოდი. მაშინ თავადაც ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ახლა „რეალი“, მაგრამ აღიარება არ უნდა.

**არნოლდ რემზი**
**„უორლდ სოკერი“**

---

## კითხვა–პასუხი

***— რუსეთი შემეცოდა.***

— მე უკრაინა უფრო მეცოდებოდა შევჩენკოს მოქნეულამდე.

***— ეგრე ბრმად იქნება?***

— ბურთი მრგვალია, ხან იქეთ გაუხვევს, ხან აქეთ გამოუხვევს.

***— ისე, სანთლები ტყუილად არ დაგინთიათ...***

— აბა, იქ პოლონეთი გინდოდა?

***— არა, მაგრამ, საკვირველი ის არის, რომ შვედებს არ დომებიათ პოლონეთი.***

— შვედებმა სპორტული სული გამოამჟღავნეს.

***— არ გვინდა სადღეგრძელოები.***

— ერთი სადღეგრძელო მათქმევინე...

***— შვეციის მეფე გუსტავისა?***

— ახლა გუსტავი აღარ არის.

***— მანდ ყოველთვის გუსტავია.***

— ყველა კაი შვედ ფეხბურთელს გაუმარჯოს კენეტ ანდერსონის თამადობით.

***— რას მელაპარაკები, არსებობენ კაი შვედი ფეხბურთელები?***

— ნორვეგიელები თუ არსებობენ, შვედებმა რა დააშავეს?

***— და ვინ გითხრა, რომ კარგი ნორვეგიელი ფეხბურთელები არსებობენ? დანიელები რომ გეთქვა, კიდევ ჰო.***

— აბა, არ არსებობენ?

***— არსებობენ კარგი ნორვეგიელი მწვრთნელები და მორჩა.***

— იფ, რა მოუგონია?

***— მაგას შევეშვათ. ახლა რას აპირებთ?***

— სქოთებთან?

***— დიახ, სქოთებთან?***

— სქოთებს მაინც მოვუგებთ, მთელი მელ გიბსონები რომ გამოიყვანონ, თავისი კაბებითა და ქამარ-ხანჯლებით.

***— თქვენი ბედი, რომ სტრაჩანი და დალგლიში მწვრთნელები არიან და არა მოთამაშენი.***

— ხომ გეუბნები, ეგენიც გამოიყვანონ. მთელი შოტლანდია გამოიყვანონ გუდასტვირებიანად.

***— კი, სქოთებთან მაგარი გული გაქვთ.***

— და ვისთან არ გვაქვს მაგარი გული?

***— რა ვიცი, ჯერ ის თქვი, ვისთან გაქვს დიდი გული.***

— თფუი! ასეთ კაცთან რომ დაჯდები...

***— მიდი, მოყევი ლეგენდებს, მოყევი, ყველასთან როგორ უნდა მოგეგო და მერე წააგე.***

— ეგრე იყო.

***— მერე მოყევი, პენალტების სერია რომ ლატარიაა და ინგლისელები რომ ლატარიას ვერ იგებენ.***

— მათხოვარო.

***— და გაზა?***

— გაზასაც მიადექი?

***— გაზამ რომ გადაუგდო თავზე კოლინ ჰენდრის და მეორე ფეხით რომ ჩაუჭედა.***

— იმენნა შეუსრულა!

***— და კიდევ მოხდება?***

— რატომაც არა. გაზაც აქაა და ჰენდრიც.

***— და შენ გაგეხარდება?***

— მაშ.

***— და კიდევ რა გაგეხარდება?***

— ხელახლა დაიწყე?

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 100 | ჰამბურგი — ფრაიბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 101 | ვერდერი — მიუნხენი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 102 | ჰანზა — აინტრახტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 103 | ბაიერნი — ჰერტა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 104 | დუისბურგი — კაიზერსლაუტერნი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 105 | უნტერჰახინგი — ვოლფსბურგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 106 | შტუტგარტი — შალკე | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VIII ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 110 | ბოხუმი — კოტბუსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 111 | ვალდჰოფი — ობერჰაუზენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 112 | ბერლინი — კიკერსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 113 | ქემნიცი — ჰანოვერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 114 | მაინცი — ალემანია | 2,2 | 2,9 | 3,0 |

18 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 115 | ნიურნბერგი — კარლსრუე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XI ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 116 | არსენალი — ევერტონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 117 | ქოვენთრი — ნიუკასლი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 118 | დერბი — ტოტენჰემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 119 | ლიდსი — უენსდი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,5 |
| 120 | ლესტერი — საუთჰემპტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 121 | ლივერპული — ჩელსი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 122 | მანჩესტერი — უოტფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 123 | უიმბლდონი — ბრედფორდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 124 | მიდლსბრო — ვესტ ჰემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

18 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 125 | სანდერლენდი — ასტონ ვილა | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XII ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 126 | ბარნსლი — ვულვერჰემპტონი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 127 | ბირმინგემი — კრისტალ პალასი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 128 | ბლექბერნი — გრიმსბი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 129 | ბოლტონი — ჰადერსფილდი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 130 | ფულემი — სუინდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 131 | იფსვიჩი — ქუინზ პარკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 132 | პორტ ვეილი — ნორვიჩი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 133 | პორტსმუთი — ჩარლტონი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 134 | შეფილდი — ნოტინგემი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 135 | სტოკპორტი — ქრიუ | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 136 | ტრანმერი — მანჩესტერ სიტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 137 | ვესტ ბრომვიჩი — უოლსოლი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XII ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 139 | ბლეკპული — ბერი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 140 | ბორნმუთი — სტოკი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 141 | ბრენტფორდი — ოქსფორდი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 142 | კარდიფი — ოლდემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 143 | ლუტონი — ჯილინგემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 144 | მილუოლი — ბარნლი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 145 | ნოტსი — უიკომბი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 146 | რედინგი — უიგანი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 147 | სკანთორპი — პრესტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 148 | რექსემი — ჩესტერფილდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 149 | ბრისტოლი — როვერსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XII ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 150 | ბრაიტონი — იორკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 151 | ჩესტერი — მაკლსფილდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 152 | დარლინგტონი — ჩელტენემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 153 | ექსეტერი — კარლაისლი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 154 | ჰალიფაქსი — პიტერბრო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 155 | ჰალი — ნორთჰემპტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 156 | ლეიტონი — ლინკოლნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 157 | მენსფილდი — ჰარტლპული | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 158 | როჩდეილი — პლიმუთი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 159 | როტერჰემი — ბარნეტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 160 | საუთენდი — შრიუსბერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 161 | ტორკი — სუონსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XI ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 163 | ნანსი — პსჟ | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 164 | ლე ავრი — რენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 165 | სენტ ეტიენი — ტრუა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 166 | ლანსი — მონპელიე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 167 | მონაკო — სტრასბური | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 168 | ნანტი — ბორდო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 169 | ოსერი — ბასტია | 1,6 | 2,9 | 6,0 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 170 | სედანი — მეცი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XIV ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 171 | გენგამი — კანი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 172 | ლავალი — კაენი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 173 | ნიმი — ლე მანი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 174 | ნიცა — ნიორი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 175 | აიაჩო — ვასკეალი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 176 | ლუანი — კრეტეი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 177 | სოშო — გენიონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 178 | ლილი — ლორიანი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 179 | ამიენი — ვალანსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### იტალია. სერია A. VI ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 180 | უდინეზე — ლაციო | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 181 | ფიორენტინა — პარმა | 1,8 | 2,8 | 4,4 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 182 | ლეჩე — რეჯინა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 183 | მილანი — კალიარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 184 | პიაჩენცა — ბოლონია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 185 | ტორინო — ბარი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 186 | ვენეცია — ინტერი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 187 | ვერონა — პერუჯა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 188 | რომა — იუვენტუსი | 2,2 | 2,7 | 3,2 |

### იტალია. სერია C1A. VII ტური

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 189 | ალბინოლეფე — კრემონეზე | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 190 | ბრეშელო — რეჯანა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 191 | კარერეზე — ლუკეზე | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 192 | ჩიტადელა — ლეკო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 193 | კომო — ვარეზე | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 194 | ლივორნო — სპალი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 195 | ლუმეცანე — სანდონა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 196 | მოდენა — პიზა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 197 | მონტევარკი — სიენა | 3,0 | 2,7 | 2,3 |

### იტალია. სერია C1B. VII ტური

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 198 | ანკონა — დი სანგრო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 199 | ასკოლი — მარსალა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 200 | ბენევენტო — ფ. ანდრია | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 201 | კატანია — ვიტერბეზე | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 202 | კროტონე — ატლეტიკო | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 203 | ჯულიანოვა — აველინო | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 204 | ლოდიჯანო — არეცო | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 205 | ნოჩერინა — გუალდო | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 206 | პალერმო — სტაბია | 1,6 | 2,8 | 6,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. VIII ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 207 | ნუმანსია — ბარსელონა | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 208 | ბილბაო — ვალენსია | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 209 | რასინგი — სელტა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 210 | რეალი — ოვიედო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 211 | დეპორტივო — მალაგა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 212 | სარაგოსა — მალიორკა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 213 | ალავესი — რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 214 | ვალიადოლიდი — სევილია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 215 | ესპანიოლი — სოსიედადი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 216 | ბეტისი — ატლეტიკო | 2,3 | [illegible] | 2,8 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. VIII ტური

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 217 | ლევანტე — ესტრემადურა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 218 | ტენერიფე — ვილიარეალი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 219 | სპორტინგი — ელჩე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 220 | უელვა — ეიბარი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 221 | ტოლედო — ხეტაფე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 222 | მერიდა — ბადახოსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 223 | ატლეტიკო B — ალბასეტე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 224 | ლეგანესი — სალამანკა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 225 | ოსასუნა — ლეიდა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 226 | კომპოსტელა — ლოგრონიესი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 227 | კორდობა — ლას პალმასი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### პორტუგალია. VII ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 229 | ჟილ ვისენტე — ბენფიკა | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| 230 | კამპომაიორენსე — ბელენენსეში | 2,6 | 2,9 | 2,4 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 231 | ამადორა — სალგეირუში | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 232 | ფარენსე — სანტა კლარა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 233 | რიუ ავე — სეტუბალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 234 | ალვერკა — სპორტინგი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 235 | ბრაგა — გიმარაეში | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ჰოლანდია. IX ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 237 | სიტარდი — ჰერენვენი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 238 | მაასტრიხტი — უტრეხტი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| 239 | ვიტესი — კამბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 240 | ტილბურგი — ვალვაიკი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 241 | გრააფსხაპი — ტვენტე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 242 | ნაიმეგენი — აიაქსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 243 | პსვ — დენ ბოსხი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 244 | სპარტა — ალკმარი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### საბერძნეთი. IV ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 250 | არისი — პანიონიოსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 251 | ტრიკალა — პანილიაკოსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 245 | პანათინაიკოსი — კალამატა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 246 | ქსანთი — პანაჰაიკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 247 | პაოკ — ეთნიკოსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 248 | ოფი — პროდეფტიკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 249 | აეკ — ირაკლისი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 252 | იონიკოსი — აპოლონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ჩეხეთი. X ტური

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 255 | ვიკტორია — სიგმა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 256 | დუკლა — დრნოვიცე | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 257 | ოპავა — სლავია | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 258 | იაბლონეცი — ბლშანი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 259 | ბუდეიოვიცე — ბანიკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 260 | ტეპლიცე — ლიბერეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 261 | ბრნო — ბოჰემიანსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### პოლონეთი. XII ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 262 | ამიცა — პოლონია | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 263 | ოდრა — პოგონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 264 | პლოცკი — გროცლინი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 265 | გურნიკი — ვისლა | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 266 | ლეხი — ლკს | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 267 | ლეგია — სტომილი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 268 | ზაგლებე — რუხი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 269 | ვიძევი — რაძიონკოვი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### უკრაინა. XII ტური

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 271 | დნიპრო — ზირკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 272 | კრივბასი — მეტალურგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 273 | ვორსკლა — ჩორნომორეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 274 | ზაპოროჟიე — კარპატი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 275 | შახტარი — მეტალისტი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 276 | პრიკარპატია — ცსკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 277 | მარიუპოლი — ნივა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

## თურქეთი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 ოქტომბერი** | | | |
| 279 ანკარაგიუჯიუ — გიოზთეფე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 280 ტრაბზონი — ფენერბაჰჩე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| **17 ოქტომბერი** | | | |
| 281 ისთანბული — გენჩლერბირლიგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 282 დენიზლი — ქოჯაელი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 283 ვანი — სამსუნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 284 გაზიანთეფი — ერზურუმი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 285 ალთაი — ბეშიქთაში | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 286 ადანა — ბურსა | 2,0 | 2,9 | 3,4 |

## შოტლანდია. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 ოქტომბერი** | | | |
| 287 სელტიკი — აბერდინი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 288 ჰართსი — სენტ ჯონსტონი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 289 კილმარნოკი — რეინჯერსი | 6,5 | 3,2 | 1,5 |
| 290 მოზერუელი— ჰიბერნიანი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| **17 ოქტომბერი** | | | |
| 291 დანდი — დანდი იუნაიტედი | 2,7 | 2,8 | 2,4 |

## ავსტრია. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 ოქტომბერი** | | | |
| 293 ბრეგენცი — ზალცბურგი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 294 გრაცერი — ლინცერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 295 რიდი — შტურმი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 296 რაპიდი — აუსტრია | 2,0 | 2,9 | 3,4 |

## შვეიცარია. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 ოქტომბერი** | | | |
| 297 სენტ გალენი — არაუ | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 298 სერვეტი — ლოზანა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| **17 ოქტომბერი** | | | |
| 299 დელემონი — ციურიხი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 300 გრასჰოპერი — ბაზელი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 301 ლუცერნი — ლუგანო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 302 ივერდონი — ქსამაქსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

## დანია. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| 303 ვაილე — ორჰუსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 304 ბრიონდბიუ — ვიბორგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 305 ლიუნგბიუ — ოლბორგი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 306 ჰერფიოლგე — აკადემისკი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 307 ესბიერგი — კოპენჰაგენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 308 ოდენსე — სილკებორგი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

## რუსეთი. XXVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 ოქტომბერი** | | | |
| 309 ჩერნომორეცი — ტორპედო | 2,3 | 2,9 | 2,6 |
| 310 როსტსელმაში — ნ. ნოვგოროდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 311 როტორი — სატურნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 312 ცსკა — ჟემჩუჟინა | 1,3 | 3,8 | 6,5 |
| 313 სპარტაკი — ლოკომოტივი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 314 ზენიტი — დინამო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 315 შინიკი — კრილია | 1,9 | 2,8 | 3,5 |
| 316 ურალანი — ალანია | 2,9 | 2,8 | 2,3 |

## შვედეთი. XXIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 ოქტომბერი** | | | |
| 317 იორგრიტე — აიკ | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| **17 ოქტომბერი** | | | |
| 318 ჰალმსტადი — ელფსბორგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| 319 კალმარი — იურგარდენი | 1,8 | 3,4 | 3,0 |
| 320 ჰამარბი — გიოტებორგი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 321 ნორჩიოპინგი — ფრიოლუნდა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 322 მალმიო — ტრელებორგი | 1,8 | 3,1 | 3,5 |

## ნორვეგია. XXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 ოქტომბერი** | | | |
| 323 სტაბეკი — რუსენბორგი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| **17 ოქტომბერი** | | | |
| 324 კონგსვინგერი — ბოდიო გლიმტი | 2,2 | 3,3 | 2,6 |
| 325 ლილესტრიომი — სტრიომსგოდსეტი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 326 მოსი — მოლდე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 327 ოდ გრენლანდი — ბრანი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 328 სკეიდი — ვიკინგი | 2,2 | 3,3 | 2,4 |
| 329 ტრომსიო — ვოლერენგა | 1,6 | 3,2 | 5,0 |

## ბელგია. თასის მეთექსმეტედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| 330 ლოკერენი — ბრიუგე | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 331 სტანდარდი — ჰარელბეკე | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 332 ვესტერლო — ბევერენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 333 შარლერუა — აალსტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

## ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი. XI ტური | 25 და ნაკლები | 1,9 | 27-ზე მეტი | 1,9 |
| იტალია. VI ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25-ზე მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. VIII ტური | 25 და ნაკლები | 1,9 | 27-ზე მეტი | 1,9 |

## ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 ოქტომბერი** | | | |
| 828 მონრეალი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 829 სენტ ლუისი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 830 ვაშინგტონი — სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 831 ნიუ ჯერსი — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 832 პიტსბურგი — ჩიკაგო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 833 ტამპა ბეი — ატლანტა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 834 ფლორიდა — ანაჰაიმი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 835 დეტროიტი — ფილადელფია | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 836 ნეშვილი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 837 ედმონტონი — ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 838 კოლორადო — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 839 კალგარი — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 840 ფინიქსი — ბოსტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| **17 ოქტომბერი** | | | |
| 841 რეინჯერსი — ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 842 ფილადელფია — ბუფალო | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| 843 მონრეალი — აილენდერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

## რაგბი. მსოფლიოს თასი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 ოქტომბერი** | | | |
| 847 საფრანგეთი — ფიჯი | 1,15 | 7,0 | 4,4 |
| 848 შოტლანდია — ესპანეთი | 1,01 | 7,0 | 20,0 |
| 0:40 | 1,7 | 15,0 | 1,7 |
| 849 არგენტინა — იაპონია | 1,02 | 7,0 | 14,0 |
| 0:25 | 1,7 | 15,0 | 1,7 |

# ფორმულა 1. XV ეტაპი. .მალაზია

| მრბოლი | I ადგილი | სამეული | ექვსეული |
|---|---|---|---|
| ჰაკინენი (ფინეთი, მაკლარენი) | 1,7 | 1,2 | 1,1 |
| მ. შუმახერი (გერმანია, ფერარი) | 2,0 | 1,3 | 1,2 |
| კულჰარდი (ბრიტანეთი, მაკლარენი) | 2,5 | 1,5 | 1,25 |
| ირვინი (ირლანდია, ფერარი) | 2,5 | 1,5 | 1,25 |
| ფრენცენი (გერმანია, ჯორდანი) | 5,0 | 1,8 | 1,3 |
| რ. შუმახერი (გერმანია, უილიამსი) | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ბარიკელო (ბრაზილია, სტიუარტი) | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი) | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ჰილი (ბრიტანეთი, ჯორდანი) | 30,0 | 4,0 | 1,8 |
| ვილნევი (კანადა, ბარ) | 30,0 | 5,0 | 2,0 |
| ალეზი (საფრანგეთი, ზაუბერი) | 30,0 | 5,0 | 2,0 |
| ძანარდი (იტალია, უილიამსი) | 40,0 | 8,0 | 3,0 |
| ტრული (საფრანგეთი, პროსტი) | 40,0 | 8,0 | 3,0 |
| ვურცი (გერმანია, ბენეტონი) | 50,0 | 8,0 | 3,0 |
| ჰერბერტი (ბრიტანეთი, სტიუარტი) | 50,0 | 8,0 | 3,0 |
| დინიცი (ბრაზილია, ზაუბერი) | 75,0 | 10,0 | 4,0 |
| პანი (საფრანგეთი, პროსტი) | 75,0 | 10,0 | 4,0 |
| ხენე (ესპანეთი, მინარდი) | 75,0 | 10,0 | 5,0 |
| ზონტა (ბრაზილია, ბარ) | 75,0 | 10,0 | 5,0 |
| ბადოერი (იტალია, მინარდი) | 75,0 | 10,0 | 5,0 |
| დე ლა როსა (ესპანეთი, ეროუსი) | 75,0 | 10,0 | 5,0 |
| ტაკაგი (იაპონია, ეროუსი) | 75,0 | 10,0 | 5,0 |

პირველი სამეული თანმიმდევრობით .............................. 10,0

| XV ეტაპზე კონსტრუქტორთა შორის გამარჯვებული | |
|---|---|
| მაკლარენი | 1,3 |
| ფერარი | 2,3 |
| ჯორდანი | 4,0 |
| უილიამსი | 15,0 |
| სტიუარტი | 15,0 |
| ბენეტონი | 15,0 |
| ზაუბერი | 25,0 |
| პროსტი | 25,0 |
| ეროუზი | 25,0 |
| BAR | 25,0 |
| მინარდი | 25,0 |

გადამრავლება შეიძლება სამეულში მოხვედრის (არაუმეტეს სამი მრბოლისა) ან ექვსეულში მოხვედრის (არაუმეტეს ექვსი მრბოლისა) კოეფიციენტების.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ბილეთში მითითებული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# რიოში კენჭი ყარეს

## „მანჩესტერ იუნაიტედს“ იოლი ჯგუფი ერგო




კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის ინაუგურაცია იანვარში გაიმართება, საამისო სამზადისი კი კარგა ხნის დაწყებულია. ხუთშაბათს, რიო დე ჟანეიროში კენჭისყრა გაიმართა, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ „მანჩესტერ იუნაიტედს“ შედარებით იოლი ჯგუფი არგუნა: „ნეკაქსა“, „ვასკუ და გამა“, „საუთ მელბურნი“. ეს გახლავთ B ჯგუფი, ხოლო A ჯგუფში თავი მოიყარეს „რეალმა“, „ალ ნასრიმ“, „კორინთიანსმა“ და აფრიკის წარმომადგენელმა, რომლის ვინაობაც მოგვიანებით გაირკვევა.

კენჭისყრას ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენრუფინენი ხელმძღვანელობდა, ხოლო მინის თასებიდან ფერად-ფერადი ბურთულების ამოღებაში ბრაზილიური ფეხბურთის ხუთი ყოფილი პროფესიონალი მონაწილეობდა, რომელთა შორის გახლდნენ ზიკო და რიველინო.

პროცედურას ერთადერთი წინაპირობა ჰქონდა: ევროპელები, „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ისევე, როგორც ბრაზილიის გუნდები, „კორინთიანსი“ და „ვასკუ და გამა“ სხვადასხვა ჯგუფებში უნდა განაწილებულიყვნენ.

A ჯგუფის შეხვედრები სან პაულუში გაიმართება, ხოლო B ჯგუფისა რიო დე ჟანეიროში. პირველ ადგილებზე გასული გუნდები ფინალურ მატჩს რიოში ჩაატარებენ.

ორივე ჯგუფში პირველ ადგილს ერთმანეთს, ალბათ, ევროპისა და ბრაზილიის წარმომადგენლები შეეცილებიან. A-ში „რეალი“ და „კორინთიანსი“, ხოლო B-ში „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ვასკუ“, პორტუგალიელ ემიგრანტთა დაფუძნებული გუნდი, რომელსაც რომელიღაც პორტუგალიური კერძის ხათრით გამომშრალ თევზს უწოდებენ.

ამრიგად, „იუნაიტედის“ მცველებს „ვასკუს“ სკანდალურად ცნობილი თავდამსხმელის, ედმუნდოს წინააღმდეგ მოუწევთ თამაში.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ B ჯგუფი შედარებით სუსტია, რაც მასში „საუთ მელბურნის“ მოხვედრით გახლავთ განპირობებული. გარდა ამისა, წესითა და რიგით, აფრიკის უცნობი წარმომადგენელი „ნეკაქსაზე“ ძლიერი უნდა იყოს, ხოლო „კორინთიანსს“ „ვასკუზე“ ფანატიკოსი ქომაგები ჰყავს.

ახლა, რაც შეეხება კლიმატს: იანვარში, ანუ სამხრეთ ამერიკულ ზაფხულში, რიოში უფრო ცხელა ვიდრე სან პაულუში, სადაც ტემპერატურა შედარებით ასატანია.

მოგეხსენებათ, ევროპაში ასე გაკრიტიკებული შეჯიბრება ფიფამ ჩემპიონ კლუბთა პირველობად ჩაიფიქრა, მაგრამ იმ რვიდან საინაუგურაციო ტურნირში რომ მონაწილეობს, თავისი ქვეყნის ჩემპიონი ნახევარია: „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ნეკაქსა“, „საუთ მელბურნი“ და აფრიკის ჩემპიონი, რომელიც დეკემბერში უნდა გამოვლინდეს, მაგრამ ქვეყნის პირველი გუნდი რომ იქნება ახლავე ცნობილია.

„ვასკუ“ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იმიტომ მოხვდა, რომ 1998 წელს ლიბერტადორესის თასი მოიპოვა, „ალ ნასრი“ იმავე წლის აზიის სუპერთასის მფლობელია, ხოლო მადრიდის „რეალმა“ საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა.

რაც შეეხება „კორინთიანსს“, იგი ბრაზილიის 1998 წლის ჩემპიონი და თავის, ანუ შეჯიბრების მასპინძელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის რჩეული გახლავთ.

ამის შესახებ რიოში ისაუბრა ბრაზილია 2000-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ფიფას წარმომადგენელმა აბდულა ალ დაბალმა. მან განმარტა, რომ თითოეულ კონფედერაციას ნება დართეს თავისი კრიტერიუმების მიხედვით შეერჩია წარმომადგენელი.

„ზოგმა გასული წლის ჩემპიონი დაასახელა, ზოგმაც სუპერთასის მფლობელი“ — თქვა მან.

მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებას ბევრი სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავს, ზენ რუფინენმა ბრძანა, რომ იგი რეგულარული გახდება და მასში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას:

„თუ პირველი გათამაშება წარმატებით ჩატარდება, მწამს, რომ საორგანიზაციო კომიტეტი გუნდების რაოდენობის გაზრდაზე დაფიქრდება.“

**ბრაიან ჰოუმვუდი, როიტერი**

# ჰაჯი პიცურკას წინააღმდეგ

რუმინეთის ნაკრებში სერიოზული უთანხმოებაა. ამჯერად ერთმანეთს გეორგე ჰაჯი და გუნდის მწვრთნელი ვიქტორ პიცურკა დაუპირისპირდნენ.

„ბოლოდროინდელი დაპირისპირება მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის იმის შედეგია, რომ პიცურკამ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო. იგი მუდმივად ეკამათება მასმედიის წარმომადგენლებს და გუნდში განწყობას აფუჭებს. მწვრთნელი პრესის წინააღმდეგ ომში ფეხბურთელთა ჩათრევას ცდილობს“ — ამდაგვარი განცხადება გააკეთა ჰაჯიმ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ადგილობრივი მედია თვლის, რომ მწვრთნელი მათ გუნდის შესახებ ინფორმაციას უმალავს. და ეს მაშინ ხდება, როცა ნაკრებს უმნიშვნელოვანესი შეხვედრები ელის.

ჰაჯი ერთხანს გუნდიდან წავიდა. მაისში იგი დაბრუნდა და მისი დახმარებით ნაკრებმა ევრო 2000-ის საგზური მოიპოვა. შესარჩევ ეტაპზე რუმინელები არ დამარცხებულან. ასევე შეგახსენებთ, რომ ჰაჯისთან ერთად რუმინეთის ნაკრები ჯერ კიდევ 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა.

რუმინულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს პიცურკას სიტყვები, სადაც მწვრთნელი აცხადებდა, თითქოს „ჩელსიში“ მოთამაშე დან პეტრესკუ მოითხოვდა, ჰაჯისთვის კაპიტნობა ჩამოერთვათ.

პეტრესკუმ უარყო, მსგავსი არაფერი მითქვამსო.



გეორგე ჰაჯი მწვრთნელს დაუპირისპირდა

## იტალია

**თასის I ეტაპი. I წრე**

**ატალანტა 3:1 ტორინო**

**0:1 ლენტინი (3), 1:1 ზენონი (48), 2:1, 3:1 დონი (59, 653)**

ანგარიში იტალიელთა ყოფილმა კერპმა ჯიჯი ლენტინიმ გახსნა და „ტორინო“ უკვე მესამე წუთზე დაწინაურდა. თუმცა ლენტინიმ, რომელიც ერთ დროს მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იყო, გუნდი ვერ იხსნა. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე კლაუდიო კანიჯა მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, ზენონის ჩააწოდა და ამ უკანასკნელმა ანგარიში გაათანაბრა. შემდგომ დონიმ თავისიანთა მარაგს კიდევ ორი გოლი დაუმატა. საბოლოოდ „ატალანტამ“ 3:1 მოიგო.

საპასუხო შეხვედრა ორი კვირის შემდეგ ჩატარდება. თუ ბერგამოელებმა კვლავ იმარჯვეს, მომდევნო ეტაპზე მათი მეტოქე ლენტინის ყოფილი კლუბი, მრისხანე „მილანი“ იქნება.

„ატალანტა“ — „ტორინოს“ შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ ერთმანეთს 90-იანი წლების დასაწყისის ორი სუპერვარსკვლავი დაუპირისპირდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლენტინი უძვირესი მოთამაშე გახლდათ.

1992 წელს „მილანმა“ მის გადასაბირებლად 17 მილიონი დოლარიც არ დაიშურა. კანიჯა, რომელიც თავის დროზე მარადონასთან ერთად არგენტინის ნაკრების შეტევებს გოლებით აგვირგვინებდა, 1990 წელს იტალიელთა ეროვნული ტრაგედიის მიზეზი გახდა. სწორედ მისმა გოლმა დაუდო სათავე მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში იტალიელეთა დამარცხებას.

ლენტინის და კანიჯას ერთი რამ აერთიანებთ. ორივე მათგანს 1993 წლიდან დაღმასვლა დაეწყო. კანიჯამ კოკაინს გაუსინჯა გემო, ლენტინი კი ძლივს გადაურჩა სიკვდილს საავტომობილო კატასტროფის შემდეგ. ავარიის შემდეგ ახალგაზრდა ფეხბურთელმა ფორმაში ჩადგომა ვეღარ შეძლო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუზეპე ბერგომი

# ძიო — ეპოქის ბოლო კაცი

დღეს, როდესაც ლამისაა სკოლის მოსწავლეებსაც აგენტები ემსახურებიან, ამბავი პატარა ბიჭისა თავისი ქალაქის გუნდის კაპიტნობით რომ იწყებს და ეროვნული ნაკრების სამკლაურიან მაისურამდე მიდის, საფეხბურთო წარსულის ზღაპრად გვეჩვენება.

ამ კვირაში ჯუზეპე ბერგომიმ „სან სიროზე“ უკანასკნელად ითამაშა და ამით დროება დასრულდა. ეს არ იყო მხოლოდ „ინტერის“ მცველის კარიერის დასასრული, ეს ევროპული ფეხბურთის მთელი ეპოქის ბოლო აკორდი გახლდათ.

მისი კარიერა 19 წელიწადს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მილანში დაბადებულ-აღზრდილ ბერგომის მხოლოდ ორი გუნდის ფორმა ეცვა, „ინტერის“ შავ-ლურჯი და „სკუადრა აძურას“ ცისფერი.

35 წლის პროფესიონალი მაყურებელს გამოეთხოვა. და ნუ გაგიკვირდებათ თუ იგი აღმოჩნდება ბოლო, ვინც ერთადერთ კლუბს უერთგულა, რამეთუ სპორტის ამ სახეობაში ფული დღითიდღე მეტ და მეტ როლს თამაშობს, მეტსა და მეტს განაპირობებს.

ბერგომის კარიერა ტრავმებს მაინცდამაინც არ დაუმახინჯებია, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გასული სეზონის ბოლოს, როდესაც „ინტერი“ დატოვა, თავისუფლად შეეძლო ძვირფასი კონტრაქტისთვის გამოეკრა ხელი. გამოჩნდნენ კიდეც იტალიური კლუბები, რომელთაც ძლიერ ეწადათ მისი გამოცდილება, პერსონალური მეურვეობის საოცარი უნარი თავიანთ სამსახურში ჩაეყენებინათ, მაგრამ უარი მიიღეს.

„ამდენი წლის მერე სხვა იტალიურ გუნდში გადასვლა სწორი საქციელი არ იქნებოდა, „სან სიროზე“ „ინტერის“ წინააღმდეგ ვერ ვითამაშებდი“ — თქვა ბერგომიმ და სხვა გზას დაადგა: ამერიკაში მიდის, სადაც იქაური „მეიჯორ ლიგ სოკერის“ გუნდში, „ნიუ იორკ — ნიუ ჯერსი მეტროსტარზში“ ოდინდელ თანაგუნდელ ლოთარ მათეუსთან ერთად გამოვა.

საბოლოოდ, ბერგომის „ინტერის“ შემადგენლობაში 756 თამაში დაუგროვდა — რაც იტალიის რეკორდი გახლავთ — „სკუადრა აძურას“ მაისურა კი 1982-1998 წლებში 81-ჯერ ეცვა. ნაკრებში პირველად 1982 წლის ტრიუმფალურ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ენცო ბეარზოტისეულ გუნდში გამოჩნდა.

მაშინ ბევრი ამბობდა, რომ ბერგომი ძალიან გამოუცდელი იყო და ასეთ დონეზე ვერ ითამაშებდა, მაგრამ მან საპირისპირო დაამტკიცა, 80-იან წლებში ნაკრების რეგულარულ წევრად ჩამოყალიბდა.

კლუბშიც დიდ როლს თამაშობდა. ჯოვანი ტრაპატონის დროს, 1989 წლის, სკუდეტოს მფლობელ „ინტერში“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლდათ.

კიდევ უფრო დიდ წარმატებას ბერგომიმ ევროპულ სარბიელზე მიაღწია, სადაც სამჯერ მოიპოვა უეფას თასი. ბერგომი 90-იანი წლების „სკუადრა აძურაში“, არიგო საკის მწვრთნელობის დროს, მართალია ერთხელაც არ მიუწვევიათ, იმდენი შეძლო, რომ საფრანგეთი 98-ის წინ დააბრუნეს ეროვნულ გუნდში.

იმდროინდელმა თავკაცმა, ჩეზარე მალდინიმ, ბერგომის ასაკს ყურადღება არ მიაქცია და პასუხად ქომაგთაგან „ძიოდ“ — ქართულად ძიად — წოდებული მცველის, რამდენიმე ჩინებული თამაში მიიღო.

ნებისმიერი, ვისაც ბერგომისთან უმუშავია, მის საგანგებო პროფესიონალიზმს ადასტურებს.

„ბეპე არასდროს ყოფილა მაინცდამაინც ხუმარა. ის ყოველთვის სერიოზულად იქცეოდა. ყმაწვილკაცობაშიც ზრდასრული მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა“ — ამბობს ჩეზარე მალდინი — „1982 წელს ჭაბუკი ბერგომი დღენიადაგ რომ ვარჯიშობდა, ნორმალური ამბავი იყო, მაგრამ 1998 წელსაც იგივე რომ ვნახე, გამიკვირდა“.

მალდინი იგონებს, რომ საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ბერგომი თითოეული თამაშისთვის საოცარი სერიოზულობითა და დაჟინებით ემზადებოდა:

„მუდამ სავარჯიშო დარბაზში იყო, დარბოდა, რაღაცეებს ამუშავებდა, შემდეგ კიდევ დარბოდა“.

„ინტერის“ ყოფილი მწვრთნელი, როი ჰოჯსონი:

„როდესაც „ინტერში“ მივედი, თან თამაშის ჩვეული სტილი მივიტანე. ალალად გეტყვით, ვფიქრობდი, რომ მილანის გუნდის ოდინდელი მოთამაშე, ბერგომი, სიახლეს შეეწინააღმდეგებოდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, პირიქით მოხდა, ის ყველაზე მეტად ამომიდგა მხარში და მოედანზე საკუთარი პოზიციის შეცვლასაც კი გაგებით შეხვდა. ასეთი პროფესიონალიზმი და კეთილგანწყობა, მითუფრო მის ასაკში, მისი გამოცდილებისა და მდგომარეობის კაცისგან დღემდე საოცრებად მეჩვენება“.

ჯუზეპე ბერგომის თვისებათაგან ერთ-ერთი, ყველაზე თვალშისაცემი, ცხოვრების მძიმე წუთებთან ბრძოლის უნარი გახლავთ. აი, რას იგონებს ოტავიო ბიანკი, რომელიც მცირე ხანს ედგა „ინტერს“ სათავეში:

„მე რომ მივედი ბერგომი „ინტერის“ სატრანსფერო სიაში ჰყავდათ შეყვანილი, მაგრამ ამ თავდადებულმა კაცმა იმდენი იშრომა, რომ გუნდში დაატოვებინა თავი. დაცვაში მას ნებისმიერ პოზიციაზე შეეძლო თამაში, ლიბეროდაც კი. მისი ტექნიკა, ძალა და თავგანწირულობა მთელი გუნდის ცხოვრებაში თამაშობდა ძალიან დიდ როლს“.

„ამერიკაში წავალ, სხვა ტიპის გამოცდილებას შევიძენ და შინ მწვრთნელად დავბრუნდები“ — თქვა ძიომ გამოსათხოვარი შეხვედრის შემდეგ. იქნებ „სან სიროს“ მაყურებელმა ოდესმე კიდევ იხილოს მისთვის ასე საყვარელი და თავდადებული ადამიანი.

**საიმონ ევანსი, როიტერი**

**თარგმნა მიხეილ სურგულაძემ**




# ჩემბი

გარდაიცვალა უილტ ჩემბერლენი.

ჩვენ, ბრეჟნევის დროის საბჭოთა ბავშვებს, ლეგენდასავით გვსმენია, რომ კიროვის პარკის ღია მოედანზე ოდესღაც ეთამაშათ ამერიკელებს. გადაწყვეტით ვერ გავიგე, პროფესიონალები იყვნენ თუ არა, მაგრამ ვიცოდით, უთამაშნიათ. პირველი დიდი გუნდი კი („ატლანტა ჰოქსი") ბრეჟნევის სიკვდილის შემდეგ ჩამოვიდა.

საერთოდ კი, პროფესიული კალათბურთის, ენბიეის და ასეთი რამეების არსებობა, პირადად მე უილტ ჩემბერლენით შევიტყვე. უფრო სწორად რომ დავალაგო აზრი, ასე, ოცი-ოცდაორი წლის წინათ, არსებობდა იშვიათი შინაარსისა და გემოვნების ჟურნალი „მართვე", რომელშიაც დაბეჭდეს უილტ ჩემბერლენის ფოტო. ...ლა აღარ მახსოვს, მგონი „ლეიკერსის" სამოსში გამოწყობილი ჩემბი ბურთით ხელში ჩაცუცქულიყო და იცინოდა. იქვე იყო სტატია, რომელიც აღწერდა 1962 წლის 2 მარტის იმ ლეგენდარულ საღამოს, როცა ჩემბერლენმა, მაშინ „ფილადელფიის" მოთამაშემ, ასი ქულა ჩაუგდო „ნიქსს". თავისი ძალით და ემოციურობით, ეს იყო შოკის მომგვრელი სტატია. მსგავსი არაფერი წამეკითხა სპორტის შესახებ და ვერც კი წარმომედგინა, რომ სპორტი ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო (რედაქციის საკალათბურთო უფროსობა თუკი მოასწრებს „მართვეს" ამ ნომრის მოძებნას, იგი აუცილებლად გამოჩნდება ჩემბის გამოსათხოვარ გვერდზე).

ყველაზე შთამბეჭდავი ბოლო წამების ამბავი იყო: ბოლო წამებზე ჩემბერლენი ჭრის ნიუ იორკელთა კაპიტნის გადაცემას და ბურთიანად გაფრინდება კალათისაკენ. ბურთს ჩატენის და ფარიც ჩამოიმტვრევა. ნამსხვრევები სახეს და ხელებს უსერავს უილტს და შეხვედრაც დამთავრებულია.

ახლა კი უილტონ ჩემბერლენი გარდაიცვალა.

წავიდა გოლიათი და ალბათ, ალბათ სამყაროს ყველაზე დიდი კალათბურთელი.

ჩვენ, ჯორდანის, ბერდისა და მეჯიქის ცქერაში გაზრდილებს, არ გვინახავს მისი თამაშები. ჩვენ ყველამ ვიცით ფრთიანი ნათქვამი: როცა ღმერთმა იდეალური კალათბურთელის შექმნა გადაწყვიტა, შექმნა და ჯორდანი დაარქვაო. ჩვენ არ გვინახავს ჩემბის თამაშები, ვერც კასეტები მოგვიგდია ხელთ, მაგრამ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ღმერთმა გაცილებით ადრე გადაწყვიტა იდეალური კალათბურთელის შექმნა და მას უილტონ ჩემბერლენი დაარქვა. სამოცდასამ წელიწადს ატარა და ასაქმიანა ეს კაცი დედამიწაზე და ახლა თავისთან წაიყვანა. უილტონ ჩემბერლენის ხელობა ხომ მაინც ცისა და ჰაერის ხელობა იყო.

და ამიტომ არაფრით დაგეზარება ამის თქმა:

ჩვენ მძიმე ბავშვობა გვქონდა, წაგვიკითხავს და არ გვინახავს. მაგრამ ვიცით, ვგრძნობთ, თვალსა ვკრავთ კინოქრონიკის ჯადოსნურ, შეხუნებულ კადრებს — მშვიდობით ჩემბი, თუნდაც იმიტომ რომ უცნობი მხარის პატარა ჟურნალიდან ხალხს ჩუქნიდი კალათბურთის სიყვარულსა და მაგიას.



# უილტონ ჩემბერლენის ფანტასტიკური რეკორდი

ეს წერილი 1977 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მართვეში" და 1962 წლის 2 მარტს უილტ ჩემბერლენის მიერ 100 ქულის დაგროვებას ეძღვნება. წერილს უცვლელად, ავტორისეული სტილით გთავაზობთ


უილტონ ჩემბერლენის
ფანტასტიკური რეკორდი

ბესიკ ჯაფარიძე

...სპორტი რეკორდების ულევი წყარო, მათგან ზოგს რამდენიმე წამში გასწირავს ბედი, ზოგს კი მრავალი ათეული წლის სიცოცხლე უწერია. დღეს გვინდა ერთი უჩვეულო, თამამად შეიძლება ითქვას, ფანტასტიკური რეკორდის დაბადებაზე გიამბოთ.

იმ ღამეს, 1962 წლის 2 მარტს, პენსილვანიის შტატში, ქალაქ ჰერშის სარბიელზე, სეზონში ხელმოცარული „ნიკერბოკერსი" ჩემპიონატის მორიგ მატჩში ხვდებოდა პირველობის ფავორიტს „ფილადელფია-76"-ს, რომელსაც სახელ-

...სპორტი რეკორდების ულევი წყაროა, მათგან ზოგს რამდენიმე წამში გასწირავს ბედი, ზოგს კი მრავალი ათეული წლის სიცოცხლე უწერია. დღეს გვინდა ერთი უჩვეულო, თამამად შეიძლება ითქვას, ფანტასტიკური რეკორდის დაბადებაზე გიამბოთ.

იმ ღამეს, 1962 წლის 2 მარტს, პენსილვანიის შტატში, ქალაქ ჰერშის სარბიელზე, სეზონში ხელმოცარული „ნიკერბოკერსი" ჩემპიონატის მორიგ მატჩში ხვდებოდა პირველობის ფავორიტს „ფილადელფია-76"-ს, რომელსაც სახელგანთქმული უილტონ ჩემბერლენი ედგა სათავეში. შეხვედრის შედეგს არც ერთი გუნდისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: „ფილადელფიას" ნახევარფინალის საგზური უკვე ჯიბეში ედო, „ნიკსს" კი ბრწყინვალე გამარჯვებაც ვერ დასძრავდა ბოლო ადგილიდან.

ნიუ-იორკელთა გასაჭირს ისიც დაემატა, რომ ცენტრის ძირითადი მოთამაშე ფილ ჯორდანი დაშავდა, ჩემბერლენს კი მათი გუნდიდან მხოლოდ ის თუ გაუმკლავდებოდა რამენაირად. იმ საღამოს ეს რთული, იმთავითვე დასაღუპავად განწირული ამოცანა დერელ იმჰოფსა და კლივლენდ ბენკერს დაეკისრათ.

მატჩის დაწყებიდანვე ნათელი გახდა, რომ ეს საღამო ჩემბერლენისა იქნებოდა. ხუთ წუთში ანგარიში იყო 19:3 „ფილადელფიის" სასარგებლოდ. აქედან 13 ქულა ჩემბერლენმა მოუტანა გუნდს. ბრძოლის დასაწყისი ფილადელფიელებს იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ „ნიკსის" მოთამაშე რიჩი გვირენის ბრწყინვალე სროლებმა ლამის საბოლოოდ გააცამტვერა მრისხანე მეტოქის უპირატესობა. შესვენებისთვის ანგარიში 76:68 გახდა. ამ 76 ქულიდან 59 ფილადელფიელმა გოლიათმა მოიპოვა. ერთ მატჩში დაგროვილი ქულების რეკორდი ამ შეხვედრამდეც ჩემბერლენს ეკუთვნოდა (78). ახლა, როცა მან მეორე ტაიმის პირველ წუთებზე კიდევ ჩააგდო ბურთი კალათში და 61-ე ქულაც აიღო, დარბაზში ენით აუწერელი ყიჟინი ატყდა. ბოლო, მეოთხე პერიოდისათვის წინ „ფილადელფია" იყო — 125:106. დერელ იმჰოფი გმირულად იბრძოდა, მაგრამ ჩემბერლენთან რას გახდებოდა. ექვსი პერსონალური შენიშვნის მერე მოედანიც დაატოვებინეს. ახლა „ნიკსის" მთავარი ამოცანა ჩემბერლენის შეჩერება გახლდათ. გუნდმა ხერხს მიმართა — ტემპის დასაგდებად 25 წამს აყოვნებდა ბურთს. ერთხანს ამან ნაყოფიც გამოიღო: ორი წუთი ისე გავიდა, ჩემბერლენს ბურთი არ ჩაუგდია. ფილადელფიელთა მწვრთნელმა ფრენკ მაკგვაიერმა თავის მოთამაშეებს ურჩია, დაეშვათ განზრახი ფოლი, რათა მეტოქეს საჯარიმოები ესროლა. თუ ჩააგდებდნენ, ბურთი „ფილადელფიას" რჩებოდა, თუ არა და, ფარქვეშ მაინც ჩემბერლენი იბატონებდა. ხერხმა გაჭრა. აი, ჩემბერლენმა მოედნის კუთხიდან ულამაზესი სროლით ბურთი კალათში ჩააგდო — 95 ქულა ერთ მატჩში! მთელი „ნიკსი" ახლა ამ ერთ კაცს უტევს. „არ ჩაუგდოთ ბურთი ხელში!" — ყვირის ვიღაც ნიუ-იორკელთა სათადარიგო მოთამაშეებიდან. საჯარიმო სროლა — 96-ე ქულა. აქ ბრწყინვალედ ითამაშა ფილადელფიელმა მცველმა გი როუჯერსმა — მეტოქის გადაცემა ჩაჭრა და ბურთი პირდაპირ „ნიკსის" ფარქვეშ მიაწოდა ჩემბერლენს — 98-ე ქულა!

მატჩის დამთავრებამდე წუთი და [illegible] წამი რჩება. დარბაზი ხმაურობს, გმინავს, ყვირის: „მიაწოდეთ ბურთი ჩემბის, მიაწოდეთ ჩემბის..." დარჩა 19 წამი. ჩემბერლენი მეტოქის ფარიდან სამ მეტრში დგას. სამ მეტრში. ამ მანძილიდან თავის დღეში ბურთი მიზნისთვის არ აუცდენია. აი, იორკ ლერსმა ახლაც მიაწოდა, ჩემბერლენმა ტყორცნა და... ვერ ჩააგდო. ბურთი რგოლს მოხვდა და მაღლა ავარდა. ჩემბერლენმაც ისკუპა, ბურთი ჰაერშივე დაიჭირა, ისევ ტყორცნა და... ისევ გაუცუდდა ნასროლი. დარბაზს სინანულის ოხვრა აღმოდა. აი, „ნიკსის" მცველმა ნოელმა დინჯად გაათამაშა ბურთი, არ ჩქარობს მოედნის მეორე ნახევარზე გადასვლას. მატჩის დამთავრებამდე რჩება 16, 15, 14 წამი... ჩემბერლენმა ნელ-ნელა დაიხია უკან, ნოელსს თვალს არ აშორებს... 10, 9, 8 წამი... ნოელსი წამზომს გაჰყურებს. აი, წამით გაიხსნა „ნიკსის" მცველი ლესლი უინტერსი. მყისვე გადააწოდეს... იმავ წამს ისარივით გაფრინდა ბურთისკენ ჩემბერლენიც, მეტოქის ფარიდან 6-7 მეტრის დაშორებით ულამაზესი ნახტომით ჩაჭრა გადაცემა, ავაზასავით ისკუპა ისევ და ბურთი ისეთი ძალით ჩატენა კალათში, ფარმა ვერ გაუძლო, გრუხუნით გადმოემხო თავს ბედნიერებისაგან რეტდასხმულ სპორტსმენს.

ამ ულამაზესი მატჩის მნახველი ალბათ სამუდამოდ ემახსოვრებათ იატაკზე, ფარის ნამსხვრევებში გაშხლართული, თავპირდასისხლიანებული ჩემბერლენი, რომელმაც იმ ღამეს დაამყარა კალათბურთის ისტორიაში გაუგონარი რეკორდი — 100 ქულა ერთ მატჩში.

**ბესიკ ჯაფარიძე**
**„მართვე", 1977 წ. № 1**

# შორეული ლეგენდა

ოცზე მეტი წლის წინათ იყო: ტელევიზიაში საკავშირო საკალათბურთო ჩემპიონატის მატჩს ვუყურებდი. თბილისის „დინამოს" რომელიღაც კალათბურთელმა ნაჩქარევად, უადგილო ადგილიდან ისროლა და, ცხადია, ააცილა. „გამომივიდა ჩემბერლენი, საიდან ესვრის ბურთს!" — გაბრაზდა მამაჩემი. იმ მომენტში ჩემთვის ახალი სახელის გაგონება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე „დინამოს" მიერ დაკარგული ორი ქულა. ვინაა ჩემბერლენი? — ვიკითხე. კალათბურთის პელეა — მიპასუხა მამაჩემმა. ათი წლის ჯერ არ ვიყავი, მაგრამ ნებისმიერი თანატოლივით უკვე ვიცოდი, რომ პელე ფეხბურთის მეფეა. მას შემდეგ უფროსებისგან ხშირად მესმოდა ჩემბერლენის სახელი. იგი იდეალურ კალათბურთელად მიაჩნდათ, მასზე დიდი არავინ ეგულებოდათ.

ორიოდ წლის წინ ვერის ბაღში საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მატჩს ვუყურებდი. ერთ-ერთი გუნდი რამდენიმე მოთამაშით გაძლიერებულიყო, მაგრამ მაინც აგებდა. „არა, ამათ ჩემბერლენიც რომ ჩამოუყვანო, მაინც არაფერი ეშველებათ" — ჩაილაპარაკა წინა რიგში მჯდარმა ძიაკაცმა. ამ ძიაკაცს კი კალათბურთში სიტყვა ნაღდად ეთქმოდა — იგი წარსულის დიდი მოთამაშე გურამ მინაშვილი გახლდათ. იდეალური კალათბურთელის ხსენება რომ დასჭირდა, მან ჩემბერლენის სახელს უხმო.

ასე გამოიკვეთა ორი აზრი. ერთი — გულშემატკივრის, მეორე — პროფესიონალის. ისინი ერთმანეთს ემთხვეოდა — სამყაროს უპირველეს კალათბურთელად უილტ ჩემბერლენი ითვლება.

ოცდაათი-ორმოცი წლით უკან დავიხიოთ. ძველმა გულშემატკივარმა ამერიკულ კალათბურთზე, ნბა-ზე, საბჭოთა კავშირში შემთხვევით ჩამოტანილი იქაური ჟურნალ-გაზეთებიდან და თბილისის კინოთეატრებში სეანსის წინ დატრიალებული კინოჟურნალებიდან თუ იცის რამე. ჯერ არ მოსულა ის დრო, როცა ჩართავ ტელევიზორს და პირდაპირ უყურებ, ვთქვათ, „ფილადელფია" — „ბოსტონის" მატჩს. მიუხედავად ამისა, 60-70 წლების გულშემატკივარმა შესანიშნავად იცის, რომ „ფილადელფიაში" თამაშობს გოლიათი უილტ ჩემბერლენი, რომელიც თითქმის ყველა ბურთს კალათში ათავსებს; „ბოსტონში" მეორე გოლიათი, ბილ რასელი დაფუძნებულა, რომელსაც დაცვაში ჭიანჭველაც კი არ გაეპარება; ისიც იცის, რომ ჩემბერლენი პირადად თითქმის ყოველთვის ჯაბნის რასელს, სამაგიეროდ რასელის გუნდი თითქმის ყოველთვის ამარცხებს ჩემბერლენისას. აქ სცენაზე შემოდიან სხვა პერსონაჟებიც: ბობ კოუსი, ოსკარ რობერტსონი, ქარიმ აბდულ ჯაბარად ქცეული ლუ ალსინდორი... სიდიადის მიუხედავად, ამათი როლები მაინც მეორეხარისხოვანია, მთავარ როლში ჩემბერლენი და რასელი არიან. ინდივიდუალური უპირატესობა ჩემბერლენის მხარესაა, გუნდური — რასელის. თუმცა, გულშემატკივარს ცალკეული შემსრულებელი უფრო უყვარს, ვიდრე გუნდი, ამიტომ, ჯერ — ჩემბერლენი.



ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მისვლამდე უილტ ჩემბერლენი ერთი წელი საკალათბურთო შოუ „ჰარლემ გლობტროტერზში" იყო

პროფესიონალს, ანუ გურამ მინაშვილს, კალათბურთში თითქმის ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობის მანძილზე იმდენი რამე და ვინმე უნახავს... ევროპელ ვარსკვლავებზე და სხვა კონტინენტების წარჩინებულ მოყვარულებზე რომ არაფერი ვთქვათ, უთამაშია მრავალი მომავალი პროფესიონალის წინააღმდეგ, პირადად გაუმწარებია დიდი ოსკარ რობერტსონი და თავის თვალით უნახავს ნაღდ პროფესიონალთა თამაში. ბოლო ათი-თხუთმეტი წელიწადია, ჩვენთანაც გაჩნდა ნბა-ს თამაშების ხილვის საშუალება. ჩნდებიან ჯონსონი, ბერდი, ჯორდანი... ერთი სიტყვით, გურამ მინაშვილს უძლიერესის შერჩევის რამდენიმე საშუალება აქვს. ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატის რიგით მატჩზე წარმოთქმულმა ფრაზამ წარმოაჩინა მისთვის უძლიერესი — უილტ ჩემბერლენი.

და ჩვენი თაობა? ჩვენ არ გვინახავს ჩემბერლენ-რასელის დაპირისპირება, მაგრამ წიგნებში, დოკუმენტებში და კომპიუტერებში რაღაც-რაღაცეების ამოკრება შეგვიძლია. ჩვენ ვნახეთ მეჯიქის ბრწყინვალება, ლარის სიბრძნე და ჯორდანის სიდიადე. ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია ჯორდანზე სრულყოფილი კალათბურთელი, მაგრამ არც უფროსთა აზრის უგულებელყოფა იქნება.

მაშ ასე, ერთმხრივ ჩვენი ჯორდანი, რომელიც ჩვენი საზოგადოების წევრია, მეორე მხრივ — შორეული და ლეგენდად მოსული უილტ ჩემბერლენი. რა ვუპასუხოთ ლოგიკურ კითხვას — ჩემბერლენი თუ ჯორდანი?

და განა ეს აუცილებელია? რას მოგვცემს ეს პასუხი?

არაფერს. უბრალოდ, კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს, რომ...

ჩემბერლენი — ჩემბერლენია! ჩვენთვის თითქოს ზღაპარში მყოფი უდიდესი საკალათბურთო ძალის გოლიათი, რომელსაც, თავის დროზე, ხალხმა პირველს მიანიჭა უკვდავების განმსაზღვრელი ტიტული — დიადი. სიმბოლურია თითქოს, პირველი დიადი პირველი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჯორდანი — ჯორდანია! ჩვენი ბიჭი, ჩვენს თვალწინ ამოზრდილი გენიოსი, ერთ-ერთი უკანასკნელი დიადთაგანი.

ეეჰ, შენ რომ ჩემბერლენის თამაში გენახა... — ვიღაცამ შეუძლია უთხრას ეს ვიღაცას.

ეეჰ, შენ რომ ჯორდანის თამაში გენახა... — დღეს ამას ვერავინ ვერავის ეტყვის, რადგან ჯორდანის თამაში ყველას უნახავს. ოცი წლის მერე კი სულაც ჩვენ ვეტყვით ჩვენს შვილებს, რომელთათვისაც ჯორდანი ისეთივე ლეგენდა იქნება, როგორიც ჩემბერლენია ჩვენთვის.

ამიტომაც, დღეს — ჩემბერლენი.

ოცი წლის მერე — ჯორდანი?

**მერაბ რატიშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი. 3 ტური. ანონსი

| | |
|---|---|
| 16 ოქტომბერი. ბათუმი. 14.00<br>ბასკო — სტუ | 17 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 13.00<br>სსუ — სდასუ |
| 16 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 13.00<br>შევარდენი — დინამო | 17 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 14.45<br>მაკაბი — ვითა |
| 16 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 14.45<br>ასკ — თსუ | 17 ოქტომბერი. რუსთავი. 14.00<br>აზოტი — გორი |

— თბილისია რაღა, ერთი მითხარი, რომელია მანდ ბათუმელი, ბეჟანიშვილი თუ აბრამიძე — დაძმარებული გამომეტყველებით ჩაიბურდღუნა ვილაცამ ვერის ბაღში. აქცენზე ეტყობოდა, თბილისელი იყო, ალბათ, სდასუ-ს თუ ქომაგობდა... მასე, ძამიკო, „ბარსელონა“ ჰალანდიაა, მოსწრეულად მიუგო მავანმა და იქაურობას გაეცალა. ორი უცნობის ექსპრომტ დიალოგი სდასუ — „ბასკოს“ ნამატჩევს შედგა, მეცხრე ეროვნულის მეორე ტურში, აჭარელთა, დედაქალაქში სტუმრობისას.

ალალად ბრაზობდა საქომაგო გუნდის წაგებით განაწყენებული თბილისელი ბიჭი, მაგრამ კიდევ უფრო ალალი ის ორი ქულა იყო, რომელიც „ბასკომ“ ბათუმში წაიყოლა. იძაზე ახლა, ის თბილისელია, ის ქუთაისელიო, სპორტსმენია და სადაც უკეთეს პირობებს შეუქმნიან, იქ წავა და ითამაშებს, არც არის გასაკვირი...

ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო ამბავში მთავარი ის გახლავთ, რომ ბათუმში „ბასკოს“ შექმნა გავერანებული ქართული კალათბურთისთვის პატარა, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია. მოინდომეს ზღვისპირელებმა, ხელები დაიკაპიწეს, მიდგნენ-მოდგნენ და ჯიგრიანი გუნდიც შეკრეს, სულ მცირე ექვსეულში რომ მოხვდება, ისეთი. აგერ, ბატონო, „ბასკოს“ პირველმა სტუმრობამ სდასუ-ს გულშემატკივარი აუღელვა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბათუმელებთან შეხვედრის მოლოდინში ბევრს შიშით აუკანკალდა, ხელები. ასე არჯობია? განა ამით ეროვნულ ჩემპიონატს ინტრიგა არ შეემატა?...

„ბასკოზე“ და ბათუმელებზე ამდენი ტყუილად როდი მოვაყოლე. მესამე ტურის ცენტრალური და ყველაზე პრინციპული შეხვედრა ამ უქმეებზე სწორედ აჭარაში გაიმართება. „ბასკო“ შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ სტუ-ს უმასპინძლებს და პირველი ორი გამარჯვებით შეგულიანებული სტუდენტთა დამწუხრებასაც შეეცდება. ამ მატჩს თვით ეროვნული ნაკრების მწვრთნელები, ზურაბ ტომარაძე და ნუგზარ კანდელაკი დაესწრებიან. ბათუმში ჩასვლის იმდენად დიდი სურვილი გვაქვს, არც ხარჯებს დაგიდევთ და არც გზის სიშორესო — განუცხადეს მათ „სარბიელს“. ორივე გუნდში უხვად არიან საქართველოს ნაკრების კანდიდატები, რომელთაც გამარჯვების გარდა ტომარაძისთვის თავის მოწონებაც სურთ.

პირველი ხუთეული „ბასკოს“ ისეთი ჰყავს, ნებისმიერ მეტოქესთან გამკლავება რომ ძალუძს ყველა რგოლი მლიერად არის დაკომპლექტებული და მათ თამაშში ჰარმონია იგრძნობა. ბათუმელები ყველაზე მეტად სკამის სიმოკლეს განიცდიან, უფრო კი გამოცდილი სათადარიგოების ნაკლებობას. „ბასკო“ შეტევაში ლაღად მოქმედებს, ჩანს, მათი მწვრთნელი ვალერი ალთაბაევი უპირატესობას კომბინაციურ კალათბურთს ანიჭებს. მოთამაშეებიც შეთანხმებულად და გამიზნულად ირჯებიან, პირველივე შესაძლებლობისთანავე კი სწრაფ შეტევებში ერთვებიან. სტუდენტები განსაკუთრებით ბეჟანიშვილსა და დავითულიანს უნდა უფრთხოდნენ. პირველი პასი სწორედ ამ კალათბურთელების მისამართით კეთდება და შეტევების დაგვირგვინება მათთვის დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. ამიტომ სტუ-ს ყურადღება მართებს დაცვაში, პირველ შეტევაში გაქცეული ბეჟანიშვილიცა და დავითულიანიც უბურთოდ უნდა შებოჭონ, გამთამაშებელ ირაკლი მაისურაძეს კი ამოსუნთქვა არ უნდა აცალონ, ბურთის ტარება და მოწინააღმდეგის ნახევარზე გადატანაც კი პრობლემად უნდა უქციონ.

თუ სტუ-მ მოახერხა ყოველივე ეს და თამაში სასურველ რიტმში წარმართა, იქნებ ორი ქულაც წამოიღოს ბათუმიდან. გამარჯვებაზე ფიქრი კიდევ უფრო განმტკიცდება, სტუდენტებმა ფეხმტკივანი ზურაბ ჩუბინიძე საამმატჩოდ ფეხზე რომ დააყენონ. ამით სტუ-ს წინა ხაზიც ერთიორად გაძლიერდება და ის ხარვეზებიც აღმოიფხვრება, რაც გუნდს უკანასკნელ ტურში „ვითასთან“ შეხვედრაში აღმოაჩნდა. ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული გამოცდილ დავით თორთლაძეზეც. მას თამაშის შეუცდომლად წაკითხვა და შემდეგ თანაგუნდელთათვის კარნახი ევალება და მისი მზადყოფნა მატჩის საბოლოო შედეგზეც დიდ გავლენას იქონიებს.

შაბათსვე თბილისში ორი შეხვედრა გაიმართება. თუ ასკ-თსუ-ს დაპირისპირების გამარჯვებულის გამოცნობა წინდაწინვე შეიძლება, „შევარდენ“ — „დინამოზე“ ვერაფერს იტყვი. თითო მოგებით და ამდენივე წაგებით ეს გუნდები სატურნირო ცხრილში მეზობლობენ, დაახლოებით თანაბარძალიანი მეტოქეები არიან და ვინც უკეთ მოემზადება ამ კონკრეტული მატჩისთვის, საბოლოოდ ის იხეირებს.

ვაჟა მხეიძის ახალგაზრდულმა „დინამომ“ წინა ტურში, „გორთან“ თამაშისას დაამტკიცა, რომ არც ისე ხელწამოსაკრავი გუნდია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. წამყვანი მოთამაშეებისგან დაცლილ „დინამოს“ მაინც შემორჩა ხეირიანი შემსრულებლები, რომელთაც დროდადრო გამოუცდელი კალათბურთელებიც ფეხს აუწყობენ. ტრავმამოშუშებული ვანო აბულაძის დაბრუნებამ ქართული კალათბურთის ექსფლაგმანს მეტ-ნაკლებად სოლიდური იერი შესძინა. ძირითადი ცენტრის გამოჯანმრთელებით ფრთაშესხმულმა დინამოელებმა „გორთან“ მთელი შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს, რითაც პირველ ტურში „მაკაბისთან“ 23-ქულიანი წაგებით განაწყენებულ ქომაგობას მომავლის იმედი ჩაუსახეს. მხეიძის შეგირდები მთელი სერიოზულობით ეკიდებიან მწვრთნელის დავალებას. ქართლელებთან მთელს მოედანზე პრესინგი დიდი დაბეჯითებით შეასრულეს, რაც ამ გუნდის მთავარ დამრტყმელ იარაღად მოინათლა, ალბათ, „შევარდენთანაც“ ამ გზით შეეცდებიან წარმატების მიღწევას, თუმცა მეტოქის გამთამაშებელს, დუდუ ორჯონიკიძის იმეხლა გამოცდილება კი აქვს, პრესინგის საწინააღმდეგოდ სხვა ხრიკები დახლართოს და დინამოელთა დაცვა დაანაწევროს. წესით ფარზე „დინამო“ უნდა გაბატონდეს, ახალგაზრდა ყველაშვილისა და ვანო აბულაძის წინააღმდეგ „შევარდენის“ ჭარმაგ ცენტრ მალხაზ ლვინეფაძეს ძალიან გაუჭირდება, თუმცა ამის კომპენსაციას შევარდენელები ალბათ დაცვაში ზონური განლაგებით და შეტევაში ზუსტი სამქულიანებით შეეცდებიან.

ასკ-თსუ-ს მატჩში ფავორიტად სტუდენტები კი შევრაცხეთ, მაგრამ ეს თსუ-ს უფრო დიდი გამოცდილებით აიხსნება და არა მათი დღევანდელი თამაშით. წინა ტურში „აზოტს“ ნოდარ ქორქიას გუნდი უბრძოლველად დანებდა, რაც ყველასთვის მოულოდნელი იყო. თუ მათ შესაბამისი ზომები არც ამის შემდეგ მიიღეს და თამაშის ხარისხი არ გააუმჯობესეს, არმიელ კლუბთან გასეირნებას არ უნდა ელოდნენ, მით უფრო, რომ გამარჯვებადანატრებული სალდათები მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გამოვლენ.

სრულიად მოულოდნელად გათამაშების ცხრილს სათავეში „მაკაბი“ მოექცა. ამ გუნდს ორიდან ორი მოგება აქვს, ისევე როგორც მის მეტოქე „ვითას“. რაკი ამ შემთხვევაში ფრე გამორიცხულია, ერთ-ერთი მათაგნი აუცილებლად დამწუხრებული დატოვებს კვირას მოედანს და, ვფიქრობთ, ეს გუნდი „მაკაბი“ უფრო იქნება ვიდრე ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი, რომელიც ბევრი წამყვანი მოთამაშის წასვლის მიუხედავად ძველებურ რიხს ინარჩუნებს. მთავარია, ვითელები მობილიზებულნი შეხვდნენ მატჩს, გული არ დაიარხეინონ და თავიდანვე მეტოქეს საკუთარი თამაში მოახვიონ თავს. თუ ეს შეძლეს, საეჭვოა, „მაკაბი“ მათ გამარჯვების გზაზე გადაეღობოს...

სდასუ ალბათ პირველ ორ ქულას გაიფორმებს მეცხრე ეროვნულში. ლევან მოსეშვილის გუნდს საამისოდ ყველანაირი წინაპირობა აქვს, სსუ წლეულს ნაღდად არ არის ის გუნდი, სდასუელთა წინააღმდეგ ხმა აიმაღლოს.

კვირას „გორი“ ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტს“ ეწვევა და... ამ შეხვედრაზე და მის შედეგზე მნიშვნელოვანი ის უფრო გახლავთ, რომ პირველად ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში, „აზოტი“ მეტოქეს საკუთარ კედლებში უმასპინძლებს. როგორ ფიქრობთ, რუსთავიდან რა ხასიათზე წამოვა „გორი“...

**გიორგი გიკაშვილი**



გასული წლის ვითა — მკაბი. მაშინაც, ისევე, როგორც ყოველთვის, ნუგზარ კოკოლაშვილის (ბურთით) ვითამ გაიმარჯვა

# სარბიელის საშუალებით ფიბა გეკითხებათ

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი“, მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს“ ერგო. ამრიგად, „სარბიელის“ მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში“ მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში“ მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

| | | |
|---|---|---|
| ☐ ალესანდრო აბიო | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ფრაგისკოს ალვერტისი | საბერძნეთი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ალბერტო ანგულო | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ მიროსლავ ბერიჩი | იუგოსლავია | უგუნდოდ |
| ☐ ჰუსეინ ბეშოქი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ ჟიმ ბილბა | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ დავიდე ბონორა | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ პრედრაგ დანილოვიჩი | იუგოსლავია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი | იუგოსლავია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ გინტარას ეინიკისი | ლიტვა | ცსკა (რუსეთი) |
| ☐ ნიკოს ეკონომუ | საბერძნეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰარუნ ერდენაი | თურქეთი | ულქერი (თურქეთი) |
| ☐ ვინჩენცო ესპოზიტო | იტალია | იმოლა (იტალია) |
| ☐ ლორან ფუარე | საფრანგეთი | ტაუ (ესპანეთი) |
| ☐ გრეგორ ფუჩკა | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ტორბიორნ გერკე | შვედეთი | პლანია (შვედეთი) |
| ☐ გორდან გირიჩეკი | ხორვატია | ციბონა (ხორვატია) |
| ☐ ალბერტო ჰერეროსი | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ არტურას კარნიშოვასი | ლიტვა | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ოდედ კატაში | ისრაელი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მიხაელ კოხი | გერმანია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ იბრაჰიმ ქუთლუაი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ დენის მარკონატო | იტალია | ბენეტონი (იტალია) |
| ☐ ანდრეა მენეგინი | იტალია | ვარეზე (იტალია) |
| ☐ მარკო მილიჩი | სლოვენია | ოლიმპია (სლოვენია) |
| ☐ ველკო მრშიჩი | ხორვატია | უნიკახა (ესპანეთი) |
| ☐ დამირ მულაომეროვიჩი | ხორვატია | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ მარტინ მიურსეპი | ესტონეთი | აეკ (საბერძნეთი) |
| ☐ კარლტონ მაიერსი | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ პეტარ ნაუმოსკი | მაკედონია | უგუნდოდ |
| ☐ ხუან კარლოს ნავარო | ესპანეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ საშა ობრადოვიჩი | იუგოსლავია | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| ☐ პაულუ პინტუ | პორტუგალია | პორტუ (პორტუგალია) |
| ☐ დინო რაჯა | ხორვატია | ზადარი (ხორვატია) |
| ☐ ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ეფტიმიოს რენციასი | საბერძნეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ ანტუან რიგოდო | საფრანგეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰენრიკ როდლი | გერმანია | ალბა (გერმანია) |
| ☐ დორონ შეფერი | ისრაელი | მაკაბი (ისრაელი) |
| ☐ მატიაშ სმოდიში | სლოვენია | კრკა (სლოვენია) |
| ☐ მუსტაფა სონკო | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ საულიუს შტომბერგასი | ლიტვა | კინდერი (იტალია) |
| ☐ ერიკ სტრიულენსი | ბელგია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ დრაგან ტარლაჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მილან ტომიჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ დომინიკ ტომჩიკი | პოლონეთი | პეკაესი (პოლონეთი) |
| ☐ ალექსის ზახარიუ | კვიპროსი | აპოელი (კვიპროსი) |
| ☐ ირჟი ზიდეკი | ჩეხეთი | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი | ლიტვა | ჟალგირისი (ლიტვა) |

| სიაში არმოხვედრილი ევროპელები | არაევროპელები |
|---|---|
| | |
| | |

*სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.*

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის“ რედაქციაში მისამართზე:

**თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,**

ან საფოსტო მისამართზე:

**თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208**

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ჭანტურია გაუღახავი დაბრუნდა გოგოლაძეც იგივეს გვპირდება

ხვალ კობა გოგოლაძე ინგლისში მიემგზავრება პროფესიულ რინგზე მეოთხედ საბრძოლველად. სწორედ ამიტომ გუშინ მას „დინამოს" ბაზაზე ვესტუმრეთ დილომში, რათა პროფესიული კრივის ახალ აღმართზე შემდგარს მომავალ ბრძოლებზე გავსაუბრებოდი.

დილმის ბაზაზე საქმიანი ფუსფუსი დამხვდა. გოგოლაძე უკვე დარბაზში ვარჯიშობდა. იქ ვლადიმერ ჭანტურიამ ერთი ნაბიჯით შემასწრო. ის გუშინ დაბრუნდა სიმფეროპოლიდან, სადაც საერთაშორისო ტურნირში სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა. დაბრუნდა და უმალ მეგობარს შეუარა მოსანახულებლად. ისინი ერთმანეთს მხიარულად შეეგებნენ, იყო ერთი სალამ-ქალამი, მიკითხვ-მოკითხვა... რა ქენი, მოგილოცოო — მისალმებისთანავე ჰკითხა კობამ მეგობარს. ვოვამაც სხაპასხუპით ჩამოუთვალა მის მიერ გალახულ მოკრივეთა გვარ-სახელები და ტიტულები. გულით გაიხარა სახელოვანმა მოკრივემ თანაქალაქელის წარმატებით. მაგრამ პროფესიონალი მაინც პროფესიონალია და კობამაც თავს დიდხანს მოცდენის უფლება არ მისცა, ვარჯიში გააგრძელა. ჩვენ კი ამასობაში ვოვა ჭანტურიას გავესაუბრეთ.

— სიმფეროპოლში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი „შავი ზღვის თასი". ეს იყო სალიცენზიო ტურნირი, რომლის ფინალისტებიც სიდნეის საგზურებს იღებდნენ. ასეთი შეჯიბრი სულ ოთხია და ლიცენზიები პირველ-მეორე ადგილებზე გასულებს ეძლევათ.

სიმფეროპოლში 30 ქვეყნის მოკრივეები ვასპარეზობდით. რა თქმა უნდა, შემადგენლობაც ძლიერი იყო. მე ჯერ ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ფინალისტს, ბელარუს სერგეი დიჩკოვს მოვუგე. ის ბელარუსია და ევროპაზე მინსკში სწორედ მასთან წავაგე. მერე თვით ევროპის ჩემპიონი, იტალიელი ფრაგომენ ჯაკობე დავამარცხე. ფინალში გასასვლელ ბრძოლაში კი თურქ [illegible] მეჰმეთს ვძლიე, თუმცა ხელიც [illegible] და ფინალში აღარ მიბრძოლია. ლიცენზია უკვე მქონდა და აღარ გავრისკე. ისე კი, ფინალში რუსს უნდა შევხვედროდი, რომელმაც ამ ტურნირზე ჯაკობესთან წააგო.

სიმფეროპოლში ჩემთან ერთად თამაზ ბუაძეც (81) გამოდიოდა. მან ჯერ იტალიელს მოუგო, მერე თურქთან ფრედ დაამთავრა ორთაბრძოლა, მაგრამ მსაჯებმა გამარჯვება მაინც მის მეტოქეს მისცეს.

უკრაინაში ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ ფალიანი გვახლდა და ძალიანაც დაგვეხმარა. იქ ისეთი ამბები ხდებოდა, მსაჯები ისე იქცეოდნენ, ის რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ულიცენზიოდ დავრჩენილიყავი.

**— საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ყოფილა. ვინ იცის, იქნებ ოლიმპიადაზე ზოგიერთს ისევ შეხვდე.**

— შემადგენლობა ჩემს წონაში — 91-ში მართლაც ძლიერი იყო, მაგრამ ოლიმპიადაზე მათ კიდევ დაემატებიან. აზიაში რამდენიმე ძლიერი სპორტსმენია, მაგრამ მთავარი მაინც კუბელი ფელიქს სავონი გახლავთ, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი. მთავარია, მას ფინალამდე ავცდე.

**— უახლოესი სპორტული გეგმები?**

— ნოემბერში თურქეთში საერთაშორისო ტურნირია, სადაც ევროპის ჩემპიონატის საგზურები გაიცემა და იქ გამოვალ.

ამასობაში კობა გოგოლაძე ინტენსიურ ვარჯიშს აგრძელებს. მწვრთნელი მამუკა წიკლაურიც ფხიზლად მეთვალყურეობს. ვარჯიშები გეგმაზომიერია. გათვლილია ყოველი წამი — სავარჯიშოც და დასასვენებელიც. ერთი ვარჯიშის შესრულება ჭანტურიამაც სცადა, მაგრამ უმალ იგრძნო განსხვავება პროფესიონალურ და სამოყვარულო სპორტს შორის.

გოგოლაძის ყოველი სამუშაო დღე დატვირთულია. დღეში ორჯერად ვარჯიშებს მთლიანობაში დაახლოებით ოთხი საათი მიაქვს. ცხადია, ასეთი დატვირთვა კობას გვარიანად ღლის, მაგრამ ფიზმომზადებაში მისი პროგრესი აშკარაა. ეს ფაქტი მამუკა წიკლაურმა საგანგებოდ აღნიშნა. ეს ვარჯიშები აქაური მოყვარული მოკრივეებისთვისაც კარგი გაკვეთილია.

ამასობაში ვარჯიშები დამთავრდა და დაღლილობის მიუხედავად, კობა ცოტა ხნით მაინც გაგვესაუბრა, დიდხანს კი აღარც ჩვენ მოგვიცდენია.

— 16 ოქტომბერს ლონდონში გავემგზავრებით, 19-ში კი პროფესიულ რინგზე მეოთხე ბრძოლას გავმართავ. ჯერ მეტოქის ვინაობა არ ვიცი. ალბათ, რომ ჩავალთ, მაშინ გვეტყვიან. ჩხუბის მერეც იქვე დავრჩები, ლენოქს ლუისის კოლეჯში და მეხუთე შეხვედრისთვის გავაგრძელებ ვარჯიშს, რომელიც 29 ნოემბერს შედგება. ოღონდ ჯერ არც მეტოქის ვინაობა ვიცი და არც ჩხუბის გამართვის ადგილი. სავარაუდოდ, ისიც ლონდონში ან მის ახლომახლო გაიმართება. მეხუთე ბრძოლისთვის მსოფლიოს ჩემპიონ, ინგლისელ ბილი შოელთან ერთად მოვემზადები. სპარინგობას ის გამიწევს. მერე იგი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს, მე — სარეიტინგო შეხვედრაში.

**— აქ მზადებაში შეფერხება ხომ არ გქონია?**

— უკვე ერთი თვეა, „დინამოს" ბაზაზე ვემზადები. პირობები ყოველმხრივ კარგია, რისთვისაც მინდა, მადლობა ვუთხრა ხელმძღვანელობას. ვცხოვრობთ აქვე, ბაზაზე. დღეში სამჯერადი კვება და ვარჯიშები გარანტირებულია. სპარინგ-მატჩებსაც გვერდით მდებარე კრივის დარბაზში ვმართავ ადგილობრივ სპორტსმენებთან. ეს არაა ძალიან მაღალი დონე, თუმცა გამოცდილი მოკრივეები აქაც არიან.

ყოველ შემთხვევაში, ჩემი მიზანი ერთია — უახლოეს ბრძოლებში გამარჯვება. მე ხომ სამომავლოდ ჩემპიონობაზე ვოცნებობ.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო საქართველოს გადამხდელთა კავშირს და მის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილს 8 ოქტომბერს თბილისში გამართული ჩემი მესამე შეხვედრის დაფინანსებისთვის.

**ირაკლი თავაძე**

ტანვარჯიში

# გიორგაძეც ოლიმპიელია

ეს ჩინეთის ქალაქ ტიანჯინში, სპორტულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაირკვა. ქართველმა ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძემ მრავალჭიდში 27-ე ადგილი დაიკავა და სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიასაც დაეუფლა. ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშებში ჩვენებური ფინალში ვერც ერთ იარაღზე ვერ მოხვდა, თუმცა იმ დონეზე მაინც იასპარეზა, რომ 300-ზე მეტ მონაწილეში არცთუ ურიგო ადგილს და სიდნეის საგზურს შესწვდენოდა.

ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებს მხატვრულად ტანმოვარჯიშე ინგა თავდიშვილიც. ამ სახეობაში სალიცენზიო მსოფლიოს პირველობა რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა ოსაკაში. იქ ინგამ 25-ე ადგილი დაიკავა, ლიცენზიას კი საუკეთესო 24 სპორტსმენი იღებდა. ახლა იგი სიდნეიში პერსონალური მიწვევის იმედზეა. როგორც საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მზია ჯუღელმა გვითხრა, თავდიშვილს ევროპაში ყველაზე მაღალი კოეფიციენტი აქვს და ამიტომ იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო ფედერაცია „ველურ ბარათს" გამოუყოფს. ქართულმა მხარემ შესაბამისი თხოვნა უკვე გაგზავნა. ეს საკითხი ამ დღეებში განიხილება საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე.

**ირაკლი თავაძე**

19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის
დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეთა
დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება!

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროებში

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

Absolute Howard Energy

Sheraton Metechi Palace HOTEL TBILISI, GEORGIA

მეგაკომი

ს/ს „ქართული შაქარი"

რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*

*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*

*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**ლეილა მესხი**

დაიბადა 1968 წლის 5 იანვარს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. პირველი პროფესიონალი ჩოგბურთელი საქართველოში. მსოფლიოსა (1986) და ევროპის (1985) ჩემპიონი გოგონებში. სსრკ ზაფხულისა და ზამთრის ჩემპიონატების გამარჯვებული. სტუდენტთა მსოფლიოს თამაშების (1987) გამარჯვებული ერთეულებში და წყვილებში. „ვირჯინია სლიმზის" ტურნირების სამგზის გამარჯვებული. 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი წყვილებში ნატაშა ზვერევასთან ერთად.



1. 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადაზე წყვილებში ნატაშა ზვერევასთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე. ჩემი სპორტული კარიერის ყველაზე სასიამოვნო მოგონებაც ესაა.

ყველაზე სამწუხარო კი 1991 წელს აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში გაბრიელა საბატინისთან მარცხი იყო. მაშინ სეტ-ბოლით წავაგე თითქმის მოგებული თამაში. მერე საბატინი ჩემპიონიც გახდა.

2. თუ ქვეყანა ეკონომიკურად არ მოძლიერდა, გამოსავალი არც მოიძებნება. სპორტი ეკონომიკაზე ადრე ვერ განვითარდება. ამის იმედი ნუ გვექნება. სახელმწიფო ფინანსურად უნდა მომძლავრდეს, რომ სპორტისთვისაც დარჩეს რაღაც.

3. ვიქტორ სანეევი, მიშა მესხი, ალექსანდრე მეტრეველი
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, რუსუდან სიხარულიძე



**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო სესიის მონაწილეთა საყურადღებოდ**

სეოკ-ის საიუბილეო სესია გაიხსნება 1999 წლის 19 ოქტომბერს „შერატონ მეტეხი პალასში" დილის 10 საათზე.
მონაწილეთა რეგისტრაცია: 8:30 9:30 სთ.
გთხოვთ თან იქონიოთ მოსაწვევი ბარათი.

სეოკ-ის აღმასკომი

# მსოფლიოს თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია განადგურდა, უელსი კი შერცხვა

14 ოქტომბერი

### A ჯგუფი

**ახალი ზელანდია 101:3 იტალია**

ახალი ზელანდია: უილსონი, ოსბორნი, ალატინი, გიბსონი, ლომუ, ბრაუნი, კელეჰერი, რანდელი (კალენი 73), ბლოუერსი (რობერტსონი 58), მიკა, უილისი (ბრუქი 75), ჯონსი, დოუდი, ჰამეტი, ფიიკი (მეუვსი 64)

14 ლ — უილსონი (7, 35, 52), ბრაუნი (22), მიკა (30), ლომუ (34, 58), ოსბორნი (38, 80), რანდელი (55), გიბსონი (69), რობერტსონი (72), კალენი (75), ჰამეტი (78); 11 გ — ბრაუნი (7, 22, 30, 34, 35, 38, 52, 55, 72, 75, 80); 3 ს — ბრაუნი (5, 15, 40)

იტალია: პინი, ვაკარი (მაძუკატო 8), სტოიკა, ჩეპოლინო, ზისტი, დომინგესი (მაძარიოლი 40), ტრონკონი, ტაიონე (არამჩიო 49), სავიოძი, ჯიოვანელი, ჯიაჩერი, ჩეკინატო (კრისტოფოლეტო 66), კასტელანი (პრომეძი-კურტი 40), მორეტი (მოსკარდი 40), მორენო

1 ს — დომინგესი (9)

მსოფლიოს თასზე ასეთი სამარცხვინო შედეგით იტალია კი არა, ტურნირის დებიუტანტი ესპანეთის ნაკრებიც არ აგებს. ზელანდიელები მოედანზე აკეთებდნენ იმას, რაც მოესურვებოდათ. მთლიანად მოშლილი იყო იტალიელთა დაცვა, სათანადოდ ვერ ირჯებოდა შერკინება, ხოლო წინა მატჩებში ევროპელთა გუნდის ლიდერი დიეგო დომინგესი საერთოდ ჩრდილში მოექცა. იგი შეცვალეს კიდეც პირველ ნახევარში.

იტალიელ მობურთალთაგან განსხვავებით, ჩინებულად ჩაატარეს შეხვედრა ზელანდიელებმა. უილსონმა პირველივე ტაიმში გაიტანა ორი ლელო, თავისი პირადი ანგარიში 35 ლელომდე გაზარდა, რაც ეროვნული რეკორდი აღმოჩნდა. მანამდე საუკეთესო შედეგი მისივე თანამემამულეს ჯონ კირვანს ეკუთვნოდა. მატჩის შემდეგ თვით კირვანმა მიულოცა უილსონს. მას არც მორაგბის დედა ჩამორჩა, რომელიც ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ამ მატჩს და შვილს მხურვალედ გულშემატკივრობდა. „როდესაც ბურთი მივიღე, ვიცოდი, რომ აუცილებლად დავამიწებდი მას იტალიელთა სალელოე მოედანში; ისიც ვიცოდი, მეორე ლელო სარეკორდო იყო" — თქვა უილსონმა.

თანაგუნდელს არც ლომუ ჩამორჩა, მან მსოფლიოს თასზე გატანილი ლელოების რაოდენობა 11-მდე გაზარდა და ახლა ერთიღა აკლია — ინგლისელი რორი ანდერვუდის რეკორდი გაიმეოროს.

მთლიანად ამ მატჩში ზელანდიელებმა 14-ჯერ დალაშქრეს მეტოქის ჩათვლის მოედანი. აქედან ბრაუნმა თერთმეტი გარდასახა, სამი ჯარიმა ზუსტად შეასრულა და ჯამში 36 ქულა მოაგროვა.

### C ჯგუფი

**კანადა 72:11 ნამიბია**

კანადა: სტიუარტი, სტენლი, ლუგჰედი (რაიენი 73), ნიკოლსი, პაგანო (როსი 66), რიისი, უილიამსი, ჩერონი, ბაუგი, ჰატჩინსონი (ბენქსი 73), ჯეიმსი, ტეიტი (შმიდი 80), ტიელი (მეიჯორი 63), კარდინალი (დანკლი 50), სნოუ

9 ლ — უილიამსი (7), ნიკოლსი (9, 61), ჩერონი (31), სნოუ (40, 80), როსი (70), სტენლი (75, 80); 9 გ. და 3 ს — რიისი (13, 51, 64)

ნამიბია: ვან ვიკი, ვან დიკი, ფ. ვან რენსბურგი, ვან დერ მერვე, სამუელსონი, ზეიმანი, ჯენტიისი, ფარტერი, ვან როიენი (ტერონი 41), ჰოუგი, სტეინი (ლინტველტი 41), სენეკალი, ოპერმანი, ჰორნი, სმიტი (ბლეუ 41)

1 ლ — ჰოუგი (54); 2 ს — ვან დიკი (2, 23)

გაძევება: ბაუგი (48)

კანადის ნაკრებს ჰაერივით სჭირდებოდა ამ მატჩში გამარჯვება, რათა საუკეთესო მესამე ადგილი მოეპოვებინა და მედლებისთვის ბრძოლა გაეგრძელებინა. გავა თუ არა კანადა პლეი ოფში, მაშინ გაირკვევა, როცა არგენტინა იაპონიას დაუპირისპირდება. ჩრდილოამერიკელებმა წინა მატჩი დათმეს ფიჯის ნაკრებთან, რის შემდეგაც მათმა კაპიტანმა გარეტ რიისმა განაცხადა, რომ ჯგუფის ბოლო შეხვედრაში გუნდი ყველაფერს გაიღებდა გამარჯვებისთვის. და ასეც მოხდა.

კანადელებმა ცხრაჯერ შეძლეს ბურთის დამიწება მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანში, გარეტ რიისმა ცხრავე გარდასახა, სამჯერ ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და თავის გუნდს 27 ქულა შესძინა.

პირველი ტაიმის მეათე წუთზე კანადა მატჩს უკვე 14:0 იგებდა. საერთოდ ტაიმი მათი გამარჯვებით დასრულდა — 31:6. მეორე ნახევარი რიგიანად არც კი დაწყებულიყო, მთავარმა მსაჯმა მოედნიდან უხეშობისთვის კანადელი დენი ბაუგი რომ გააძევა. რიცხობრივი უპირატესობის მოპოვების შემდეგ ნამიბიას თითქოს გარდატეხა უნდა შეეტანა მატჩში, მაგრამ პირიქით მოხდა. კაცნაკლული კანადელები უფრო გააქტიურდნენ და პირველ ნახევარში გატანილი ლელოების ანგარიში ხუთით გაზარდეს და მატჩი დიდი სხვაობით მოიგეს.

### D ჯგუფი

**უელსი 31:38 სამოა**

უელსი: ჰოვარტი, ტომასი, ტეილორი, გიბსი, ჯეიმსი, ნ. ჯენკინსი, ქუინელი, სინკინსონი, უილიამსი, ვიეტი, ლეველინი, იანგი (ევანსი 55), გ. ჯენკინსი, როჯერსი (ლუისი 78)

3 ლ — საჯარიმო (13, 63), ტომასი (19); 2 გ — ნ. ჯენკინსი (13, 63); 4 ს — ნ. ჯენკინსი (32, 34, 40, 44)

სამოა: ლაეგა, ლიმა, ვაეგა, ლოპეპე (ფანოლუა 78), ტუიგამალა, ბეჩოპი (ვაა 73), სოიალო, ლამი, გლენდინინგი, პარამორე (სიტიტი 13), ტომე, ფალანიკო, ალე (მიკა 78), ლეოტა (მატოიო 80), რეიდი

5 ლ — ფალანიკო (22), ბეჩოპი (36, 40), ლამი (47), ლაეგა (67); 5 გ. და 1 ს — ლაეგა (2)

თუ დანარჩენი შეხვედრები ლოგიკურად დასრულდა, ეს მატჩი სენსაციური შედეგით დამთავრდა. სხვა დროს ეს შედეგი იქნებ არც ისეთი მოულოდნელი ყოფილიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში უელსი ტურნირის მასპინძელია, თანაც თასის მოგების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მოიხსენიება და, ბუნებრივია, ასეთი დონის ნაკრები საკუთარ კედლებში არ უნდა მარცხდებოდეს უფრო მოკრძალებულ მეტოქესთან. ახლა უელსის ნაკრებს რვა საუკეთესო გუნდში მოსახვედრად, ალბათ, A ჯგუფის მეორეადგილოსან საკმაოდ ძლიერ შოტლანდიის ნაკრებთან მოუწევს თავისი სიძლიერის დამტკიცება.

თავიდან სამოა დაწინაურდა, სილაო ლაეგას მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოს წყალობით, მაგრამ უელსელები სწრაფად მოვიდნენ გონს და ჯენკინსმა იგივე გააკეთა, რაც მისმა მეტოქემ, ხოლო შემდეგ გარეტ ტომასმა სულაც ლელო გაიტანა. სხვა გუნდი ამ დროს გატყდებოდა, მაგრამ არა სამოა. მათ შეძლეს ძალების მობილიზება, მწყობრად და, რაც მთავარია, გააზრებულად შეუტიეს ტურნირის ფავორიტს, რამაც საბოლოოდ მათთვის სასურველი შედეგიც გამოიღო. ფალანიკომ თავისი გუნდის შეტევა ლელოთი დააგვირგვინა. მას არც თანაგუნდელები ჩამორჩნენ და საკმაოდ მძიმე მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს.

„ჩვენ შოკში ვართ. საკმაოდ ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც მეტოქემ არ გვაპატია. ყველაზე დიდი შეცდომა ალბათ მაინც ის გახლავთ, რომ მეტოქე სათანადოდ ვერ შევაფასეთ. სამოამ ღირსეულად გაიმარჯვა და არ უნდა დავაკნინოთ მათი ღირსებები" — თქვა მატჩის შემდეგ უელსელთა მთავარმა მწვრთნელმა გრეჰემ ჰენრიმ. ერთადერთი, რაც უელსელებს სანუგეშო დარჩათ ამ მატჩისაგან, არის ის, რომ მათმა კაპიტანმა და გუნდის უდავო ლიდერმა ნილ ჯენკინსმა ავსტრალიელი მაიკლ ლაინეგის რეკორდი დაამხო და მსოფლიოში ყველაზე შედეგიანი მორაგბე გახდა. მან სამოასთან მატჩში 16 ქულა მიითვალა და კარიერის მანძილზე 927 დაუგროვდა.



ავსტრალია — აშშ. ავსტრალიელი ჯეისონ ლითლის შეკავებას ამერიკელი ტასი მოუნგა ცდილობს

### E ჯგუფი

**ავსტრალია 55:19 აშშ**

ავსტრალია: ლეტჰემი, სტენიფორთი, ლითლი, გრეი, ბარკი (როფი 74), ლერკჰემი (კაფერი 50), ვიტაკერი, უილიამსი (გიფინი 65), სტრაუსი, ფინეგანი, ბოუმანი (კოკბეინი 54), კონორსი, მური, ფოლეი, ქროულეი

8 ლ — ლერკჰემი (3), სტენიფორთი (17, 42), ფოლეი (40), ბარკი (45), სტრაუსი (68), ლეტჰემი (73), ვიტაკერი (80); 6 გ — ბარკი (3, 17, 42, 68, 73), როფი (80); 1 ს — ბარკი (13)

აშშ: შუმანი, ანიტონი, გრობლერი (საულალა 57), ჩარენბერგი (ტაკაუ 69), ჰიგტოვერი, ნიუ, დალზელი (კოულსონი 78), ლამკონგი, მოუნგა, ჰოდჯესი (პაგა 69), პარკერი, გროსი (რიიდი 78), საჩერი, ბილაპსი (კასიჯიანი 69), კლეიტონი (ლულიე 69)

1 ლ — გრობლერი (39); 1 გ. და 3 ს — დალზელი (49, 57, 66); 1 ა — ნიუ (15)

ავსტრალიას უკვე დაბევებული ჰქონდა შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის უფლება. ეს მატჩი მათთვის ფორმალურ ხასიათსღა ატარებდა, მაგრამ „ვოლაბები" იმდენად ძლიერად არიან მომზადებულნი, რომ ნახევარი ძალითაც დამაჯერებლად სძლიეს აშშ-ს ნაკრებს. ამერიკელები წინა ორ შეხვედრაშიც დამარცხდნენ ირლანდიასთან და რუმინეთთან. მათ არც ამ მატჩში გააჩნდათ გამარჯვების არანაირი შანსი, მით უმეტეს ისეთ მეტოქესთან, როგორიც ავსტრალიაა.

ვოლაბები მოედანზე თითქმის მეორე შემადგენლობით გამოვიდნენ. მათი გარემარბი სქოთ სტენიფორთი სადებიუტო მატჩს ატარებდა მსოფლიოს თასზე.

აღსანიშნავია, რომ მან მშვენივრად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას — რვა გატანილი ლელოდან ორი სწორედ მის შეტევას მოჰყვა.

ტრადიციისამებრ შედეგიანად თამაშობდა ავსტრალიელთა ლიდერი მეტიუ ბარკი, რომელმაც საჯარიმო დარტყმებიდან ექვსჯერ შეძლო ბურთის ძელებს შორის გატარება და თავისი გატანილი ლელო თავადვე გარდასახა. ამერიკელები ეპიზოდურად თუ შეუტევდნენ მოწინააღმდეგეს ერთ-ერთი ასეთი შეტევა ლელოთიც დააგვირგვინეს. ეს იყო, რისი გაკეთებაც მათ შეძლეს, თუ არ ჩავთვლით კევინ დალზელის ზუსტ სამ საჯარიმო დარტყმას და დევიდ ნიუს მიერ ოსტატურად შესრულებულ არეკნს. ვოლაბებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს.

**გაჩო სვანიძე**



# ლონგ ჯონი — კარგად დავიწყებული ძველი

## წყალი, სამარანჩი და საბილეთო ციებ-ცხელება

ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დონ ტელბოტმა თხოვნით მიმართა ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციას (ფინა) უახლესი სპეციალური საცურაო კოსტიუმების ლეგალიზაციის თაობაზე.

შეგახსენებთ, რომ ეს დელფინის კანივით სლიპინა სამოსი მეტად უცნაურია. გარეგნულად ჰგავს ისეთ საცურაო კოსტიუმს, როგორითაც ცურვის მოყვარულები თავს საუკუნის წინათ იწონებდნენ. თუმცა, იმდროინდელი ნიფხვებისაგან შინაარსით ისინი ძალზე განსხვავდებიან, მითუმეტეს, რომ ეს კოსტიუმები ჰიდროდინამიკურია და მნიშვნელოვნად ამცირებს წყლის წინაღობას. მაგალითად, სპეციალისტთა შეუფასებით 100-მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით მოცურავე ერთი წამით ამცირებს დროს.

ტელბოტის თხოვნამ გასჭრა, რადგან ფინამ კუვეითში გამართულ თავის აღმასკომის სხდომაზე ოფიციალურად გადაწყვიტა შეჯიბრებებში ამგვარი კოსტიუმებით გამოსვლის საკითხი. როგორც ფინას აღმასრულებელ კომიტეტში განაცხადეს, მათ დასაშვებად მიაჩნიათ ამგვარ სამოსში ასპარეზობა, რადგანაც არ „ეწინააღმდეგება კანონებს". არადა მის „ლეგალიზაციამდე" ტელბოტი წყნარი ოკეანის თამაშების დაწყებამდე მოუწოდებდა მსოფლიოს ჩემპიონებს მაიკლ კლიმს, იან ტორპს და სიუზი ო ნეილს, რათა ხელი აეღოთ ეგრეთწოდებული ჰიდროდინამიკური კოსტიუმებით ასპარეზობაზე, რადგან მსოფლიოს რეკორდების დამყარების შემთხვევაში მათი ასეთი მიღწევა არ აღინუსხებოდა. კლიმმა კი, რომელიც ფინას მუქარას არაფრად აგდებდა, ამგვარი კოსტიუმით, რომელსაც ცნობილი შოტლანდიური ვისკის „გრძელი ჯონის" დარად „ლონგ ჯონი" შეარქვეს, ესტაფეტაში მსოფლიოს რეკორდის დამყარებით თანაგუნდელები რისკის წინაშე დააყენა.

თუმცა, კლიმი არ ყოფილა პირველი მერცხალი, უფრო სწორედ პირველი ქაშაყი, რომელმაც ჰიდროდინამიკური სამოსით იასპარეზა. პირველობა ბრიტანელ პოლ პალმერს ეკუთვნის, რომელმაც ამგვარი კოსტიუმით შარშან, ივლისში შეფილდში გამართულ თანამეგობრობის თამაშებზე სცადა ძალა.

სხვათა შორის პალმერმა ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე სტამბოლში „ადიდასის" ასეთი სამოსით 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვისას ჩემპიონობა მოიპოვა, თუმცა შემდგომ „ლონგ ჯონში" ხელიც აღარ გაუყვია, რადგან „სპიდომ", რომელიც ბრიტანეთის ნაკრებთან თანამშრომლობს, უკმაყოფილება გამოთქვა იმ „არალეგალურ" სამოსზე, რომლითაც მოცურავე გამოვიდა.

ახლა, როდესაც კუვეითში ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ სპეციალური საცურაო კოსტიუმების ლეგალიზაციის საკითხი დადებითად გადაწყვიტა, ჯერი სპორტული ნაწარმის მწარმოებელ ფირმებზე მიდგა, რისთვისაც „ადიდასისა" და „სპიდოს" კომპანიები მიიწვიეს, რათა მათ წარადგინონ თავიანთი გამოკვლევები, დიზაინი და აქსესუარები.

მანამდე კი...

მანამდე „ლონგ ჯონით" თუ თითო-ოროლა ელიტარული მოცურავე იწონებდა თავს. მაგალითად ავსტრალიელთა ნაკრებში მხოლოდ კლიმი იმოსება ამგვარად, თუმცა მას მხარი აუბა იან ტორპმაც, რომელმაც მსგავსი კოსტიუმით საჩვენებელი გამოსვლაც მოაწყო.

ტელბოტი წუხს, რომ ამგვარ ჰიდროდინამიკური კოსტიუმების გამოყენება საკმაო სიძვირის გამო ყველას არ შეუძლია. ამის გამო სპორტსმენები, რომლებიც ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან, სხვადასხვა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მითუმეტეს, რომ ნაკრებთა უმრავლესობას არა აქვთ ურთიერთობები ისეთ კომპანიებთან, როგორებიც არიან „სპიდო" და „ადიდასი".

* * *

კუვეითშივე ცურვის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი „ფინას ორდენით" დააჯილდოვა.

ამავე სხდომაზე სიდნეის ოლიმპიური თამაშების საცურაო სახეობათა მენეჯერმა ლინ ბატესმა განაცხადა, რომ ცურვისთვის განკუთვნილი ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. გაყიდულია წყალში მხტომელთა შეჯიბრების ბილეთების უმეტესობაც.

აქვე გთავაზობთ სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ გაყიდული ბილეთების სიას, რომელშიც შეჯიბრებათა შვიდი სახეობაა. პირველი ადგილი ამ სიაში მოცურავეთა ასპარეზობას უკავია. და ეს ბუნებრივია, რადგან ცურვა სპორტის პირველი სახეობაა ავსტრალიაში. მერე მოდიან მაუნთინბაიკი, სატრეკო ველორბოლა, საცხენოსნო სპორტი (ცხენთა გამოცდა), მხატვრული და სპორტული ტანვარჯიში და სპორტის ახალი სახეობა ტრიატლონი, რომლის ოლიმპიური დებიუტიც სიდნეიში შედგება.

**გიგა გურასაშვილი**

# მარტინა ჰინგისს გიჟი აედევნა

ციურიხი. შვეიცარია. ევროპის საჩოგბურთო პირველობა. დარბაზი. ჰარდი. საპრიზო 1,05 მილიონი $

მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს მშობლიურ ტურნირზე მეტოქეებზე მეტად ერთი გადარეული გულშემატკივრის ყოფნა აშფოთებს.

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) დაადასტურა, რომ ციურიხის პოლიციამ დაჰკითხა და ტურნირის ორგანიზატორებს გაუგზავნა 42 წლის იუგოსლაველი მამაკაცის სურათი, რომელიც, მათი აზრით, ფაქსებითა და სატელეფონო ზარებით იკლებს ჰინგისს.

სურათები ტურნირის დაცვის მუშაკებს დაურიგდათ და მათაც „კლოტენის" სპორტულ ცენტრში შესვლისას ამოიცნეს დაუპატიჟებელი სტუმარი.

„მას შემდეგ, რაც გერმანელმა ფანატმა მონიკა სელეში დანით დაჭრა, ყველა ტურნირი ძალიან სათუთად უდგება უსაფრთხოების საქმეს. ქომაგი მარტინას არასოდეს დამუქრებია, ბილეთიც ჰქონდა და ამიტომ შევუშვით შიგნით. მაგრამ ჩვენ ვიცით, ის სად ზის და თვალყურსაც ვადევნებთ, რომ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდეს" — განაცხადა ტურნირის წარმომადგენელმა ანდრე გლაუსერმა.

ჰინგისის ბანაკი სერიოზულად გასულ კვირაში შეშფოთდა ფილდერშტადტში, სადაც იუგოსლაველს გზავნილების და მარტინას დევნის შეწყვეტა სთხოვეს. მაგრამ მამაკაცი ციურიხშიც გამოცხადდა, თანაც 19 წლის შვეიცარიელთან ინტერვიუს აღების უფლება ითხოვა.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ტურნირის ორგანიზატორებს მიმართა, დამატებითი დაცვით უზრუნველმყავითო და მათაც 24 საათის მანძილზე პირადი მცველი გამოუყვეს.

„შვეიცარიაში თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ, თუმცა მსგავსი პრობლემები მარტო მე კი არა, ჩემი ასაკის ნებისმიერ გოგოს შეიძლება გაუჩნდეს. მას შემდეგ რაც პირველი ჩოგანი გავხდი, ვცდილობ, ყოველთვის ვინმე მახლდეს, უფრო უკეთესი, თუ ეს ვინმე მაღალი და სიმპათიური ყმაწვილი იქნება" — იხუმრა მარტინამ პრესკონფერენციაზე.

ჰინგისს მეოთხედფინალურ მატჩში ნამდვილად ეტყობოდა ნერვიულობა: ამერიკელ კორინა მორარიუსთან 2:0-დან მან ზედიზედ 5 გეიმი წააგო და უამრავი თავისთვის უჩვეულო შეცდომაც დაუშვა, თუმცა გონს დროზე მოეგო და საათზე ოდნავ მეტში 7:5, 6:2 მოიგო.

„რატომღაც ამ ტურნირზე ყოველთვის მიჭირს თამაში, არადა, ძალიან მსურს შვეიცარიაში ტიტულის მოპოვება. შეიძლება ყველაფერი იმის ბრალია, რომ აქ ძალიან გემრიელი შოკოლადებია" — განაცხადა მარტინამ.

ჰინგისისგან განსხვავებით, ციურიხში მის მთავარ კონკურენტ ვინუს უილიამსს სულ სხვა პრობლემები აწუხებს: კარიერაში პირველად, ტურნირზე იგი ოჯახის წევრების თანხლების გარეშე იმყოფება.

„დედაჩემმა მითხრა, უკვე დიდი ხარ და შეგიძლია მარტო წახვიდეო. ადრე ახე არასოდეს ყოფილა და თავს როგორღაც უსიამოვნოდ ვგრძნობ. მატჩის წინ მსურდა, მათთან მესაუბრა, მაგრამ დროში განსხვავების გამო არავინ გამომეხმაურა და გზავნილი ავტომატურ მოპასუხეზელა დავტოვე. ცოტათი ნაწყენი ვარ, მაგრამ მესმის, რომ ისინი დაკავებული არიან" — აღნიშნა ვინუსმა, რომელსაც შვეიცარიაში მხოლოდ მწვრთნელი და სპარინგ-პარტნიორი ჩამოჰყვნენ.

მერვედფინალში უფროს უილიამსს ძველი ნაცნობი ირინა სპირლეა ელოდა. სწორედ ის რუმინელი, 1997-ის აშშ-ის ღია პირველობაზე ნახევარფინალში ვინუსთან შეჯახების შემდეგ მთელი მისი ოჯახი უწმაწური გინებით რომ შეამკო, საპასუხოდ კი რიჩარდ უილიამსისგან კომპლიმენტად „დიდი, მაღალი, თეთრი ინდაური" მიიღო.

მას შემდეგ ერთადერთ პირად შეხვედრაში რუმინელმა იმარჯვა და ორი წლის მანძილზე ძველი მტრობაც დავიწყებას მიეცა, თუმცა რაღაც განსაკუთრებული მატჩში მაინც იგრძნობოდა.

ამჯერად ვინუსის უპირატესობა საგრძნობი იყო და სპირლეას სუსტმა ბექჰენდმა გამოცდა „დამაკმაყოფილებელზეც" ვერ ჩააბარა. ამერიკელი 5:1-ით დაწინაურდა მეორე ხელში, როდესაც კიდურების გავარჯიშება მოინდომა, „შპაკატში" ჩაჯდა და მაყურებლების აღტაცებული ტაშისცემა დაიმსახურა.

პასუხი არც რუმინელმა დააგვიანა: თავის მხრივ, უილიამსს გამოაჯავრა, გაზვიადებული გამომეტყველებით ხელფეხის გაშლა-გაჭიმვას მიჰყო ხელი და ტრიბუნებს ხარხარი დააწყებინა. ტაში თვით ვინუსმაც დაუკრა.

„კუნთები მეტისმეტად დაჭიმული მქონდა და იმიტომ გავივარჯიშე — მხრები აიჩეჩა უილიამსმა — ის ისეთი ჩოგბურთელია, თავის გრძნობებს არასოდეს მალავს. მაყურებლებიც მიხვდნენ, რომ ჩვენს შორის რაღაც ხდებოდა და ამიტომ ჰქონდათ ასეთი რეაქცია".

მატჩი კი ვინუსმა 6:3, 6:2 მოიგო.

**მერვედფინალი:** მარი პირსი (3, საფრანგეთი) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:1, 6:2, ამანდა კუტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 1:6, 6:3, 6:2; ჟული ალარი (6, საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:2, 6:4; ნატალი ტოზია (8, საფრანგეთი) — მაჟი სერნა (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:5); დომინიკ ვან რუსტი (7, ბელგია) — სილვია ფარინა (იტალია) 6:2, 6:2.

ვენა. ავსტრია. „CA ტენის ტროფი". დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 800 ათასი $

**მერვედფინალი:** ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) — არ გამოცხადდა ტრავმის გამო; გრეგ რუზეცკი (5, ინგლისი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 4:6, 7:5, 6:3; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 7:6 (10:8), 6:1; რიჩარდ კრაიჩეკი (6, ჰოლანდია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:4, 6:2; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — ნიკოლას ლაპენტი (8, ეკვადორი) 6:2, 6:3; ნიკოლას კიფერი (7, გერმანია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 6:0; სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4, 4:6, 7:6 (7:5).

**ავთანდილ სვანიძე**



ვინუს უილიამსი



F1

მეთხუთმეტე ეტაპი — მალაიზიის დიდი პრიზი

## სეპანგი

კუალა ლუმპური, 17 ოქტომბერი. 10 სთ.






REUTERS კუალა ლუმპურიდან

მიკა ჰაკინენი და მიხაელ შუმახერი კუალა ლუმპურში

# სეპანგი სადღეისოდ მზადაა

**დღემდე** იაპონია აზიის ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც ფორმულა 1-ის რბოლების მასპინძლობის პატივი რგებია. წლევანდელი ჩემპიონატის დაწყებამდე კი ერთბაშად ორმა — ჩინეთმა და მალაიზიამ გამოთქვა „სამეფო რბოლების" მიღების სურვილი, რაც სათანადო არგუმენტებითაც ანუ ულტრათანამედროვე ავტოდრომებით გაამაგრეს. მიზეზთა და მიზეზთა გამო ავტოსპორტის მამებმა ჩინეთს დროებითი უარი სტკიცეს, მალაიზიურ ეტაპს კი მწვანე სასტარტო შუქი აუნთეს.

ეგზოტიკური მალაიზია ფორმულის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში 23-ე ქვეყანა გახდა, რომლის ტერიტორიაზეც ერთი რბოლა მაინც გამართულა. დედაქალაქ კუალა ლუმპურიდან 25 კმ-ის დაშორებით, სარეკორდოდ მოკლე დროში — 14 თვეში აგებულ ულამაზეს ავტოდრომს იქვე მდებარე აეროპორტ „სეპანგის" სახელი დაანათლეს და უკირკიტესი შემოწმების შედეგად FIA-ს ექსპერტებმა რბოლის ჩატარების სერთიფიკატიც უბოძეს.

ხუთკილომეტრნახევრიან წრეზე ოთხი მონაკვეთია, სადაც 300 კმ/სთ სიჩქარის მიღწევაა შესაძლებელი, სტარტ-ფინიშისა და მის პარალელურ გრძელ სწორებზე კი 300-ზე გაცილებით მეტისაც, რაც პირველობის დღევანდელი კვალიფიკაციისას გამოჩნდება.

ახალი ტრასა ქდი ორვინმა დააჭანიკა თავისი „ფერარით" და კმაყოფილიც დარჩა:

— ეს მეტად საინტერესო, ძალიან ტექნიკური ტრასაა, რომელიც მძღოლსაც და მანქანასაც შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას მისცემს. რაც მთავარია, სხვა ავტოდრომებთან შედარებით თითქმის 10 მეტრით განიერი გზა გასწრების მშვენიერ შესაძლებლობას ქმნის პრაქტიკულად ნებისმიერ მონაკვეთზე. ყველაზე რთულია სასტარტო სწორის ბოლოში V-ს ფორმის მკვეთრი მარჯვენა მოსახვევი, სადაც სიჩქარე 300-დან 100 კმ/სთ-მდე ეცემა, წინ კი მეორე ასეთივე სწორი მონაკვეთია.

რაც შეეხება ხვალინდელი სადებიუტო დღესასწაულის მონაწილეებს, სატურნირო ცხრილში ისეთი სიტუაციაა, რომ შეიძლება პირველივე მალაიზიურ ეტაპზე გაირკვეს ჩემპიონის ვინაობა. ეს კი „სამეფო რბოლებისგან" სწორედ რომ სამეფო სარეკლამო საჩუქარი იქნება „სეპანგისთვის". საამისოდ არც ისე ბევრია საჭირო: საკმარისია ლიდერმა მიკა ჰაკინენმა სეზონში მეხუთედ გაიმარჯვოს, ხოლო ორი ქულით ჩამორჩენილმა მისმა უმთავრესმა კონკურენტმა ედი ირვინმა მეექვსედ წაიფორხილოს, ანუ მეხუთე ადგილს ვერ ასცდეს, რაც ფინელ მრბოლს ორგზის ჩემპიონად გახდის.

ერთი სიტყვით, „სეპანგი" ხვალ ჰაკინენ — ირვინის გენერალური ბრძოლის პოლიგონი გახდება. თუმცა ეს სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება ოდნავ დაჩრდილა მიხაელ შუმახერის მოულოდნელმა დაბრუნებამ. ბოლო დღეებში შუმიმ გაცილებით უკეთესად იგრძნო თავი (ცხადია, მტკივანი ფეხიც) და მალაიზიაში ასპარეზობა გადაწყვიტა. იგი რამდენიმე დღეა, კუალა ლუმპურშია ტრასისა და ევროპელისთვის უძნელეს იქაურ ცხელ ჰავასთან შესაგუებლად და საყოველთაო ყურადღების ცენტრშიც მოექცა.

მიხაელმა ხუთშაბათს „სეპანგზე" კარტინგით ირბოლა და ყველასაც აჯობა, გუშინ კი პირველ თავისუფალ ვარჯიშზე მეხუთე დრო აჩვენა თანაგუნდელ ირვინის შემდეგ. საუკეთესო შედეგი აუტსაიდერ ჟაკ ვილნევისა იყო — 1 წთ, 42,4 წმ (194,8 კმ/სთ საშუალო სიჩქარე). ჰაკინენი მერვე ადგილზე დარჩა. თუმცა ეს შედეგები არაფერს ნიშნავს, რადგან ოფიციალური კვალიფიკაცია დღეს გაიმართება, ხვალ დილით კი „სეპანგის" დებიუტისა და შუმახერის მეორედ მოსვლის ხილვის საშუალებაც გვექნება.

**ირაკლი ნიკოლაძე**



# სავაჟი დასაზმელი გამხდარა

14 ოქტომბერი

**რეინჯერსი — პიტსბურგი 2:5**

1:3 0:2 1:0

0:1 კოვალიოვი 6'25(3); 0:2 მორანი 10'26(1); 0:3 დანგი 12'24(2); 1:3 ნედვედი 18'57(1); 1:4 იაგრი 37'10(3); 1:5 ბრაუნი 38'57(2); 2:5 ლეფევრი 44'16(1)

**მწარედ** შეცდა ის, ვინც რეინჯერსის ზედიზედ სამი მოგების შემდეგ ჩათვალა, რომ მისი პრობლემები წარსულს ჩაბარდა. ეს ამ მატჩმაც დაადასტურა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ყველაზე მეტად დაცვა სცოდავს. არადა ეს რგოლი ნიუიორკელებმა სამი მცველითა და მეკარე კირკ მაკლინით გააძლიერეს. მართალია, წინა ექვს მატჩში ნიუიორკელებს ორ შაიბაზე მეტი არ გაუშვიათ, მაგრამ ეს მეკარე რიხტერის კარგი თამაშით, მეტოქეთა მიმტევებლობით აიხსნება. ამჯერად კი უკვე პირველ პერიოდში მათ შაიბა სამჯერ გაუშვეს. ერთობ უხეიროდ ითამაშა მაკლინმა. სამი გოლიდან მინიმუმ ერთი მაინც, იან მორანმა შორიდან რომ გაიტანა, მის კისერზეა.

**აილენდერსი — ატლანტა 0:2**

0:1 0:0 0:1

0:1 ბრიუნეტი 12'21(2); 0:2 ბუკბერგერი 46'53(2)

**ლიგის** დებიუტანტის ხანმოკლე ისტორია ერთი მიღწევით გამდიდრდა — პირველი გამარჯვება, თანაც პირველი „მშრალი" მატჩი. ამ „შათაუტის" ავტორი დამიენ როუდსი (20 მოგერიება) გახლავთ. ისე კი, საწყენია, რომ ამ ღირსსახსოვარ შეხვედრას მხოლოდ 5200 მაყურებელი დაესწრო. ეს სეზონის ანტირეკორდია.

**ფილადელფია — მონრეალი 4:5**

1:2 3:1 0:1 0:1

1:0 ლეკლერი 5'54(1); 1:1 სავაჟი 12'35(4); 1:2 ზუბრუსი 14'40(2); 2:2 მაკარტი 27'16(1); 3:2 ლეკლერი 27'26(2); 4:2 ლინდროსი 29'43(2); 4:3 პულენი 39'15(2); 4:4 სავაჟი 43'39(5); 4:5 სავაჟი 63'22(6)

**ფილადელფიამ** ზედიზედ მეორედ წააგო. კვლავ კარგად იასპარეზა „მფრინავთა" თავდასხმამ, ჯონ ლეკლერისა (2+1) და ერიკ ლინდროსის (1+2) მრისხანე დუეტმაც ხელი გამოიღო, მაგრამ, ვაშინგტონთან შეხვედრისა არ იყოს, 4 შაიბა მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. თანაც, კვლავ შეუჩერებელი იყო მონრეალელი ბრაიან სავაჟი. თავად განსაჯეთ — ჯერ მეხუთე თამაშია, მან კი მეორე ჰეთ-თრიქი მიითვალა.

ფილადელფიას ასეთი ცუდი სტარტი (5 მატჩში 2 ქულა) ლიგაში 1967 წლის დებიუტის მერე არ ჰქონია.

**ნეშვილი — სან ხოსე 1:5**

0:1 0:0 1:4

0:1 ნოლანი 19'38(7); 0:2 ფრიზენი 40'57(5); 1:2 ჩელბერგი 41'18(1); 1:3 სატონი 48'28(1); 1:4 მარლო 53'14(1); 1:5 შტურმი 54'11(2)

**სან ხოსეს** მეკარე სტივ შილდსისთვის ეს მატჩი დალასთან პაექრობის ლოგიკური გაგრძელება იყო. გოლკიპერმა ჩემპიონს ბოლო პერიოდში 20-ვე დარტყმა აუღო და ნეშვილს რას შეუშინდებოდა — საწყის მესამედში მასპინძელთა ამდენივე შაიბა მოიგერია. მთლიანობაში კი მან 52 დარტყმიდან მხოლოდ ერთი გაუშვა (!). „შილდსმა კვლავ მოგვაგებინა" — თქვა მატჩის შემდეგ სან ხოსეს ფორვარდმა ჯერ ფრიზენმა. ახალბედა მცველი ენდი სატონი (1+1) ნჰლ-ში პირველად გამოირჩა, ხოლო სტარტზე ჩინებულად მოასპარეზე ოუენ ნოლანი 13(7+6) ქულით ბომბარდირთა სიაში დაწინაურდა.

**ფინიქსი — ოტავა 4:3**

3:1 0:1 1:1

1:0 დოუნი 4'34(3); 2:0 ტკაჩუკი 12'27(1); 2:1 არვედსონი 16'55(1); 3:1 გრინი 17'38(3); 3:2 ალფრედსონი 35'15(4); 3:3 სალო 43'50(2); 4:3 დრეიკი 54'32(2)

**მატჩის** დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ ოტავამ სავალალო ფინანსური მდგომარეობის გამო შესაძლოა ადგილსამყოფელი შეიცვალოს. „სენატორთა" მფლობელს, როდ ბრაიდენის განცხადებით, თუ დეკემბრამდე კლუბს კანადის მთავრობა არ დაეხმარება, იგი გუნდს გასაყიდად წარადგენს. ამ ცნობამ, ცხადია, მეტად დაამწუხრა ოტაველები და მათ ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნიეს.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

ბუნდესლიგა. VIII ტური

არმინია 0:2 დორტმუნდი
0:1 რეინა (72), 0:2 რიკენი (87)

ლევერკუზენი 4:1 ულმი
1:0 ქივკოვიჩი (12), 2:0, 3:0 კირსტენი (14, 18), 4:0 რობსონ პონტე (67), 4:1 შტადლერი (90)

II ბუნდესლიგა. VIII ტური

მიონხენგლადბახი 2:0 ფიურტი
ფორტუნა 2:0 ზანქტ პაული
ოფენბახი 0:1 კიოლნი

## ინგლისი

II დივიზიონი. XII ტური

კემბრიჯი 5:2 კოლჩესტერი

## თურქეთი

VI ტური

გალათასარაი 2:0 ანთალია

## ავსტრია

XVI ტური

ტიროლი 3:0 ლუსტენაუ

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XI ტური

მარსელი 0:1 ლიონი
0:1 სონი ანდერსონი (35)

II დივიზიონი. XIV ტური

შატორუ 0:3 ტულუზი

## საბერძნეთი

IV ტური

კავალა 0:5 ოლიმპიაკოსი

## ჩეხეთი

X ტური

სპარტა 3:1 პრადეც კრალოვე

## უკრაინა

XII ტური

დინამო 2:0 ტავრია

## ჰოლანდია

IX ტური

როდა 2:1 ფეიენოორდი

## კასპაროვი — მსოფლიო





1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ×d7+ ლ×d7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 c×d4 9. მ×d4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლ×e4 12. მc7+ მფd7 13. მ×a8 ლ×c4 14. მb6+ a×b6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მ×e4 ლ×e4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ე×a4 22. ე×a4 ლ×a4 23. ლ×h7 კ×b2 24. ლ×g6 ლ×e4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლ×e6+ მფ×e6 32. g3 f×g3 33. f×g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ×d4 e×d4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ე×b1 მფ×b1 49. მფ×g6 d2 50. h8=ლ d1=ლ 51. ლh7 b5 52. მფf6+ მფb2 53. ლh2+ მფa1 54. ლf4 b4 55. ლ×b4 ლf3+ 56. მფg7 d5. 57. ლb4+ მფb1 58. g6 ლe4

## ვიქტორია შვიდი

*კიდევ ერთი პოზიცია მოუგია დუბაურ ბლუილა ნავ „ვიქტორია 7-ს", რომელსაც ამერიკელი რენდი სქიზმი და საამიროელი ალი ნასერი მართავენ. საამიროებშივე, ფუჯარაჰის პირად მიმდინარე შეჯიბრს სწორედ რომ „ვიქტორია 7" ლიდერობს.*




REUTERS ფუჯაირიდან

## ძლივნად რობის

ბრიტანეთის იმპერიის ორდენით რომ ბევრი ღირსეული ჯილდოვდება, ცნობილი ამბავია. ღირსეულთა შორის მოხვედრილა ლონდონის გარეუბნულ კლუბ „უიმბლდონის" კაპიტანი რობი ერლიც. ტომით იამაიკელი ერლი მთელი ცხოვრება „უიმბლდონში" თამაშობს და ორდენიც პირადად დედოფლის ხელიდან მიუღია ბუკინგემის სასახლეში.



REUTERS



## მონტოია ავსტრალიაში

*დიდად გავარდნია სახელი ამერიკული კარტის (ძველად ინდიკარი) კოლუმბიელ მრბოლს ხუან მონტოიას. კარტის ერთი რეისი ავსტრალიაში, ოქროს ნაპირზე უნდა გაიმართოს. ჰოდა, მონტოიაც ადრევე ჩაფრენილა მწვანე კონტინენტზე. რახან წინ მთელი კვირა ჰქონია, კოლუმბიელი ნაირგვარ ღონისძიებებში ჩართულა. ჯერ იყო და თვითმფრინავის საჭესთან დაჯდომა გადაუწყვეტია, მაგრამ ამაში უამინდობას შეუშლია ხელი. მერე ხუანს ავსტრალიურ ბუნებასთან დაახლოება გადაუწყვეტია და იქაურ ჩანთოსნებს დამეგობრებია — კოალა დაურწევია და კენგუროებთან ერთად გოლფი უთამაშია.*

*ზოგადად, მონტოია კარგ ხასიათზეა. ის წლევანდელი კარტის რბოლების ლიდერია.*



REUTERS სიდნეიდან






REUTERS გოლდ ქოსტიდან



## ნეკერჩხლის ჰავა და ლიგის დარდები

რაგბის მსოლიო თასზე კაცი იმდენ თვალსასეიროს იპოვნის, რომ თქვენ[...] მოწონებული. კანადის გუნდის ქომაგებს იგრე მოსწონებიათ სამხრეთული ჰა[...] ვა, რომ ტულუზის სტადიონის ტერასაზევე შეუთხზავთ თავისებური საბრძო[...] ლო როკვა და თავისი გუნდი გაუმხნევებიათ ნამიბიელებთან შეხვედრის წინ.

რაგბის მსოფლიო თასიდან ძალიან შორს კი, რაგბისავე ძე შეცდომილის, ლიგი[...] ამბები ტრიალებს. ბოლო დღეებია სამხრეთ სიდნეის გუნდის ფანობა თათხავ[...] ეროვნული ლიგის პატრონ-მესვეურ მედია-მაგნატს, რუპერტ მერდოკს. სამხრ[...] თული ლიგის ლეგენდა, სამხრეთ სიდნეის „რებიტოთა გუნდი, ლიგიდან მოუკვე[...] თავთ. უძველესი გუნდი, რომელსაც ბარე ოცჯერ მოუგია ეროვნული ლიგა, შ[...] ჯიბრს გარეთაა. ეს ყოველი მისტერ მერდოკს ბრალდება, რომელიც, რა დასამა[...] ლია და შეჭირვებული ლიგის მხსნელად ალიქმებოდა ოზების ქვეყანაში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ჩატიაშვილი
გამომცემელი ზურაბ ოაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 2[...]
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli